ლელო
გამოიცემა 1934 წლის 13 აპრილიდან
№141 (12820) 18 ივნისი ხუთშაბათი 2009 ფასი 60 თეთრი

## პრემიერლიგა 2009/10

**15 აგვისტოს, პირველ ტურში**

ინგლისის ჩემპიონი ბირმინგემით იწყებს, მთავარი მატჩი კი

**ტოტენჰემი – ლივერპული**

უნდა იყოს

» გვერდი 10 სრული კალენდარი

# ოთარ გაბელია

## ახალგაზრდული ნაკრების მთავარი მწვრთნელია



## კუპერს ყენია და მჭედლიძე უნდა ვთხოვო

### ლამაზი ფეხბურთიც და შედეგიც? ორივე ერთად ვერ იქნება

» გვერდი 2 პრესკონფერენცია და ინტერვიუ ლელოსთვის



## ეს იყო უბრალოდ შანტაჟი!

ღვინიანიძესა და კუპერს შორის არასასიამოვნო ლაპარაკი ყოფილა...

» გვერდი 4 ინტერვიუ



ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტო

## მის სპორტი 2009

## დედოფალი ტანმოვარჯიშეა!

» გვერდი 11 შოუ მონოპოლში

## ვილიას თავურმა ესპანეთი ნახევარფინალში გაიყვანა



» გვერდი 6 კონფედერაციათა თასი

ეროვნული ბიბლიოთეკა
საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა

ტრანსფერი

## სირაძე და ნალჩიკი: 6+6

**დავით სირაძის** დაახლოებით ნახევარწლიანი უგუნდოდ ყოფნა ალბათ მალე დასრულდება. ადრეც გაუწყეთ, რომ სირაძეს კვლავაც ეპატიჟებოდა მისი ყოფილი გუნდი ნალჩიკის „სპარტაკი", გუშინ კი ფეხბურთელმა ისიც გვითხრა, რომ ყაბარდოულ კლუბთან უკვე პირობებზეც შეთანხმდა. 6+6 თვე - ასეთია ჯერაც არშემდგარი კონტრაქტის ფორმა.

მოკლედ, წინასწარი შეთანხმება უკვე მიღწეულია, მაგრამ მიიღებს კი სირაძე დროულად რუსეთის სამუშაო ვიზას? გახსოვთ, ალბათ, მახაჩყალის „ანჟიში" ამ სეზონისთვის 3 ჩვენებური (**კახა ალადაშვილი, ოთარ მარცვალაძე** და **სანდრო იაშვილი**) რომ ჩაირიცხა. თუმცა ამ დროისთვის, სავიზო პრობლემების გამო, „ანჟიში" ამ სამეულიდან მხოლოდ ალადაშვილი მივიდა. ვიზასთან დაკავშირებით, სირაძემ გვამცნო, რომ ნალჩიკიდან რუსეთის საელჩოში უკვე მისულია მოწვევა მის სახელზე, თუმცა ეს ჯერ არ ნიშნავს იმას, რომ სირაძე რუსეთის სამუშაო ვიზას უპრობლემოდ, დროულად მიიღებს.

ამავე დროს, დათომ თადარიგიც დაიჭირა - თუ ნალჩიკის „სპარტაკში" დროულად ვერ მოხვდება, გერმანიაში წავა. როგორც თავად გვითხრა, მისით მეორე ბინდესლიგის ერთ-ერთი გუნდია დაინტერესებული.

დავით თავართქილაძე

გაგრა

## რვა ქართველი ნიგერიელებამდე

„გაგრა", რომელიც უმაღლესი ლიგიდან გავარდა, მაგრამ საკმაოდ კარგი შანსი აქვს, რომ კვლავ „ელიტაში" ითამაშოს, აქტიურ სელექციას აწარმოებს. **ვიქტორ კაშჩეის** გუნდმა ახალი სეზონისთვის მზადება უკვე დაიწყო - ჯერ თბილისსა და მუხრანში ვარჯიშობს, შემდეგ ურეკში წავა შეკრებაზე, მერე კი უცხოეთშიც აპირებს მზადების გაგრძელებას.

გაგრელები ნიგერიელი ფეხბურთელების ჩამოყვანას რომ აპირებენ, ამის თაობაზე უკვე ვწერდით, მანამდე კი გუნდში 8 ახალი მოთამაშე ისინჯება - ძმები **ირაკლი** და **თორნიკე შალიკაშვილები** („სამტრედია"), **დიმიტრი ჯერგიაშვილი** („სავიკი", ბელარუსი), **ლაშა დეკანოსიძე** (ბატე, ბელარუსი), **ვანო კილაძე** („გურია"), **კონსტანტინე სეფიაშვილი** („ბორჯომი"), **გურამ ოდიშარია** და **მამუკა ტორონჯაძე** (ორივე „თბილისი").

თქმა რად უნდა, „გაგრა" ასეთ ფართო სელექციას იმიტომაც აწარმოებს, რომ უმაღლესში თამაშის დიდი იმედი აქვს...

დავით თავართქილაძე

ზესტაფონი

## ნაფტაზე ძლიერი გუნდი გამოუშვითო...

სლოვენიაში მოსამზადებელ შეკრებაზე გამგზავრებამდე „ზესტაფონმა" 4 საკონტროლო მატჩი დაგეგმა. პირველი უკვე გაიმართა - 1:1 „პოლონიასთან", მატჩი 55-ე წუთზე ძლიერი წვიმის გამო შეწყდა. როგორც გავიგეთ, ზესტაფონელები მომდევნო ამხანაგურ შეხვედრას კვირას, 21 ივნისს გამართავენ. **გია გეგუჩაძის** გუნდი ადგილობრივ „ნაფტას" (ლენდავა) გაეჯიბრება.

ცნობისთვის, გასულ სეზონში „ნაფტამ" ოთხწრედ ჩატარებულ სლოვენიის 10-გუნდიან უმაღლეს ლიგაში 43 ქულით მე-7 ადგილი დაიკავა. „ზესტაფონმა" მოსამზადებელი შეკრების ორგანიზატორებს უკეთესი სპარინგპარტნიორის მოძიება მოსთხოვა და არ არის გამორიცხული, „ნაფტა" შედარებით ძლიერი გუნდით ჩაანაცვლონ.

დავით ცაბაძე

U 21. დანიშვნა

# ოთარ გაბელია: კუპერს ყენია და მჭედლიძე უნდა ვთხოვო



**დოსიე**

**ოთარ გაბელია**

დაიბადა 1953 წლის 24 მარტს

**ფეხბურთელის კარიერა**

| | |
|---|---|
| 1970-71 | ენგური (ზუგდიდი) |
| 1972-73 | დინამო (სოხუმი) |
| 1974-76 | ტორპედო (ქუთაისი) |
| 1977-82 | დინამო (თბილისი) |
| 1983-84 | ტორპედო (ქუთაისი) |
| 1985-90 | დინამო (თბილისი) |

ერთი მატჩი საბჭოთა კავშირის ნაკრებში

**სამწვრთნელო კარიერა**

ოდიში (ზუგდიდი), ალაზანი (გურჯაანი), დურუჯი (ყვარელი), თსუ, მერანი (თბილისი), ალგეთი (მარნეული), ზესტაფონი, ტორპედო (ქუთაისი), დინამო (ბათუმი), ბორჯომი, საქართველოს ეროვნული და ახალგაზრდული ნაკრებების მეკარეთა მწვრთნელი.

**საქართველოს ახალგაზრდულ ნაკრებში კახა ცხადაძე ოთარ გაბელიამ შეცვალა. ღვაწლმოსილი ვეტერანი ცხადაძის სამწვრთნელო შტაბის წევრი გახლდათ. შეგახსენებთ, რომ საქართველოს 21-წლამდელთა ნაკრები შემოდგომიდან ჩაერთვება ევროპის 2011 წლის ჩემპიონატის შესარჩევ ციკლში, სადაც მისი მეტოქეები თურქეთი, შვეიცარია, ირლანდია, სომხეთი და ესტონეთი იქნებიან.**

**გუშინ გაბელიამ ფედერაციაში პრესკონფერენცია გამართა...**

- უპირველესად, კახა ცხადაძეზე მინდა ვთქვა. მისი წასვლა საქართველოს ახალგაზრდული ნაკრებისთვის დიდი დანაკლისია, რადგან კახა ძალიან კარგად მუშაობდა. თამამად შეიძლება ითქვას, რომ მან ახალგაზრდულ ნაკრებში სოლიდური სასელექციო სამუშაო ჩაატარა, ფეხბურთელები არა მხოლოდ უმაღლეს, არამედ პირველი ლიგის კლუბებშიც ნახა, ხშირად ატარებდა „სამშაბათობებს" და საუკეთესოებს არჩევდა. შესაბამისად, ბირთვი უკვე ჩამოყალიბებულია და ევროპის ჩემპიონატის შესარჩევ ციკლში სწორედ ამ მოთამაშეებს დავეყრდნობით. ახლა მთავარია, ოპტიმალური შემადგენლობა შევარჩიოთ. ჩვენი პრიორიტეტი ეროვნული ნაკრებისთვის ფეხბურთელების მიწოდებაა. რა თქმა უნდა, ვგეგმავთ ჯგუფში წარმატებით გამოსვლასაც. ძნელი ამოცანაა, თურქეთისა და შვეიცარიის სახით ძალიან ძლიერი მეტოქეები გვყავს, მაგრამ ჩვენსას მაინც ვეცდებით.

**- ვინ იმუშავებს თქვენს შტაბში?**

- სამწვრთნელო შტაბი უცვლელი რჩება - ზაურ სვანაძე და გელა ინალიშვილი, მეკარეებთან კი დათო გვარამაძე. ფეხბურთის ფედერაციას სამივესთან კონტრაქტი აქვს გაფორმებული.

**- საკონტროლო შეხვედრებს რომელ ნაკრებებთან გამართავთ?**

- უახლოესი მატჩი აგვისტოში გვაქვს, ლიტვაში. ამ დღეებში გაირკვევა, მანამდე რა გეგმით ვიმუშავებთ. ახლა ეროვნული ნაკრებისა და ფედერაციის ხელმძღვანელებს შევხვდები და ყველა მნიშვნელოვან დეტალზე დავილაპარაკებთ.

## ოთარ გაბელია: ლამაზი ფეხბურთიც და შედეგიც? ორივე ერთად ვერ იქნება

*მოკლე პრესკონფერენციის შემდეგ „ლელომ" ბატონ ოთარს რამდენიმე კითხვა დაუსვა.*

**- კონტრაქტი როდემდე გააფორმეთ?**

- შევთანხმდით, რომ ციკლის ბოლომდე ვიმუშავებ.

**- სამწვრთნელო შტაბში მურთაზ შელია არ გიხსენებიათ...**

- არ მიხსენებია? ხომ ვთქვი, შტაბი უცვლელი რჩება-მეთქი. ასე რომ, შელიაც ჩვენთან იქნება.

**- ისე ჩანს, თითქოს ახალგაზრდულ ნაკრებში სელექცია უკვე დასრულებულია...**

- თუ ვინმე საინტერესო ფეხბურთელი გამოჩნდა, მასზე უარს ხომ არ ვიტყვით? საქართველოს ახალგაზრდულ გუნდში თამაშის წინა პირობა მარტივია - ნაკრებში მხოლოდ საუკეთესოები უნდა იყვნენ.

**- კონკრეტულად რომელი ახალი ფეხბურთელების მიწვევას აპირებთ?**

- ამაზე ლაპარაკი ახლა გამიჭირდება. მხოლოდ დანიშვნის წინა საღამოს მითხრეს, რომ მთავარი მწვრთნელობის ყველაზე რეალური კანდიდატი ვიყავი. ეს ჩემთვის იმდენად მოულოდნელი იყო, მოფიქრების დროც არ მქონდა. ისე კი, არის რამდენიმე მოთამაშე...

**- მაგალითად?**

- ვაპირებდით, ლევან კუტალიას ნახვას. ის ბოსნიის მოქალაქეობის მიღებას აპირებს. ქართული ფეხბურთი ნიჭიერი მოთამაშეებით იმდენად მდიდარი არ არის, ბიჭებს ასე იოლად რომ შეველიოთ. მას აუცილებლად დავუკავშირდებით და საქმეში ვნახავთ. ძალიან აქებენ მოსკოვის „სპარტაკის" შემტევ ნახევარმცველ ჯანო ანანიძესაც. მას მალე 17 წელი შეუსრულდება და შესაბამისად, ახალგაზრდული ნაკრებისთვის პატარაა, მაგრამ ხომ ფაქტია, რომ „სპარტაკის" ძირითად გუნდში ამ ასაკის ფეხბურთელს ტყუილად არ აიყვანდნენ? ესე იგი, საინტერესო ბიჭია. ჩემთვის მთავარია, ნაკრებში მიწვეული ნებისმიერი მოთამაშე მებრძოლი, გონებაგახსნილი იყოს და მოედანზე ბოლომდე დაიხარჯოს.

**- პრესკონფერენციაზე კუპერთან შეხვედრის აუცილებლობა ახსენეთ...**

- დიახ, კუპერს უნდა ვთხოვო, ვინც არ სჭირდება, ახალგაზრდულში დაგვითმოს. მაგალითად, როცა ეროვნულ გუნდს თამაშები არ ექნება, ლევან ყენიასა და ლევან მჭედლიძეს სიამოვნებით გამოვიყენებთ. მთავარია, ეს თავად ფეხბურთელებმა მოისურვონ, თორემ მხოლოდ ვალის მოხდისთვის არავინ გვჭირდება.

**- შესარჩევ ციკლში გუნდს რა მიზანს დაუსახავთ?**

- ჩვენი ამოცანა ორ საუკეთესო გუნდს შორის მოხვედრაა.

**- თურქეთისა და შვეიცარიის ჯგუფში წარმატებაზე ოცნებობთ?!**

- რა თქმა უნდა, მძიმე ჯგუფია, მაგრამ თუ ყურები ჩამოვყარეთ, არაფერი გამოვა. ეს ყველა ფეხბურთელმა უნდა გაითავისოს.

**- კახა ცხადაძე გუნდს 4-3-3 სისტემით ათამაშებდა. თქვენეული მოდელი რომელი იქნება?**

- გააჩნია, ვინ იქნება მოწინააღმდეგე. შინ ვითამაშებთ თუ სტუმრად, რა დონის მეტოქე და შემსრულებლებიც გვეყოლება, ტაქტიკურ სქემასაც იმის მიხედვით შევარჩევთ. საერთოდ, ქართველებს ლამაზი ფეხბურთიც გვინდა და შედეგიც. ორივე ერთად კი ვერ გამოვა. მთავარი მაინც ტაბლოა.

**ოთარ გაბელიას** დანიშვნაზე კომენტარი ფეხბურთის ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტ **უჩა უგულავას** ვთხოვეთ: *„დრო რომ არ გაგვეწელა, ფედერაციის ხელმძღვანელები შევიკრიბეთ და ოთარ გაბელიას კანდიდატურა დავამტკიცეთ. რა დასამალია და, იყო რამდენიმე კანდიდატი და საბოლოოდ ბატონ ოთარზე შევჩერდით. მის სასარგებლოდ რამდენიმე არგუმენტი მეტყველებდა: ის გახლავთ კანდიდატებში ყველაზე გამოცდილი სპეციალისტი, ეროვნულ და ახალგაზრდულ ნაკრებებში მუშაობის მდიდარი გამოცდილებით, თავი გამოიჩინა საკლუბო კარიერაშიც, ფეხბურთი მაღალ დონეზე უთამაშია და დიდი ავტორიტეტიც აქვს. დამიჯერეთ, ჩვენს ფეხბურთელებში ეს ფაქტორი განსაკუთრებით მოქმედებს. 21-წლამდელების მნიშვნელოვანი ნაწილი უცხოეთში თამაშობს და ბატონი ოთარი ისეთია, არც ერთ მათგანთან ურთიერთობა არ გაუჭირდება".*

მერაბ მამულაშვილი

ლეგიონერები



დავით ჭიჭვეიშვილი (მარჯვნივ)

## ქართველები სტანდარდში რჩებიან

ბაქოს „სტანდარდის" მთავარი მწვრთნელი **ბადრი კვარაცხელია** კლუბიდან წამოვიდა. წინა ჩემპიონატში მან შეცვალა **კახა ცხადაძე**, რომელმაც ბაქოში **დავით ჭიჭვეიშვილი** და **ლევან სილაგაძე** წაიყვანა. ქართველი მწვრთნელების ხელში ჩვენი მოთამაშეების მდგომარეობა მყარი იყო. საინტერესოა, როგორი იქნება ახლა?

კვარაცხელიას წასვლის შემდეგ „სტანდარდის" მთავარი მწვრთნელის ვაკანტურ პოსტზე ყველაზე რეალური კანდიდატი აზერბაიჯანული ფეხბურთის ისტორიაში ერთ-ერთი ყველაზე გამორჩეული ფიგურა **ველიკ კასუმოვია**. ქართველების ბედზე კი ლევან სილაგაძეს ვკითხეთ:

*„სეზონის დასრულების შემდეგ კლუბის პრეზიდენტმა თავად ისურვა ჩემთან და დათო ჭიჭვეიშვილთან საუბარი. აღმოჩნდა, რომ მას თურმე ჩვენი დატოვება სურს და ახალი, ერთწლიანი კონტრაქტების გაფორმება შემოგვთავაზა. თბილისში გამომგზავრების შემდეგ, თანაგუნდელებმაც დამირეკეს და მითხრეს, კლუბის ბაზაზე უკვე გამოქვეყნდა შეკრებაზე გასამგზავრებელ ფეხბურთელთა სია და ორივე სიაში ხართო".*

შეგახსენებთ, რომ სეზონის მსვლელობისას „სტანდარდის" კაპიტანი ჯერ ჭიჭვეიშვილი გახდა, ხოლო შემდეგ - სილაგაძე. ისევ ამ უკანასკნელს მოვუსმინოთ:

*„მიჭირს ზუსტი მიზეზის დასახელება, თუ რატომ დაგვასახელეს გუნდის კაპიტნად უცხოელები. სამკლავური ცხადაძისა და კვარაცხელიას წასვლის შემდეგაც შემინარჩუნეს. ალბათ, იმიტომ, რომ კლუბში ყველაზე გამოცდილი ფეხბურთელები ვართ, სანაკრებო დონეზე გვითამაშია და თანაგუნდელებისა და ხელმძღვანელობის მხრიდან ამგვარი დამოკიდებულებაც, ეტყობა, აქედან გამომდინარეობს".*

მერაბ მამულაშვილი

## კიდევ ერთი ქართველი სიმურგში

ზაქათალის „სიმურგში", რომელიც ევროსეზონისთვის თბილისში ემზადება, კიდევ ერთი ქართველია სინჯებზე. სხვებისგან განსხვავებით, ის გულშემატკივრებისთვის უცნობია. ლაპარაკია 18 წლის მარცხენა ნახევარმცველ **ბექა ახალბედაშვილზე**. ბექა 35-ე საფეხბურთო სკოლის აღზრდილია და ამ ლეგენდარული სკოლის სახელს რეგიონალლიგის გუნდში იცავდა. სხვათა შორის, ახალბედაშვილი „სიმურგში" ჯერ კიდევ იანვარში ისინჯებოდა. ჩაირიცხება თუ არა ახალგაზრდა ქართველი ზაქათალურ კლუბში, ამას რამდენიმე დღეში გავიგებთ.

„სიმურგთან" ერთწლიანი კონტრაქტს გააფორმებს **რომან ახალკაცი**, რომელიც გასულ სეზონში ბაქოს „ოლიმპიკის" ღირსებას იცავდა.

მერაბ მამულაშვილი

მთავარი რედაქტორი თენგიზ გაჩეჩილაძე

მთავარი რედაქტორის მოადგილე **პაატა გელაშვილი**; ტექნიკური ჯგუფის ხელმძღვანელი **მიხეილ ჯაში**; ფოტო: **ალექსანდრე კოტორაშვილი.**

1934 წლიდან გაზეთს ხელმძღვანელობდა სარედაქციო კოლეგია. ლელოს მთავარი რედაქტორები: **მიხეილ კაკაბაძე (1949-52, 1964-76), ერემო მახათაძე (1952-53), ირაკლი უგულავა (1953-64), ანზორ ბასილაია (1976-83), არჩილ გოგელია (1984-85), თენგიზ გაჩეჩილაძე (1985-დან).**

*თქვენს ხელთაა უძველესი და მდიდარი ტრადიციის გაზეთი. გსურთ "ლელო" უფრო უკეთესი? მოგვწერეთ, რა მოგწონთ, რა არ მოგწონთ, რას ისურვებდით... ელექტრონული ფოსტა* lelo@palitra.ge

მისამართი: **იოსებიძის, 49.** ტელეფონები: **42 32 73, 899 55 48 97** (მთ. რედაქტორი); ფაქსი: **+995. 32 38 08 63**; ელფოსტა: **leloltd@gmail.com**; ინდექსი **66435 INDEX.** რეკლამა: **37 78 07**

დამფუძნებელი და გამომცემელი
**შპს გამომცემლობა ლელო**

გამოიცემა ყოველდღე, გარდა კვირისა

რედაქციასთან შეუთანხმებლად გაზეთის კუთვნილი მასალებისა და ფოტოების სხვა ბეჭდვით და ელექტრონულ საშუალებებში გამოქვეყნება აკრძალულია

პროფლიგა

ინტერვიუ პაატა ბურჭალიანთან

# არ დაიჯეროთ, პროფლიგის გარეშე ამ საკითხს ვერავინ გადაწყვეტს...

## ეროვნული ჩემპიონატი 1-ელ აგვისტოს დაიწყება

ჯერ კიდევ ისმის კითხვა - რამდენი და რომელი გუნდები ითამაშებენ მომავალ ჩემპიონატში, როდის დაიწყება XXI პირველობა? რაც უნდა იყოს, ეს არის საქართველო, სადაც პოლიტიკურმა ქარტეხილებმა შეიძლება ყველაფერი აურ-დაურიოს, მაგალითად, ჩემპიონატის დებულება. ასე იყო წლების წინ, როცა აფხაზეთის „შენარჩუნებას" ოჩამჩირის „ამირანის" უმაღლესში დატოვებით ცდილობდნენ და ამტკიცებენ, რომ ახლაც ანალოგიურ მცდელობებთან გვაქვს საქმე. და თუ მართლა ასეა, გამოდის, რომ ფეხბურთი პოლიტიკური ინტერესების დასაბალანსებლად შეუქმნიათ და არა სპორტული პრინციპების დასაცავად. „ლელომ" ინფორმაცია პროფესიული ფეხბურთის ლიგის გენერალურ მდივან პაატა ბურჭალიანთან გადაამოწმა...

**- როგორც შევიტყვეთ, ახალი ჩემპიონატი, სავარაუდოდ, 1-ელ აგვისტოს დაიწყება...**

- დიახ, სავარაუდოდ ასეა, ყოველ შემთხვევაში, ასეთია ჩვენი მონახაზი.

**- არ წყდება მითქმა-მოთქმა იმასთან დაკავშირებით, რომ უმაღლესი ლიგა შეიძლება გაფართოვდეს...**

- ტყუილია. ვერ ვხვდები, რატომ და საიდან ჩნდება ამგვარი ხმები?!

**- ბოლოს და ბოლოს, რამდენგუნდიანი ჩემპიონატი გვექნება?**

- აბა, ახლა როგორ გითხრათ, რამდენი გუნდი ითამაშებს უმაღლეს ლიგაში. ჩემპიონატის დაწყებამდე თვე-ნახევრით ადრე ამის თქმა შეუძლებელია.

**- სწორედ ეს გაურკვევლობა ბადებს ათასგვარ ეჭვს. ეს იმას ხომ არ ნიშნავს, რომ შესაძლოა, ეჭვებს რეალური საფუძველი ჰქონდეს და უმაღლესი ლიგა მართლაც გაფართოვდეს?**

- არა, ეს გამორიცხულია! როდესაც ვამბობ, რომ გუნდების რაოდენობაზე წინასწარ რაიმეს თქმა შეუძლებელია, ვგულისხმობ შარშანდელ ამბავს, როცა „ამერმა" ჩემპიონატის დაწყებამდე ერთი კვირით ადრე უმაღლესში თამაშზე უარი თქვა. ფაქტის წინაშე აღმოვჩნდით და იძულებულნი გავხდით, 11-გუნდიანი ჩემპიონატი ჩაგვეტარებინა. სამწუხაროდ, ქვეყანაში იმდენად მძიმე ეკონომიკური სიტუაციაა, ძნელი სათქმელია, შეგროვდება კი 10 გუნდი? აქ სხვა კითხვა მოხსნილია დღის წესრიგიდან - ანუ, უმაღლეს ლიგაში, ყველა ვარიანტში, 10-ზე მეტი გუნდი არ იქნება.

**- ამ დღეებში ცხინვალის „სპარტაკის" წარმომადგენელმა არაოფიციალურად განაცხადა - გადაწყვეტილია, რომ ჩვენი გუნდი უმაღლესში ითამაშებსო. ამაზე რას იტყოდით? ალმასკომამდე ვინ და როგორ გადაწყვიტა, „სპარტაკი" უმაღლეს ლიგაში ითამაშებს თუ არა?!**

- გეუბნებით, ტყუილია-მეთქი! არაფერიც არ არის გადაწყვეტილი! როგორ, „სპარტაკის" დარჩენა გადაწყვეტილია და ჩვენ - პროფლიგის პრეზიდენტმა და გენერალურმა მდივანმა არაფერი ვიცით?! არ დაიჯეროთ, ამ საკითხს ვერავინ გადაწყვეტს პროფლიგის გარეშე, შესაბამისად, ცხინვალის „სპარტაკისთვის" მსგავსი შეპირება არავის მიუცია.

**- თუ „სამტრედიამ" ლიცენზია ვერ მიიღო, რომელი გუნდი დაიკავებს მის ადგილს - უმაღლესიდან გავარდნილი თუ პირველი ლიგის მეორეადგილოსანი?**

- ამაზე ლაპარაკიც არ არის. ალბათ, „სამტრედია" ლიცენზიას მიიღებს, რადგან ამ კლუბის მესვეურები საქმეს პატიოსნად აკეთებენ. ამას ხომ ყველა ხედავს და, ალბათ, ფეხბურთის ფედერაციის ალმასკომი „სამტრედიას" უმაღლესში თამაშის უფლებას დართავს.

**- ათგუნდიანი ჩემპიონატი, ალბათ, ოთხ წრედ ჩატარდება...**

- დიახ. მიმაჩნია, რომ ეს იდეალური მოდელია.

**- 4 წრე ნიშნავს 36 ტურს, რაც კლუბებისგან მეტ ხარჯს მოითხოვს...**

- რა თქმა უნდა, ტრანსპორტირების, პრემიებისა და დაბინავების ხარჯები მატულობს. მაგრამ ეს მარტო კლუბებს არ ეხება - მეტი სახსრები იქნება საჭირო დამკვირვებლების, დირექტორებისა და მსაჯებისთვის. ახლა სწორედ ამ თემაზე ვბჭობთ - როგორ გავწვდეთ ამ ხარჯებს...

**- სპონსორებთან დაკავშირებით რაიმე სიახლე ხომ არ არის?**

- ყველა კონტრაქტი ძალაშია.

**- მაგრამ ცნობილია, რომ „ყაზბეგთან" ხელშეკრულების ვადა ამოიწურა. მის გაგრძელებაზე თუ მიმდინარეობს მოლაპარაკება?**

- არა, კონტრაქტი დასრულდა, მაგრამ ვიდრე ახალ თანამშრომლობაზე ვილაპარაკებდეთ, მანამდე „ყაზბეგმა" გასული წლის ვალდებულება უნდა შეასრულოს.

**- ახალ სეზონში კლუბებს ფინანსურ გარანტიებს მოსთხოვთ?**

- აუცილებლად. მთავარი კრიტერიუმი ლიცენზირება იყო. ფაქტობრივად, ლიცენზირების კომიტეტის გამკაცრებულ მოთხოვნებში სწორედ ფინანსური გარანტიების არსებობაა გათვალისწინებული. ჩვენ მთელი სეზონი მაქსიმალურად უნდა დავგეგმოთ, რათა რომელიმე კლუბი ჩემპიონატის მსვლელობის დროს არ დაიშალოს. საბოლოოდ, ეს საკითხები 29 ივნისს, ფეხბურთის ფედერაციის ალმასკომზე გადაწყდება.

**მერაბ მამულაშვილი**

საინტერესო სინთეზი

# მგლები და ბაია მაინც ერთიანდებიან?

ორი ზუგდიდური კლუბის, „მგლებისა" და „ბაიას" შესაძლო გაერთიანების თაობაზე ერთი თვის წინათ ვწერდით. მას მერე, ხსენებულ თემაზე ლაპარაკი აღარ ყოფილა, ყოველ შემთხვევაში, საჯარო დისკუსიებში ბევრი იმასაც ამბობდა, მსგავსი რამ დღის წესრიგში არ დგასო. არადა, მაშინაც ვიცოდით, რომ მხარეებს შორის მოლაპარაკებები მიმდინარეობდა...

და აი, გუშინ კიდევ ერთხელ შეგვატყობინეს, რომ ამ საკითხზე მოლაპარაკებები განახლდა და რომ ორი ზუგდიდური კლუბის გაერთიანება რეალურია. ინფორმაცია გადავამოწმეთ და აღმოჩნდა - დიახ, მოლაპარაკება მართლაც მიმდინარეობს, მაგრამ ჯერჯერობით ეს უფრო სურვილია, შეთანხმებისთვის კი კლუბებს ჯერ არ მიუღწევიათ.

ზუგდიდში, ამ მართლაც საფეხბურთო ქალაქში, ძალები დაქსაქსული რომ არ იყოს, ნამდვილად შესაძლებელია ძლიერი კლუბის ჩამოყალიბება - მდიდარი, გამართული ინფრასტრუქტურის მქონე „ბაია" და ღარიბი, თუმცა მგელივით მებრძოლი „მგლები". წესით, არ უნდა იყოს ეს ურიგო სინთეზი. მოკლედ, საკითხი უახლოეს დღეებში გადაწყდება.

**მერაბ მამულაშვილი**

საქართველოს ჩემპიონატი. სეზონის შეჯამება — ლოკომოტივი



გიორგი კიკნაძე

ინტერვიუ გიორგი კიკნაძესთან

# მიაქციეთ ყურადღება დიაკვნიშვილს!

## ძალიან ბევრი იყო გარიგებული თამაში და როცა ასეთი გუნდები მალე ნამდვილ ბრძოლებს წააწყდებიან, რა უნდა მოახერხონ?...

**გასულ სეზონში** თბილისის „ლოკომოტივი" უდავოდ ყველაზე კონტრასტული გუნდი აღმოჩნდა. პირველ ეტაპზე რამდენიმე ტურის განმავლობაში ლიდერობდა ჩემპიონატს, მერე კი ქვევით დაეშვა. მთავარი, ასეთ მეტამორფოზაში იყო ფული. კომპანია „სილქროუდის" თბილისური ოფისი ხარჯებს ველარ აუვიდა და სეზონის შუაში „ლოკომოტივს" ბიუჯეტი შეუმცირა, რამაც გამოიწვია ის, რომ გუნდი დატოვეს წამყვანმა ფეხბურთელებმა, თუმც ზოგიერთი მათგანის შენარჩუნება მაინც მოხერხდა, მაგალითად, ნაკრების მეკარე გიორგი ლომაიამ „ლოკომოტივი" სეზონის დასრულების შემდეგ დატოვა...

ერთ მნიშვნელოვან ფაქტსაც შეგახსენებთ - გიორგი კიკნაძისა და ზაზა ზამთარაძის „ლოკომოტივი" ერთადერთი გუნდი აღმოჩნდა, რომელმაც XX ეროვნული ჩემპიონატის გამარჯვებულ „ვიტ ჯორჯიას" ძლევა (2:1) მოახერხა. „ლელოს" კითხვებს „ლოკომოტივის" ერთ-ერთი მთავარი მწვრთნელი გიორგი კიკნაძე პასუხობს.

**- განვლილ სეზონში თბილისის „ლოკომოტივს" არაერთი პრობლემა შეექმნა და ყველა დამაბრკოლებელი ფაქტორის გათვალისწინებით, საბოლოო შედეგი, ალბათ, ურიგო არ იყო. თქვენ როგორ შეაფასებდით „ლოკომოტივის" გამოსვლას ეროვნულ ჩემპიონატში?**

- რა თქმა უნდა, სეზონის დასაწყისში კლუბში კარგი ვითარება იყო და ეს გაგრძელდა მანამ, სანამ ფინანსური პრობლემები შეგვექმნებოდა. რამდენიმე ტურის განმავლობაში ჩემპიონატს ვლიდერობდით კიდეც, მაგრამ მერე სიტუაცია აირია, კლუბში გაჩნდა ფინანსური პრობლემები, რამდენიმე ფეხბურთელს ტრავმები არ ასვენებდა... ლევან ცქიტიშვილი, გიორგი ლომაია, რატი ალექსიძე, ვიტალი დარასელია - მიმაჩნია, რომ ასეთი მოთამაშეების გვერდით თამაში პრესტიჟული და სასარგებლო იყო გუნდის დანარჩენი ფეხბურთელებისთვის, მთლიანად კლუბისთვის და საერთოდ ეროვნული ჩემპიონატისთვის. სხვათა შორის, თასის ნახევარფინალამდე რომ მივედით, ეს სეზონის პირველ ეტაპზე კონტიგენტი რომ გვყავდა, სწორედ იმის დამსახურებაა. შუასასეზონო პერიოდის შემდეგ გუნდი დატოვეს ცქიტიშვილმა, ალექსიძემ, დარასელიამ, სამხარაძემ... ამ დანაკლისის გათვალისწინებით, მეორე ეტაპზე ჩვენი გუნდისგან ასეთ თამაშსა და შედეგს არ ველოდით. ფაქტია, ჩემპიონატის გამორჩეულ გუნდებს - თბილისის „დინამოსა" და რუსთავის „ოლიმპს" ქულები დავაკარგვინეთ. ერთადერთი თამაში, რომელშიც მოწინავე გუნდთან, ასე ვთქვათ, სუფთად დავმარცხდით, „ზესტაფონთან" გვქონდა. როცა სხვა მოწინავე გუნდებს ვეთამაშებოდით, მსაჯების მხრიდან იყო მიზანმიმართული ქმედება „ლოკომოტივის" საწინააღმდეგოდ. იმას ვგულისხმობ, რომ მსაჯობა არ იყო ობიექტური. სანამ წამყვანი ფეხბურთელები დაგვტოვებდნენ, შეგვეძლო 13 კაცთან გამკლავება. მაგრამ მათი წასვლის შემდეგ გუნდს აღარ შერჩა იმის ძალა, რომ ფაქტობრივად 13-კაციანი გუნდის წინააღმდეგ ეთამაშა.

**- ფაქტია, რომ მსაჯობაც შეიცვალა. აღარ ინიშნება აშკარად გამოგონილი 11-მეტრიანები და საერთოდაც, არ არის იოლი, დააფიქსირო მსაჯის მიკერძოება...**

- შესაძლოა, ასეც იყოს, მაგრამ დაკვირვებული, პროფესიონალის თვალი მაინც კარგად შეამჩნევდა, რას აკეთებდნენ მსაჯები. არ არის აუცილებელი, რომ მსაჯმა დანიშნოს გამოგონილი პენალტი, თუმცა ის აკეთებს უარესს - მატჩი იწყება ჩვეულებრივად, მსაჯის ქმედებაში ეჭვის შეტანის საფუძველი არ არის, მაგრამ საკმარისია დაეუფლო ინიციატივას, რომ მსაჯი უკვე იწყებს „მოქმედებას", შენს საწინააღმდეგოდ ნიშნავს წვრილ-წვრილ ჯარიმებს, აუტებს, რაც ერთობლიობაში საკმაოდ მნიშვნელოვან გავლენას ახდენს თამაშის მსვლელობაზე და, აქედან გამომდინარე, შედეგზეც.

**- პირველი ეტაპის შემდეგ გუნდიდან წავიდნენ წამყვანი ფეხბურთელები და ერთი-ორი გამოცდილი მოთამაშის გარდა, „ლოკომოტივის" მწვრთნელებს შერჩათ ახალგაზრდა ფეხბურთელები. ასეთ დროს რა იყო თქვენი და ზაზა ზამთარაძის სამოქმედო გეგმა?**

- მიმაჩნია, რომ მეორე წრეში „ლოკომოტივის" ამ ფეხბურთელებმა აჩვენეს ის თამაში, რასაც ქართველი მაყურებელი ელოდა. გუნდის ახალგაზრდა ფეხბურთელებმა საკმაოდ ბევრი ისწავლეს წამყვანი მოთამაშეებისგან. გამოვყოფდი კახა მახარაძეს, რომელიც ჩვენამდე სხვადასხვა გუნდში იყო განათხოვრებული და, ფაქტობრივად, ფეხი ვერსად ვერ მოიკიდა. „ლოკომოტივში" რომ მოვიდა, სეზონის პირველ ეტაპზე სასტარტო შემადგენლობაში ვერ ხვდებოდა, თუმცა ვარჯიშობდა გუნდის გამოცდილ ფეხბურთელებთან და შეცვლაზე თამაშიც უწევდა. ამით მან საკმაოდ ბევრი ისწავლა და მეორე ეტაპზე ეროვნული ჩემპიონატის ერთ-ერთი საუკეთესო ფეხბურთელიც იყო. აშკარად გამოჩნდა, რომ მახარაძეს საკმაოდ დიდი პერსპექტივა აქვს და კიდევ ერთი სეზონიც სტაბილურად რომ ითამაშოს, უკვე სერიოზულ ფეხბურთელად ჩამოყალიბდება. ცალკე უნდა აღვნიშნო გიორგი დიაკვნიშვილი, ვფიქრობ, რომ ეროვნული ნაკრების მწვრთნელებმა მას ყურადღება უნდა მიაქციონ. ჩემი შეხედულებით, ეს ბიჭი ცოტა ხანში შეძლებს, საქართველოს ნაკრებში სხვებზე უკეთესი იყოს. ამაში დარწმუნებული ვარ.

**- უკვე ცნობილია, რა ფინანსური შესაძლებლობები ექნება „ლოკომოტივს" დამდეგ სეზონში?**

- არა, ეს ჯერ არ არის გარკვეული.

**- გასაგებია, მაგრამ დაახლოებით ალბათ იცით, რა სახსრებით უნდა დააკომპლექტოთ გუნდი...**

- ეს სახსრები მოსაძიებელია. რაც შეეხება სტრატეგიას, მიმაჩნია, რომ ამ ეტაპზე არ აქვს აზრი ევროტურნირის საგზურისთვის ბრძოლას.

**- რატომ ხართ განწყობილი ასე პესიმისტურად? 5 წლის წინ ხომ თბილისის „დინამო" უეფას თასის ჯგუფურ ეტაპზე მოხვდა?**

- მე დღევანდელ რეალობას ვგულისხმობ. მაშინ „დინამომ" რამდენიმე წელიწადი და საკმაოდ ბევრი ფული დახარჯა და სწორედ ამის შემდეგ მიაღწია ასეთ შედეგს. ახლა ფინანსდებიან კი ასე მძლავრად ქართული კლუბები?

**- მოდი, ერთი წუთით წარმოიდგინეთ, რომ კლუბის ხელმძღვანელობამ მოგცათ 5 მილიონი და დაგისახათ ევროლიგის ან ჩემპიონთა ლიგის ჯგუფურ ეტაპზე გუნდის გაყვანა - შეასრულებთ ამ ამოცანას?**

- ამ 5 მილიონ დოლარს უნდა დაემატოს სათანადო ინფრასტრუქტურა და ამის შემდეგ ეს რესურსი საკმარისი იქნება იმისთვის, რომ ქართულმა გუნდმა სერიოზულად „იჭიდაოს" ევროლიგის ან ჩემპიონთა ლიგის ჯგუფურ ეტაპზე მოსახვედრად. ასეთი რამისთვის 5 მილიონი მინიმალური თანხა იქნება. საქართველოს ჩემპიონობისთვის კი ეს ფული სავსებით საკმარისია. ისიც გასათვალისწინებელია, რომ ფეხბურთში ფულით გარანტიებს ვერ მიიღებ...

**- წამყვანი ფეხბურთელების გუნდიდან წასვლა, შუა გზაზე კლუბის ბიუჯეტის შემცირება და გაურკვევლობა, თუ რა ფინანსური რესურსი ექნება გუნდს დამდეგი სეზონისთვის - ასეთ ორომტრიალში გიწევთ მუშაობა და როგორ ფიქრობთ, ყოველივე ეს არ გიშლით ხელს პროფესიულ განვითარებაში?**

- ასეთ სიტუაციებში ძალიან ბევრი რამ ვისწავლე. მიუხედავად სიტუაციის ცვალებადობისა, მაინც ვახერხებდით ნორმალური შედეგის მიღწევას. იყო მომენტები, როცა „გაგრა", „მგლები" და „მესხეთი" ჩვენზე უკეთეს სიტუაციაში იყვნენ, მაგრამ უმაღლეს ლიგაში ადგილი მაინც შევინარჩუნეთ. სირთულეებში რომ მომიწია მუშაობამ, ამაშიც კი ბევრი ახალ-ახალი რაღაც აღმოვაჩინე. მე და ზაზა ზამთარაძეს მწვრთნელობაში ამბიციები გვაქვს და ამ მიმართულებიდან არ გადაგვიხვევია - „ლოკომოტივს" არც ერთ გარიგებულ თამაშში არ მიუღია მონაწილეობა და არც ერთხელ არ მოუსყიდია მსაჯი, ჩვენი ფეხბურთელები ნამდვილ ბრძოლებში გამოიწვრთნენ. წლეულს, სეზონის ბოლოს, ძალიან ბევრი იყო გარიგებული თამაში და როცა ასეთი გუნდები მალე ნამდვილ ბრძოლებს წააწყდებიან, რა უნდა მოახერხონ?

**დავით თავართქილაძე**

ლოკომოტივი 2008/09
ყველა მატჩი

| | |
|---|---|
| **I წრე** | |
| ლოკომოტივი-მესხეთი | 2:0 |
| ლოკომოტივი-დინამო | 1:0 |
| ვიტ ჯორჯია-ლოკომოტივი | 1:2 |
| ლოკომოტივი-მგლები | 0:1 |
| ბორჯომი-ლოკომოტივი | 0:2 |
| ლოკომოტივი-გაგრა | 2:0 |
| სპარტაკი-ლოკომოტივი | 1:4 |
| ლოკომოტივი-სიონი | 0:1 |
| ლოკომოტივი-ოლიმპი | 0:2 |
| ზესტაფონი-ლოკომოტივი | 3:1 |
| **II წრე** | |
| მესხეთი-ლოკომოტივი | 3:1 |
| დინამო-ლოკომოტივი | 2:1 |
| ლოკომოტივი-ვიტ ჯორჯია | 0:1 |
| მგლები-ლოკომოტივი | 0:0 |
| ლოკომოტივი-ბორჯომი | 4:0 |
| გაგრა-ლოკომოტივი | 0:0 |
| ლოკომოტივი-სპარტაკი | 2:1 |
| სიონი-ლოკომოტივი | 3:1 |
| ოლიმპი-ლოკომოტივი | 0:0 |
| ლოკომოტივი-ზესტაფონი | 1:2 |
| **III წრე** | |
| ლოკომოტივი-მესხეთი | 0:0 |
| ლოკომოტივი-დინამო | 0:0 |
| ვიტ ჯორჯია-ლოკომოტივი | 3:1 |
| ლოკომოტივი-მგლები | 1:1 |
| ბორჯომი-ლოკომოტივი | 1:1 |
| ლოკომოტივი-გაგრა | 0:1 |
| სპარტაკი-ლოკომოტივი | 1:3 |
| ლოკომოტივი-სიონი | 1:1 |
| ლოკომოტივი-ოლიმპი | 1:3 |
| ზესტაფონი-ლოკომოტივი | 1:3 |



ინტერვიუ

მაისის ბოლოს „მიუნხენ 1860-ის“ მცველ მათე ღვინიანიძეზე სენსაციური ინფორმაცია გავრცელდა - ქართველ ფეხბურთელს 20 წლის გოგონამ გაუპატიურებაში დასდო ბრალი. მოგვიანებით გაირკვა, რომ მსგავსი არაფერი ყოფილა, უბრალოდ, მათეს დაშანტაჟებას შეეცადნენ...

მოკლედ, ეს უკვე ჩავლილი ამბავია. ღვინიანიძე კი ახლა სამშობლოშია. ბუნებრივია, ვისარგებლეთ შემთხვევით და მათეს გავესაუბრეთ. ინტერვიუში ფრიად საინტერესო ამბები გავიგეთ. ამიტომ, თავს აღარ შეგაწყენთ და პირდაპირ საქმეზე გადავალთ...



## მათე ღვინიანიძე

# ეს ჩვეულებრივი შანტაჟი იყო!

## ღვინიანიძესა და კუპერს შორის არასასიამოვნო ლაპარაკი ყოფილა...

**- მათე, ბუნებრივია, საუბარი იმ გახმაურებული სკანდალით უნდა დავიწყოთ. იქნებ, ყველაფერი დეტალურად მოუთხროთ მკითხველს...**

- რა გასახსენებელი ამბავი ეგ არის, მაგრამ რაკი ინტერესია... სეზონის დასრულებიდან მეორე დღეს ჩემს მეგობართან ერთად, რომელიც ნახევრად გერმანელი და ნახევრად ბერძენია, ერთ-ერთ ბარში ვიყავი. წვენს მივირთმევდით და ვსაუბრობდით. მობილურზე ერთმა ნაცნობმა იტალიელმა გოგონამ დამირეკა. მასთან თითქმის 3 წელიწადია, ვმეგობრობ. იტალიაშიც არაერთხელ დამპატიჟა, მის მშობლებსაც ვიცნობ... მოკლედ, დამირეკა და მეუბნება - მეგობარ გოგონასთან ერთად სწორედ მაგ ბარში მოვდივარ, არსად წახვიდეთ, ცოტა გავერთოთო. არადა, დაღლილი ვიყავი და უკვე შინ წასვლას ვაპირებდი... რა გაეწყობოდა, უარს ხომ ვერ ვეტყოდი? მოვიდნენ. ამ იტალიელმა თავისი მეგობარი ფრანგად გამაცნო, რაშიც მაშინვე ეჭვი შემეპარა. ცოტა ხანს მართლაც გავერთეთ, ვიცეკვეთ და შინ დავბრუნდი. სრულიად გულწრფელად ვამბობ - სხვა არაფერი მომხდარა! გერმანულ პრესაში კი იცით, რა დაიწერა? გოგონებს უთქვამთ - მათემ და მისმა მეგობარმა ახლობლის სახლში აგვიყვანეს და ძალადობაც იქ მოხდაო. ეს არის მტკნარი სიცრუე! ქალი რომ მნდომებოდა, რა შემიშლიდა ხელს? სავსეა გერმანია ლამაზი ქალებით და ძალადობა რაში დამჭირდებოდა?! შინ მივედი და დავიძინე. 2 საათში მოდის პოლიცია და მეუბნება - გაუპატიურების გამო თქვენ წინააღმდეგ სარჩელია შეტანილიო. გავოგნდი, მაგრამ ხომ იცით, როცა ადამიანი მართალია, არაფრის ეშინია. არც შემშინებია და არც დავბნეულვარ. უმალ ადვოკატს მივმართე და სიმართლეც დავამტკიცე...

**- „ბილდმაც“ ასე დაწერა, მათე ღვინიანიძე შანტაჟის მსხვერპლიაო...**

- ადვოკატს რომ მივმართე, იმ ვითომ ფრანგმა გოგონამ, რომელმაც ჩემ წინააღმდეგ ცრუ ბრალდების საფუძველზე სარჩელი შეიტანა, შემომითვალა - ბევრი არ არის საჭირო, გარკვეული თანხა გადამიხადე და სარჩელს უკან გამოვიტანო; თუ ამ პირობაზე თანახმა ხარ, გამაგებინე, თანხის ოდენობასაც დაგისახელებ და იმასაც გეტყვი, რომელ ბანკში უნდა ჩამირიცხოო. გესმით?! ეს იყო კლასიკური შანტაჟი. მართალი ვიყავი და შესაბამისად, სამართალდამცავებმა სამხილი კი არა, ოდნავი ხელჩასაჭიდიც კი ვერ იპოვეს. საქმე ჯერ კიდევ არ იყო დახურული, როცა მითხრეს - ვიცი, შვებულება გაქვთ და შეგიძლიათ, სამშობლოში დაბრუნდეთო. უდანაშაულო რომ ვიყავი, მეორე დღეს შესაბამისი საბუთიც მომცეს... სხვათა შორის, მირჩიეს - იმ გოგონას იქით შეგიძლია უჩივლო და კომპენსაციაც მოსთხოვო, პროცესს მოიგებო. მაგრამ არ მინდა, არ ვარ მაგის კაცი. რაც იყო, იყო.

**- მაშინ გადავიდეთ საფეხბურთო თემაზე. განვლილ სეზონს როგორ შეაფასებდით?**

- პირველი წრე ჩინებული იყო, მაგრამ მეორეზე იმავეს ვერ ვიტყოდი. ჩემპიონატის პირველ ნახევარში „მიუნხენ 1860-ს“ ყველაზე ცოტა გოლი ჰქონდა გაშვებული და ცენტრალური მცველები, მე და ბერჰალტერი, საუკეთესოებად დაგვასახელეს. არდადეგების შემდეგ კი ტრავმების გამო გარკვეული პერიოდი გამიცდა... რაც შეეხება გუნდს, სამწუხაროდ, ბუნდესლიგაში ვერ გადავედით, ძალიან ბევრი უპატიებელი ქულა გავანიავეთ და ბოლოს მე-12 ადგილზე აღმოვჩნდით. სხვათა შორის, დაცვაში ჩემს მეწყვილე ბერჰალტერს მწვრთნელთან უსიამოვნება მოუვიდა აშშ-ში დაბრუნდა. მეორე ცენტრალური მცველი ტორანდტი კი „ზანკტ პაულიში“ გადავიდა. ასე რომ, ჯერ არ ვიცი, დაცვის ცენტრში ვისთან ერთად მომიწევს თამაში.

> ქალი რომ მნდომებოდა, რა შემიშლიდა ხელს? სავსეა გერმანია ლამაზმანებით და ძალადობა რაში დამჭირდებოდა?!

**- გამოდის, რომ „მიუნხენში“ რჩებით...**

- კონტრაქტი 2011 წლის ზაფხულამდე მაქვს. მიუნხენში კიდევ ერთ სეზონსაც გავატარებ და მერე ვნახოთ.

**- გავიგეთ, ბუნდესლიგური კლუბების ინტერესთა სფეროში ყოფილხართ. ერთი „აინტრახტია“, სხვები?**

- ეს საკითხი ჩემს აგენტ კარლ ჰერცოგს ეხება. მან ბუნდესლიგის სამ კლუბზე მითხრა, მაგრამ ისიც მთხოვა, საჯაროდ არაფერი მეთქვა. ამიტომ, ვერც თქვენ გიკონკრეტებთ.

**- „რეინჯერსში“ გადასვლა მართლა რეალური იყო?**

- კი, „რეინჯერსსა“ და კიდევ ერთ შოტლანდიურ კლუბზე, ოღონდ, ახლა ზუსტად აღარ მახსოვს, რომელზე, მართლა იყო ლაპარაკი. გლაზგოელებმა მისაღები წინადადება შემომთავაზეს, „მიუნხენისთვის“ კომპენსაციის გადახდაზეც არ იყვნენ უარს, მაგრამ ბრიტანეთში სამუშაო ვიზისთვის საჭირო სანაკრებო 75 პროცენტი არ მქონდა დაგროვილი და... ამიტომაც ვერ შედგა ტრანსფერი.

**- ახლა ნაკრებზეც ვისაუბროთ. რუმინეთთან ამხანაგური მატჩის შემდეგ ეროვნულ გუნდში აღარ გამოგიძახეს...**

- ნაკრების ხსენებაც არ მინდა. თუ ექტორ კუპერს მიაჩნია, რომ ასათიანი, მუჯირი, ცქიტიშვილი, გოგუა, ამისულაშვილი... და მეც, ნაკრებში თამაშს არ ვიმსახურებთ... კი, ბატონო, ეგრე იყოს... ყველგან ასეა - ეროვნულ გუნდში საუკეთესოები უნდა თამაშობდნენ. ამდენი კარგი ფეხბურთელის იგნორირება რომ ხდება, იმიტომაც არ არის შედეგი. თითქმის წელიწადია, ნაკრებს თამაში არ მოუგია... ამხანაგურ მატჩებსაც ველარ ვიგებთ. მეტიც, შინ მოლდოვასთან ვმარცხდებით...

**- მათე, რამდენადაც ვიცი, კუპერს ნაკრებში თამაში მოსთხოვეთ...**

- შემოდგომაზე ვილაპარაკეთ. საერთოდ, მწვრთნელის საქმეა, ვის ათამაშებს და ვის - არა, მაგრამ როცა ხედავს, რომ კარგ ლიგაში ხარ, კლუბშიც სტაბილურად თამაშობ და მაინც იგნორირებას გიკეთებენ, ძნელია, ამას მშვიდად უყურო. კუპერს სწორედ ეს ვუთხარი. ჩემი აზრით, სიმართლე ვთქვი და არ ვიცი, რა ეწყინა. ფაქტია, იმის შემდეგ ნაკრებში მხოლოდ ერთხელ გამომიძახეს...

**- რუმინეთში სასტარტოში იყავით და შესვენებაზე შეგცვალათ. მატჩის შემდეგ კუპერმა რამე ხომ არ გითხრათ, ან რამეზე ხომ არ მიგითითათ?**

- არაფერი უთქვამს. რუმინეთში პირველი ტაიმი ვითამაშე და ვფიქრობ, მწვრთნელი კმაყოფილი უნდა ყოფილიყო. მიმაჩნია, რომ ეროვნულ ნაკრებში თამაშს ნამდვილად ვიმსახურებ. ჩემი და სხვა ფეხბურთელების იგნორირება, წეღან რომ ვახსენე, ნაკრებს კარგს არაფერს მოუტანს. იმედი მაქვს, ამ მხრივ ვითარება შეიცვლება...

**- და ბოლო კითხვა: მიუნხენში ქართული სპორტის ფანკლუბი შეიქმნა და პრეზენტაციაზე თქვენც იყავით მიწვეული. რას იტყოდით ამაზე?**

- დიახ, მიუნხენში მცხოვრებმა ქართველებმა მართლაც შექმნეს სპორტის ფანკლუბი. ჩვენი ემიგრანტები დიდი გულშემატკივრები არიან, დიდი ინტერესიც აქვთ სპორტის და მით უმეტეს, ფეხბურთის მიმართ. რითიც შემეძლება, მათ ყოველთვის მხარში დავუდგები.

**დავით ცაგაძე**

ინტერვიუ

## გურამ სამადაშვილი

# ამ ეტაპზე მაინც საქართველოში თამაში მირჩევნია

## რომ არა პრობლემები, მეტსაც გავიტანდიო...

**ანდასრულებული XX ეროვნული ჩემპიონატის ბომბარდირ ნიკოლოზ გელაშვილთან ერთად მხოლოდ ახალციხის „მესხეთის“ თავდამსხმელი გურამ სამადაშვილი გახლდათ ის ფეხბურთელი, რომელმაც თავისი გუნდის მიერ გატანილი გოლების თითქმის ნახევარი საკუთარ აქტივში ჩაიწერა. მესხთა 23 გოლიდან 10 სწორედ სამადაშვილის ანგარიშზეა. ამ შედეგით ის ჩემპიონატის ბომბარდირთა შორისაც მოწინავე პოზიციებზე მოხვდა. ნიშანდობლივია, რომ სეზონის დასაწყისში მას თითქმის არ უწევდა თამაში, შემდეგ კი ძირითადად შეცვლაზე შედიოდა, თანაც, ახალციხელებმა ხომ უსახსრობის გამო ჩემპიონატის მსვლელობისას რამდენჯერმე გადაწყვიტეს ტურნირის მიტოვება... თუმცა სამადაშვილმა ამ ვითარებაშიც მოახერხა ერთობ რიგიანი პირადი მარაგის შექმნა და თანაგუნდელებთან ერთად „მესხეთის“ ლიგაში ადგილის შენარჩუნებაშიც მნიშვნელოვანი წვლილი დაიდო.**

**მოკლედ, გთავაზობთ ინტერვიუს „მესხეთის“ თავდამსხმელ გურამ სამადაშვილთან.**

- „მესხეთში“ წელიწად-ნახევრის წინ, გორის „დილადან“ გადავედი. თავდაპირველად, გუნდში საკმაოდ ნორმალური სიტუაცია იყო, უსახსრობა არ გვაწუხებდა და ხელმძღვანელობაც შედეგს სამართლიანად ითხოვდა. ეს კი ფეხბურთელებს ენთუზიაზმს გვმატებდა.

**- ენთუზიაზმის დეფიციტს არც მაშინ განიცდიდით, როცა მთლად უსახსროდ დარჩით. სხვაგვარად ხომ შეუძლებელი იქნებოდა „მესხეთის“ უმაღლეს ლიგაში დარჩენა...**

- ცხადია, ასეთ მძიმე ფინანსურ სიტუაციაში მყოფი გუნდის ფეხბურთელი კმაყოფილი ვერ იქნება, მაგრამ ფეხბურთი მარტო ეს ხომ არ არის? გუნდის კარგი თამაში და შედეგი, ეს ფეხბურთელების ღირსების საქმეა! კმაყოფილი ვარ, რომ ჩვენი საქმე, შეძლებისდაგვარად, კარგად გავაკეთეთ და ლიგაში ადგილის შენარჩუნება მოვახერხეთ.

**- პირველი წრის მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, უფრო მეტიც შეგეძლოთ...**

- დიახ, სტარტი საკმაოდ კარგად გავიარეთ. ბოლნისში მოპოვებული ქულა და ამას გარდა, „ზესტაფონსა“ და „მგლებთან“ სტუმრად მოგებული (1:0, 2:0) მატჩები სენსაციად შეაფასეს. ზუგდიდში მეც ძალიან კარგად ვითამაშე - ჯერ საგოლე პასი შევასრულე, ხოლო შემდეგ თავად გავიტანე. მომდევნო ტურში კი „ბორჯომთან“ დუბლიც შევასრულე.

**- არადა, ჩემპიონატის დასაწყისში თამაში თითქმის არ გიწევდათ...**

- საწყისი 5 ტური გამოვტოვე. შემდეგ, ჩემი შედეგიანი თამაშით კმაყოფილმა მწვრთნელმა ძირითად შემადგენლობასთანაც დამაახლოვა, თუმცა ხშირად მაინც ერთ ტაიმით დაკმაყოფილება მიწევდა. ვერ ვიტყვი, რომ ფიზიკურად არ შემეძლო ორი ტაიმის გაძლება. მეტწილად შეცვლებზე რომ შევდიოდი, ეს უფრო მწვრთნელის ტაქტიკური მოსაზრებით იყო გამოწვეული.

**- მიუხედავად ამისა, „მესხეთის“ მიერ გატანილი გოლების თითქმის ნახევარი თქვენს ანგარიშზეა...**

- არც ერთ ჩემს თანაგუნდელს ორზე მეტი გოლი არ გაუტანია. ფაქტობრივად, ბურთები მხოლოდ მე გამქონდა. თუმცა ეს არ ყოფილა მხოლოდ ჩემი დამსახურება, პარტნიორებმაც შემიწყვეს ხელი.

**- ამ სეზონში თქვენი ყველაზე ლამაზი და მნიშვნელოვანი გოლები თუ შეგიძლიათ, გამოარჩიოთ?**

- პრესის შეფასებით თუ ვიმსჯელებთ, ყველაზე ლამაზი „გაგრასთან“ მატჩში გატანილი გოლი გამოვიდა. მაშინ მწვრთნელმა მოედანზე მეორე ტაიმში შემიშვა და ჯერ მიქაბერიძის პასით გავიტანე, მერე კი ინდივიდუალური გარღვევით, თანაც - მეტად ეფექტურად. ამასთან, ვფიქრობ, ეს ყველაზე მნიშვნელოვანი გოლიც იყო - მეტოქე ხომ ჩვენი უშუალო კონკურენტი იყო. სხვათა შორის, უნდა ვთქვა, რომ ამ ტიპის თამაშებში ყველა თავგანწირვით ვიბრძოდით. თუნდაც, „სპარტაკთან“ გადამწყვეტი მატჩი რად ღირს. მართალია, მე ტრავმის გამო ვერ ვითამაშე, მაგრამ იმავე „სპარტაკთან“ პირველი მატჩი ჩემი ერთადერთი გოლის წყალობით მოვიგეთ.

**- ბომბარდირობაზე პირველივე ტურებიდან ფიქრობდით?**

- პრაქტიკის სიმცირის გამო ამას ვერც წარმოვიდგენდი, მაგრამ წლის ბოლოს, პირველი ეტაპის დასრულების შემდეგ, ბომბარდირთა დავაში დაწინაურებულ მათე ვაწაძეს მხოლოდ 2 გოლით ჩამოვრჩი, მივხვდი, რომ პირველობისთვის ბრძოლას აზრი ჰქონდა, მაგრამ სამწუხაროდ, მერე სიტუაცია აირია...

**- ალბათ, თქვენს შედეგებზე ამანაც იმოქმედა უარყოფითად...**

- ძნელია, ეს გუნდს დააბრალო, თუმცა მჯერა, კიდევ მეტი შემეძლო. ეგ იყო, რომ შექმნილმა ვითარებამ მართლაც იმოქმედა ჩემზე. „მესხეთმა“ ჩემპიონატის შესაძლო მიტოვებაზე პირველად რომ განაცხადა, მე ბომბარდირთა შორის ვიყავი, გუნდი კი სატურნირო ცხრილის მეხუთე საფეხურზე იმყოფებოდა. მერე „მესხეთი“ კიდევ რამდენჯერმე დადგა დაშლის ზღვარზე - შეუძლებელია, ამ მდგომარეობაში მშვიდად ითამაშო ფეხბურთი. რა გასაკვირია, რომ ამ სიტუაციაში ფეხბურთის ნერვები არავის ჰქონდა... სხვათა შორის, სეზონის ბოლომდე რომ მივატანეთ და არ დავიშალეთ, ჩვენი მწვრთნელის კობა თედიაშვილის დიდი დამსახურებაა.



**- კონტრაქტით ისევ „მესხეთს“ ეკუთვნით?**

- არა, კონტრაქტი დამიმთავრდა და შეიძლება ითქვას, 99 პროცენტით გადაწყვეტილი მაქვს, რომ სხვა გუნდში წავალ. უმაღლესი ლიგის 3 და პირველი ლიგის ერთი გუნდი მეპატიჟება. პირველი ლიგის გუნდი ერთობ რიგიანი კია, მაგრამ... მე უმაღლეს ლიგაში მინდა თამაში.

**- ახლო საზღვარგარეთს ბევრმა ქართველმა მიაშურა. თქვენც ხომ არ გიხილავთ რომელიმე აზერბაიჯანულ ან სომხურ კლუბში?**

- უცხოეთში თუ წავალ, ეს უკრაინა იქნება ან რუსეთი. არა მგონია, 23 წლის ფეხბურთელისთვის სომხური ლიგა სახარბიელო ვარიანტი იყოს. კი, ამ მხრივ არც საქართველოშია უკეთესი მდგომარეობა, მაგრამ... მოკლედ, ამ ეტაპზე მაინც საქართველოში თამაში მირჩევნია.

**ვასილ ბალახაძე**

ეროვნული ბიბლიოთეკა

სამტრედია



მარცხნიდან: ზურაბ იონანიძე და ზაზა ჯანაშია



ტარიელ ჩაჩუა

# ეს გუნდი ერთხელ უკვე დაიჩაგრა

*ქუთაისის „ტორპედო“, ლანჩხუთის „გურია“, ბათუმის „დინამო“, ფოთის „კოლხეთი“, „სამტრედია“ - ხუთი უდიდესი ტრადიციისა და ისტორიის გუნდი წლების განმავლობაში ამშვენებდა საქართველოს ეროვნულ ჩემპიონატს. აღარაფერს ვამბობთ იმ ფაქტზე, თუ რამდენი ფეხბურთელი აღზრდილა ამ რეგიონებში, შემდეგ საქართველოს ნაკრების ღირსება რომ დაუცავს. სამწუხაროდ, უკვე წლებია, ქართული ფეხბურთის ძირითად მასაზრდოებელ არტერიაში - დასავლეთ საქართველოში, სპორტის ეს სახეობა აღარავის სჭირდება! ამიტომაც გაგვიხარდა, როცა ორი წლის წინ ზუგდიდური გუნდი უმაღლეს ლიგას დაუბრუნდა; გვეგონა, ზუგდიდელთა მაგალითს სხვებიც მიჰბაძავდნენ და ქუთაისში, ლანჩხუთში, ბათუმში, ფოთსა თუ სამტრედიაშიც დაიწყებოდა ფეხბურთის აღორძინება. და აი, ახლახან დასრულებული სეზონის მიხედვით, უმაღლეს ლიგას ერთ-ერთი ამ ძველი გრანდთაგანი დაუბრუნდა - „სამტრედიამ“, მართლაც ყველასთვის მოულოდნელად, პირველი ლიგის დასავლეთ ზონაში გაიმარჯვა!*

## მოულოდნელი აღზევება

მოულოდნელადო, იმიტომ ვამბობთ, რომ სეზონის დაწყების წინ „სამტრედიის“ უმაღლესში აღზევებაზე, საერთოდ, არავინ ლაპარაკობდა; ეგ კი არა, ლამის წინასწარ იყო ცნობილი ზონის ფავორიტის ვინაობა - სოლიდურბიუჯეტიანი და ფართოდ რეკლამირებული ზუგდიდის „ბაია“, არანაკლებ ძლიერი შემადგენლობით და გერმანელი მწვრთნელით **ჰერბერტ ცანკერით.** იმაზეც საუბრობდნენ, რომ თუ ვინმე გაუწევდა კონკურენციას ზუგდიდელებს, მარტვილის „მერანი“ უნდა ყოფილიყო - ასევე სოლიდურად დაფინანსებული გუნდი გულუხვი სპონსორებისაგან. და აი, დაახლოებით მეორე ეტაპის დასაწყისიდან, ლიდერთა დავაში ნელ-ნელა „სამტრედიაც“ ჩაერია; ეგ კი არა, ფინიშისკენ კონკურენტებიც ჩამოიტოვა და სავსებით დამსახურებულად მოიპოვა უმაღლესი ლიგის საგზური.

რაღა თქმა უნდა, გუნდის ასეთი სახეცვლილება ტრიბუნებზეც აისახა - „სამტრედიის“ საშინაო მატჩებს უკვე რამდენიმე ათასი კაცი ესწრებოდა; ეგ კი არა, გასვლით შეხვედრებზეც ათასამდე ერთგული ქომაგი დაჰყვებოდა საყვარელ გუნდს. ვაღიაროთ: ამ წარმატებას არავინ ელოდა; თანაც, არ ელოდნენ - როგორც თბილისში, ასევე... სამტრედიაშიც! ყოველ შემთხვევაში, უმაღლესი ლიგის საგზური რომ მოიპოვა გუნდმა, ეტყობა, მაშინ გაიგეს, რომ უფრო ზედა ლიგაში „განსხვავებული“ მოთხოვნებია. მოკლედ, დაფაცურდნენ და ლიცენზირებას რაც სჭირდება, იმ პირობების შესრულება დაიწყეს. თუმცა, მერე ახალი საფიქრალი გაუჩნდათ: კლუბს ადგილობრივი გამგეობა აფინანსებდა და - ესეც არ შეიძლებაო, თბილისიდან შემოუთვალეს. „სამტრედიის“ პრეზიდენტი, **ზაზა ადეიშვილი** კიდევ უფრო დაფაცურდა და ამჟამად, ფაქტობრივად, გარკვეულია, რომ კლუბს კერძო სტრუქტურები დააფინანსებს. მაგრამ რად გინდა - სამტრედიაში ჯერაც არავინ იცის, დაუშვებენ თუ არა მათ საყვარელ გუნდს უმაღლეს ლიგაში. არადა, ჩვენი ფეხბურთის ჩინოსანი თუ უჩინო მოხელე, საფეხბურთო ოპოზიციის წარმომადგენელი თუ ამ სახეობაზე მწერალი ნებისმიერი ჟურნალისტი, წლებია, ერთსა და იმავეს გაიძახის: რეგიონებში ფეხბურთი უნდა ავაღორძინოთო! ჰოდა, რატომ ვუქმნით ხელოვნურ დაბრკოლებებს გუნდს, სპორტული პრინციპების სრული დაცვით რომ მოიპოვა უმაღლეს ლიგაში ასპარეზობა? ბოლოს და ბოლოს, „სამტრედიის“ წარმატებამ, იქნება იმავე „ტორპედოს“, „გურიას“, „ბათუმის“ და „კოლხეთის“... „თავმოყვარეობაზეც“ იმოქმედოს და ამ უდიდესი ტრადიციის გუნდებმაც დაიწყოს სასიკეთო ძვრები...

...“სამტრედიის“ მართლაც მოულოდნელ ტრიუმფზე ვსაუბრობთ და არაფერი გვითქვამს ამ გამარჯვების მთავარ შემოქმედზე; **ვალერიან ჩხარტიშვილზე** მოგახსენებთ, ქართული სამწვრთნელო სკოლის, მართლაც ღირსეულ და დამსახურებულ წარმომადგენელზე; 70-წელს მიტანებულ კაცს, სხვადასხვა დროს სხვადასხვა გუნდში არაერთი წარმატებისთვის რომ მიუღწევია; ერთი შეხედვით, ფეხბურთში რაღა უნდა დაემტკიცებინა; თუმცა, საბედნიეროდ, ჩხარტიშვილს კიდევ ჰქონია დარჩენილი საკმარისი მოტივაცია და სამტრედიელებსაც ეს სიხარული აჩუქა.

...იმედს ვიტოვებთ, რომ საქართველოს პროფესიული ფეხბურთის ლიგის და საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის ხელმძღვანელები საბოლოოდ გონივრულ გადაწყვეტილებას მიიღებენ; თანაც, ძველი დამსახურებისა თუ ტრადიციების გამო ხომ არ ითხოვენ სამტრედიელები თავიანთი გუნდის უმაღლეს ლიგაში დაშვებას?!

## საქართველოს ჩემპიონატებში...

პირველ ეროვნულ ჩემპიონატამდე სამტრედიის „ლოკომოტივი“ წლების განმავლობაში საკავშირო პირველობის მეორე ლიგაში ასპარეზობდა და საკმაოდ წარმატებულადაც. სამწუხაროდ, სამტრედიელებს სულ მცირედი აკლდებოდათ საკავშირო პირველ ლიგაში გადასასვლელად. უფროსი თაობის ქომაგებს კი ალბათ დღემდე ემახსოვრებათ, მართლაც, დაუვიწყარი პაექრობები ორ მეზობელ რაიონს შორის; უფრო ზუსტად, ეს სპორტულ პაექრობაზე მეტი იყო - სამტრედიის „ლოკომოტივისა“ და ლანჩხუთის „გურიას“ შეხვედრებს მუდამ არნახული აჟიოტაჟი ახლდა.

...და აი, 1990 წლიდან ეროვნული ჩემპიონატის ჩატარება გადავწყვიტეთ; მოგეხსენებათ, იმ დროს თითქმის ყველა გუნდს სახელი შეეცვალა და სამტრედიელებმაც „ლოკომოტივს“ ბევრად მშვენიერი „სანავარდო“ არჩიეს. სამწუხაროდ, სადებიუტო ჩემპიონატში „სანავარდომ“ მთლად დამაჯერებლად ვერ იასპარეზა; ყოველ შემთხვევაში XII ადგილი გუნდის პოტენციალს ნამდვილად არ შეეფერებოდა. უფრო უარესი შედეგი ჰქონდა გუნდს მეორე ჩემპიონატშიც - ჯერ კიდევ ორი წლის წინ სამტრედიელებს მიაჩნდათ, რომ მათი საყვარელი გუნდი სიძლიერით საქართველოში მესამე-მეოთხე იყო და XVIII ადგილს როგორ შეეგუებოდნენ! არადა, გუნდში ურიგო ფეხბურთელები ნამდვილად არ თამაშობდნენ: **გივი ბაბუნიძე, დურმიშხან** და **დავით თვალაბეიშვილები, ივანე თოდაძე, დავით კოხრეიძე, გიორგი ვაშაკიძე, ნოდარ ჭელიძე,** - ბევრ მათგანს საკავშირო პირველობაზე არაერთი მატჩი ჰქონდა ჩატარებული.

მესამე ჩემპიონატის დაწყების წინ გუნდის მთავარ მწვრთნელად **მურთაზ ხურცილავა** დაინიშნა, ვინც გუნდში ახალი ფეხბურთელები მოიყვანა: **დავით სანიკიძე, გიორგი ნადირაძე, ვლადიმერ გეგეშიძე, ზვიად ენდელაძე;** ამათ გარდა რუსეთიდან სამი ლეგიონერიც ჩამოიყვანეს, მაგრამ იმედები მხოლოდ **იური სობოლმა** გაამართლა - ზვიად ენდელაძესთან ერთად თავდასხმაში მძლავრი „დუეტი“ რომ შექმნა. ხურცილავამ გუნდში მხოლოდ პირველი წრე იმუშავა, საბოლოო შედეგი კი მაინც არადამაკმაყოფილებელი იყო - XV ადგილი. შედარებით უკეთ იასპარეზა გუნდმა მეოთხე ჩემპიონატში - **ჯუმბერ ჯალალონიას** ხელმძღვანელობით X ადგილი რომ დაიკავა. სწორედ მაშინ გამოჩნდნენ „სამტრედიის“ ძირითად შემადგენლობაში იმ დროისათვის ახალგაზრდა ფეხბურთელები: **გრიგოლ ჭანტურია** (დღესაც რომ აგრძელებს კარიერას), **გელა ფანჩულიძე, დავით ხუჭუა.**

აი, 1993-94 წლების სეზონში კი „სამტრედია“ პირველად იყო ახლოს საპრიზო სამეულში მოსახვედრად - გუნდი საბოლოოდ მეოთხე ადგილზე გავიდა და ორი ქულით ჩამორჩა „ტორპედოს“. პირველ ეტაპზე გუნდის მთავარი მწვრთნელი **ნოდარ ხიზანიშვილი** იყო, მეორეში - **ჯონი ჯანელიძე.** რაც მთავარია, ახალწვეულებმა საგრძნობლად გააძლიერეს გუნდის შემადგენლობა და ეს მოულოდნელი არავისთვის იყო: **გოჩა მიქაძე, კახა სიდამონიძე, ბესიკ ამაშუკელი, გიორგი გიგიაშვილი, დავით გენძეხაძე, დათო ჯანაშია, ზურაბ იონანიძე** - ასეთი ფეხბურთელებით დაკომპლექტებულ გუნდს ნამდვილად შეეძლო უფრო მაღალი მიზნებისათვისაც ებრძოლა. და, მთავარიც: სწორედ იმ სეზონში შედგა **კახა კალაძის** დებიუტი უმაღლეს ლიგაში! აღსანიშნავია, რომ საკლუბო დონეზე ყველაზე ტიტულოვანმა ქართველმა ფეხბურთელმა სადებიუტო შეხვედრა 15 წლის ასაკში ჩაატარა!.. სხვათა შორის, „სამტრედიაში“ იმ სეზონში კალაძის კიდევ ერთი თანატოლი თამაშობდა - **შოთა ჩომახიძე...**

## წართმეული ოქრო

და აი, 1994-95 წლების სეზონსაც „მივადექით“; ეს, მართლაც დაუვიწყარი სეზონი უნდა გამხდარიყო სამტრედიელთათვის, მაგრამ ბოლოს მოვლენები აშკარად სხვაგვარად განვითარდა. ყველაფერი კი იქიდან დაიწყო, როცა კლუბის პრეზიდენტი გახდა **ტარიელ ჩაჩუა** - ბიზნესმენმა და ფეხბურთზე შეყვარებულმა კაცმა სამტრედიაში სოლიდური გუნდის გაკეთება მოინდომა და შეძლო კიდეც. მთავარ მწვრთნელად მურთაზ ხურცილავა მოიწვია, ამას გარდა საქართველოს სხვადასხვა გუნდებიდან ერთიმეორეზე უკეთესი და გამოცდილი ფეხბურთელები მოიწვია: **გია ჯიშკარიანი, კახა გოგიჩაიშვილი, დავით ცომაია, გოჩა გუჯაბიძე, გია ჩხაიძე, ზვიად ჯელაძე, რომეო გოგიტაძე;** დავუმატოთ ამ მოთამაშეებს **გრიგოლ ჭანტურია, ზურაბ იონანიძე, გიორგი გოგიაშვილი, დათო ჯანაშია, ბესიკ ამაშუკელი** (რომლებიც წინა წლებშიც თამაშობდნენ „სამტრედიაში“) და ალბათ, ძნელი მისახვედრი არ იქნება, თუ როგორი პრეტენზია უნდა ჰქონოდა ამ გუნდს. არანაკლებ ინტერესს იწვევდა კიდევ ერთი ახალწვეულის, 18 წლის **ზაზა ჯანაშიას** ასპარეზობაც - ასეთი ახალგაზრდული ასაკის მიუხედავად, უმაღლეს ლიგაში უკვე სამწლიანი (!) გამოცდილება რომ ჰქონდა. ჩემპიონატი დაიწყო და „სამტრედია“ კვალში ჩაუდგა მარადიულ ფავორიტ „დინამოს“; და აი, მეშვიდე ტურში „სამტრედიამ“ სტუმრად შეძლო „დინამოს“ დამარცხება (2:1) და უშუალო კონკურენტს ქულებით გაუთანაბრდა! სხვათა შორის, მაშინ „სამტრედიამ“, მართლაც შთამბეჭდავი სერია შემოგვთავაზა: გუნდმა ზედიზედ 14 შეხვედრა მოიგო (მათ შორის, მეორე წრის შეხვედრა „დინამოსთანაც“ - სამტრედიაში მასპინძლებმა ზურაბ იონანიძის ერთადერთი გოლით გაიმარჯვეს)! ჩემპიონატის დასრულებამდე 11 ტური რჩებოდა და „სამტრედია“ ხუთი ქულით უსწრებდა „დინამოს“; მაშინ ძნელად თუ იფიქრებდა ვინმე, რომ „სამტრედია“ ლიდერობას ხელიდან გაუშვებდა. მით უფრო, რომ „დინამოში“ იმ სეზონში მწვრთნელების პერმანენტული ცვლილებები ხდებოდა (ხუთჯერ შეიცვალა!) და, აქედან გამომდინარე, ყველანი ახალი ჩემპიონის მოლოდინში ვიყავით. თუმცა, „სამტრედიის“ გაჩემპიონება, ეტყობა, „ვიღაცის“ გეგმებში არ შედიოდა და გუნდის წინააღმდეგ რა არ მოიმოქმედეს (დასაშვები თუ დაუშვებელი მეთოდებით). იგივე, ფოთში „კოლხეთის“ წინააღმდეგ მატჩი ხომ სულაც არასაფეხბურთო კი არა, არანორმალურ გარემოში წარიმართა...

...და მაინც: „სამტრედიას“ ჩემპიონობის მშვენიერი შანსი ჰქონდა; ფინიშამდე ორი ტურით ადრე „დინამოს“ ერთი ქულით უსწრებდა და დარჩენილი შეხვედრები სტუმრად რუსთავის „მეტალურგთან“ და ზუგდიდის „დინამოსთან“ ჰქონდა. აი, 14 წელიწადი გავიდა იმ ამბების შემდეგ და სრულ სიმართლეს მაინც არავინ ამბობს; ვგულისხმობთ იმ, მართლაც, არანორმალურ აჟიოტაჟს, „მეტალურგისა“ და „სამტრედიის“ მატჩებს წინ რომ უძღოდა! ვინ და რა ძალები არ იყვნენ ჩართული... წინასამატჩო „საქმეების გარჩევაში“ - ოფიციალური თუ არაოფიციალური სამხედრო ფორმირებები, „კანონიერი ქურდები“ თუ უშიშროების სამინისტრო; მოკლედ „მეტალურგის“ ფეხბურთელებზე არნახული ზეწოლა იყო - არაფრისდიდებით მატჩი არ უნდა დაეთმოთ - ახლა, წარმოიდგინეთ, მსაჯები რა დღეში იქნებოდნენ? ბოლოს და ბოლოს, იქნებ დადგეს ის დრო, იმ შეხვედრის მთავარმა არბიტრმა **ოთარ გუნთაძემ** ყველაფერი დაწვრილებით მოყვეს, თუ რა გადაიტანა მატჩამდე მთელი კვირის განმავლობაში და უშუალოდ შეხვედრის დროსაც...

...ის სკანდალური შეხვედრა ფრედ, 0:0 დასრულდა; არადა, თავიდან უპირატესობას რუსთაველები ფლობდნენ და 17 წლის **ლევან კობიაშვილის** პასით **სანდრო ბურნაძემ** ბურთი სტუმართა ხარიხას გაარტყა! მერე, **ზაზა ზირაქიშვილს** ჰქონდა კარგი მომენტი; მეორე ტაიმში „სამტრედია“ გააქტიურდა, მშობლიური გუნდის საქომაგოდ ჩამოსულმა გულშემატკივრებმაც შეაგულიანეს ბიჭები და 87-ე წუთზე ნანატრი, „საჩემპიონო“ გოლიც გავიდა: გელა ფანჩულიძემ მარჯვენა ფლანგიდან ჩამოწოდებული ბურთი მასპინძელთა კარში გადაგზავნა! წარმოიდგინეთ, რა რეაქცია ექნებოდათ სამტრედიელ ქომაგებს ჯერ გოლის, მერე კი... გვერდითი არბიტრის, **გურამ ასკარ-ოღლის** ოდნავ დაგვიანებული, მაგრამ მაინც აწეული ალმის დანახვაზე - თამაშგარე მდგომარეობას, ანუ გოლის გაუქმებას რომ ადასტურებდა! სხვათა შორის „ბოროტი ენები“ მაშინ იმას ამტკიცებდნენ, რომ „სამტრედიას“ რუსთავში რომც მოეგო, ზუგდიდში არ გაახარებდნენ. თუმცა, ეს კიდევ საკითხავია; მაგრამ ფაქტია, რომ იმ სეზონში ნაღდად საჩემპიონო გუნდი მეორე ადგილით დაკმაყოფილდა...

## ევროპის მერე ფსკერისკენ...

1995 წელს „სამტრედიას“ ევროტურნირებზე დებიუტი ჰქონდა. თუმცა მაკედონიის „ვარდართან“ პაექრობაში დამარცხდა და მურთაზ ხურცილავამაც გუნდი დატოვა. მის ნაცვლად **ჟულივერ ელაშვილი** დაინიშნა, ვისი ხელმძღვანელობითაც გუნდმა მეოთხე ადგილი დაიკავა. სხვათა შორის, 1995-96 წლების სეზონის ბოლოც სკანდალური აღმოჩნდა („მეტალურგისა“ და „მარგვეთის“ შეხვედრას ვგულისხმობთ); თანაც, „სამტრედიამ“, „კოლხეთმა“ და „მარგვეთმა“ ჩემპიონატი ერთნაირი ქულებით დაასრულეს, მაგრამ უფრო მეტი მოგება ზესტაფონელებს ჰქონდათ და მეორეზეც ისინი გავიდნენ.

1996-97 წლების სეზონიდან კი „სამტრედიას“ კრიზისი დაეწყო. გუნდს ოთხჯერ შეეცვალა მთავარი მწვრთნელი და ვერც ამ ფაქტმა უშველა - „სამტრედია“ უმაღლესი ლიგიდან გავარდა! პირველ ლიგაში გუნდი „ჯუბას“ სახელით ასპარეზობდა და სწორედ მაშინ გამოჩნდნენ პირველად ძმები **გიგიაძეები;** გუნდმა პირველივე ცდაზე მოახერხა უმაღლესში დაბრუნება და ამიერიდან უკვე „იბერიას“ სახელით ასპარეზობდა. **სოსო ფრუიძის** ხელმძღვანელობით „იბერია“ ჯერ მერვე ადგილზე გავიდა, მერე - მეშვიდეზე. აი, 2000-01 წლების სეზონში კი გუნდს სრული ფიასკო ელოდა: 32 მატჩში მხოლოდ ოთხი ფრე და დანარჩენში წაგება! თუმცა სამართლიანობა მოითხოვს აღინიშნოს, რომ ერთის გარდა „იბერიამ“ ყველა საშინაო მატჩი... ნეიტრალურ მოედანზე ჩაატარა.

...აი, ეს იყო სამტრედიელთა უკანასკნელი სეზონი უმაღლეს ლიგაში; ეგ კი არა, ორი წელიწადი გუნდი... რეგიონული ლიგაშიც თამაშობდა და მხოლოდ 2006 წელს დაუბრუნდა პირველ ლიგას. ამ სეზონში კი, როგორც უკვე მოგახსენეთ, გუნდმა ღირსეულად იასპარეზა და რვაწლიანი პაუზის მერე უმაღლეს ლიგას დაუბრუნდა! ყოველ შემთხვევაში, „სამტრედიამ“ უმაღლესი ლიგის საგზური სპორტული პრინციპების სრული დაცვითა და პატიოსან ბრძოლაში მოიპოვა...

**გია ტუხაშვილი**

ფოტოები ავტორის არქივიდან

კონფედერაციათა თასი. ჯგუფური ეტაპი. A ჯგუფი

# ვილიას თავურმა ესპანეთი ნახევარფინალში გაიყვანა

**ესპანეთი–ერაყი 1:0**

**ესპანეთი:** კასილიასი, სერხიო რამოსი, მარჩენა, პიკე, კაპდევილა, ჩაბი ალონსო, ჩავი (80. ბუსკეტსი), კასორლა (66. სილვა), მატა, ფერნანდო ტორესი, ვილია (74. გუისა).

**ერაყი:** მოჰამედ კასიდი, სალამ შაქერი, მოჰამედ ალი, ფარეედი, ალი ჰუსეინი, ბასემ აბასი, მუაიად ხალიდი, ნაშატ აკრამი, სამერ საეედი (59. კარეემი), ჰავარ მულა (69. კარარ ჟასიმი), ალაა აბდული (79. მაჰმუდი).

**გოლი:** 1:0 ვილია (55)

**მაყურებელი:** 28 000

55-ე წუთზე **დავიდ ვილიას** მიერ თავური დარტყმით გატანილმა გოლმა ესპანეთის ნაკრებს კონფედერაციათა თასის ნახევარფინალის საგზური მოუტანა. ერაყთან დაპირისპირების შემდეგ სელექსიონს ზედიზედ 34 წაუგებელი შეხვედრა დაუგროვდა. ესპანელებს ბრაზილიელების მიერ დამყარებულ რეკორდამდე ერთი მატჩი აშორებთ. ერაყელთა კარში გატანილი გოლის შემდეგ დავიდ ვილია ესპანეთის ნაკრების რიგით მეორე საუკეთესო ბომბარდირი გახდა. მას ჯერჯერობით მხოლოდ **რაული** უსწრებს.

გასაკვირი არ არის, რომ სელექსიონი ერაყის ნაკრებთან შეხვედრაში აბსოლუტურ უპირატესობას ფლობდა. პირენეელებმა აღნიშნულ მატჩში სხვა მრავალ თვისებასთან ერთად კიდევ ერთი ღირსება, მოთმინების შესაშური უნარი გამოავლინეს. რა თქმა უნდა, პარადოქსულია, რომ ესპანეთმა ანგარიში მხოლოდ და მხოლოდ 55-ე წუთზე გახსნა. პირველ ნახევარში **ვისენტე დელ ბოსკეს** ბიჭებმა რამდენიმე მომენტი შექმნეს, მაგრამ მიზანს ვერ მიაღწიეს. ამ პარადოქსული სიტუაციის მიუხედავად ევროპელებს მოთმინება არ დაუკარგავთ. ისინი აუღელვებლად თამაშობდნენ და ნახევარფინალის საგზურის მომტანი გოლი მაინც გაიტანეს. აქვე უნდა გითხრათ, რომ **ბორა მილუტინოვიჩმა** მკაცრად დაცვითი ტაქტიკა აირჩია და ყველაფერი გააკეთა იმისთვის, რათა მის ბიჭებს გოლი არ გაეშვათ, მაგრამ ვილიას ეფექტურმა გოლმა სახელგანთქმულ ბალკანელ სპეციალისტს მთელი შრომა წყალში ჩაუყარა. კაცმა რომ თქვას, მილუტინოვიჩი შეხვედრის შედეგით ძალიან უკმაყოფილო არ უნდა იყოს. ერაყის ნაკრებისთვის საკმაოდ დიდი წარმატებაა, რომ ევროპის ჩემპიონებს შეტევაში სერიოზული პრობლემები შეუქმნეს და მხოლოდ და მხოლოდ ერთი გოლის გატანის საშუალება მისცეს.

სხვათა შორის, ვისენტე დელ ბოსკემ მატჩის შემდგომ პრესკონფერენციაზე სწორედ ერაყელთა თავდადებასა და მიზანდასახულობას გაუსვა ხაზი: *„დღეს ერაყის ეროვნულმა გუნდმა ძალიან პრაგმატულად ითამაშა და ყველაფერი გააკეთა იმისთვის, რომ საზოგადოებისთვის სენსაცია შეეთავაზებინა. გამოგიტყდებით, ჩვენი მოწინააღმდეგეებისგან ასეთ მიზანმიმართულ და ორგანიზებულ თამაშს არ ველოდი. მიუხედავად ყველაფრისა, ესპანეთმა რა თქმა უნდა, სრულიად დამსახურებულად მოიგო და ნახევარფინალში სამართლიანად გავიდა. გამარჯვებაში ეჭვი წამითაც არ შემეპარვია, მაგრამ ვაღიარებ, რომ სამი ქულის მოპოვება საკმაოდ გაგვიჭირდა. ერაყი საჯარიმოში ჩაიკეტა და სივრცე უკიდურესად შეგვიზღუდა. ჩვენს მოწინააღმდეგეებს კომპლიმენტი უნდა ვუძღვნა. ჩემს ბიჭებს კი გამარჯვებასა და პრესტიჟული ტურნირის ნახევარფინალში გასვლას ვულოცავ“.*

ბორა მილუტინოვიჩი წაგების მიუხედავად საკმაოდ კარგ ხასიათზე იყო: *„მართალია დავმარცხდით, მაგრამ ბედნიერი ვარ. ჩვენი მეტოქე დღეს მსოფლიოს საუკეთესო ნაკრები იყო. ერაყის ეროვნული გუნდისთვის სელექსიონის დამარცხება, რა თქმა უნდა, ურთულესი ამოცანაა. ობიექტური რეალობისა და ძალთა ბალანსის გათვალისწინებით, სრული სერიოზულობით ვაცხადებ, რომ მინიმალური ანგარიშით დამარცხება ჩვენთვის დადებითი შედეგია. დღეს არაჩვეულებრივი გამოცდილება შევიძინეთ. მიმაჩნია, რომ ფანტასტიკურად ვიასპარეზეთ და ქვეყნის პრესტიჟი დავიცავით. კარგი გუნდი რომ შექმნა, მწვრთნელმა და ფეხბურთელებმა ზედმიწევნით უნდა იცოდნენ როდის რა გააკეთონ. მადლობა ღმერთს, ამ თვალსაზრისით სერიოზულ პროგრესს მივაღწიეთ. მჯერა, რომ დროთა განმავლობაში კიდევ უფრო წინ წავიწევთ და ადრე თუ გვიან, მსოფლიოს დიდ სენსაციას შევთავაზებთ“.*



დავიდ ვილიას გამარჯვების გოლი გააქვს

## პარკერმა ცოდვა გამოისყიდა

**სამხ. აფრიკა–ახ. ზელანდია 2:0**

**სამხ. აფრიკა:** კუნე, გაქსა, მოკოენა, ბოოთი, მასილელა, პიენაარი, დიკგასოი, სიბაია, მოდისე, პარკერი (80. ჩაბალალა), ფანტენი (61. მაშეგო).

**ახალი ზელანდია:** მოსი, ლოჩჰედი, ბოიენსი, ვისელიჩი, მულიგანი, ელიოტი, ქრისტი, ბრაუნი (54. ოუგთონი), ბერტოსი (65. ჯეიმსი), კილენი (73. ვუდი), შმელტსი.

**გოლები:** 1:0. პარკერი (21), 2:0. პარკერი (52)

**მაყურებელი:** 36 000

სამხრეთი აფრიკის ეროვნულმა გუნდმა კონფედერაციათა თასზე პირველი გამარჯვება მოიპოვა. ტურნირის მასპინძლებმა საკმაოდ იოლად გაიმარჯვეს, თუმცა ობიექტურობა მოითხოვს აღინიშნოს, რომ აფრიკელებს ბევრად მეტი გოლის გატანის შანსი ჰქონდათ, მაგრამ მათ საგოლე მომენტები უმოწყალოდ გაფლანგეს. მასპინძლებმა გამარჯვება **პარკერის** ორი გოლის წყალობით მოიპოვეს. პარკერმა წინა შეხვედრაში დაშვებული შეცდომა პირწმინდად გამოისყიდა. გემახსოვრებათ, ერაყთან მატჩში მან იმდენად მოუქნელად ითამაშა, რომ მოწინააღმდეგის კარის ხაზიდან ბურთი მოიგერია და ერაყელები გარდაუვალი მარცხისგან იხსნა. პირველი გამარჯვება სამხრეთ აფრიკას ნახევარფინალში გასვლის კარგ შანსს აძლევს, თუმცა შეიძლება ისე მოხდეს, რომ მეორე ნახევარფინალისტის ვინაობა ბურთების ბალანსმა გადაწყვიტოს. კარგი იქნებოდა, აფრიკელებს ახალი ზელანდია უფრო დიდი ანგარიშით დაემარცხებინათ, ბოლო ტურში ისინი ხომ ესპანელებს ეთამაშებიან. თუმცა ისიც ძნელი წარმოსადგენია, რომ ერაყმა და ზელანდიამ გოლების წვიმა „გვაჩუქონ“ და სამხრეთ აფრიკას მომდევნო ეტაპზე გასვლაში ხელი შეუშალონ. ვნახოთ, როგორ განვითარდება მოვლენები. მთავარია, რომ ფლეი ოფში ბევრად უფრო სანახაობრივი და საინტერესო შეხვედრები გაიმართება.

**ილია ნიკოლაიშვილი**

კონფედერაციათა თასი

# რას გვაწუხებს, ვუვუზელას ხმაა!

## ...და ამას უნდა მივეჩვიოთ, რადგან მსოფლიოს ჩემპიონატის ყურებაც ამ ხმის ფონზე მოგვიწევს!

**დაიწყო** თუ არა კონფედერაციის თასის გათამაშება, პირველივე მატჩის პირველივე წუთიდან გაურკვეველმა ხმამ ჩვენი ყურთასმენა წაიღო. ის ისეთი შემაწუხებელი და ნერვებმომშლელია, რომ შეგუება ძალიან ჭირს! ბუზების ბზუილი, ზურნის ხმა, შეშინებული ანტილოპების ყმუილი – აღარც კი ვიცით, რას შევადაროთ ის შემაწუხებელი ხმაური, რაც კონფედერაციის თასის თითოეული მატჩის რეპორტაჟის დროს ყურში ძალიან უხეშად გხვდება და შესაძლოა, ბევრს ფეხბურთის ყურების სურვილსაც უკარგავს. და თუ თქვენ იმედი გაქვთ, რომ მსოფლიოს ჩემპიონატზე ეს ხმა აღარ იარსებებს და მუნდიალის მატჩებს მშვიდად უყურებთ, ძალიან ცდებით!

ხმას, რომელიც კონფედერაციათა თასის მატჩების ყურებისას ასე ძალიან არ გვსიამოვნებს, 70-სანტიმეტრიანი პლასტმასის საკრავი გამოსცემს, რომელიც აფრიკაში ძალიან პოპულარულია, სამხრეთ აფრიკაში ახლა ყველა კუთხეში იყიდება და დაახლოებით 2 ევრო ღირს. ეს „ინსტრუმენტი“ სამხრეთაფრიკელი გულშემატკივრების სავიზიტო ბარათი და განუყოფელი ნაწილია და „ვუვუზელა“ ჰქვია. შესაბამისად, „ვუვუზელას“ შემაწუხებელ ხმას ჩვენც უნდა მივეჩვიოთ და თანაც, რაც შეიძლება სწრაფად, თორემ ფაქტია, რომ 2010 წლის მუნდიალის მატჩების ყურება, ამ ხმის ფონზე მოგვიწევს და მერე რომ არ გაგვიჭირდეს ან მსოფლიოს ჩემპიონატის ყურებით გამოწვეული სიამოვნება რომ არ ჩაგვიშხამდეს, უმჯობესია, ამთავითვე შევეგუოთ „ვუვუზელას“ „ჰანგებს“.



სამხრეთაფრიკელი ფანებს ყურთასმენა ამ საკრავებით მიაქვთ

ფაქტია, რომ ფიფამ ეს საკრავი მუნდიალისთვის დაუშვა და ალარაფერი შეიცვლება. *„ამთავითვე ცხადია, რომ ეს ყველა დროის ერთ-ერთი ყველაზე ხმაურიანი მუნდიალი იქნება. ჩვენ სამხრეთაფრიკელ გულშემატკივრებს ამ საკრავის გამოყენებას ვერ ავუკრძალავდით, რადგან ეს მათი ნაწილია, მათ ქომაგობის ასეთი სტილი აქვთ,“* - აცხადებს მსოფლიოს ჩემპიონატის საორგანიზაციო კომიტეტის თავმჯდომარე **დანი ჟორდანი**.

სამხრეთაფრიკელი ქომაგები კი იქადნებიან, მსოფლიოს ჩემპიონატის მატჩის დროს, როცა სამხრეთ აფრიკა ითამაშებს, სტადიონზე ხმაური 105 დეციბელს მიაღწევსო. შეგახსენებთ, რომ 85 დეციბელზე მაღალი ხმაური, შესაძლოა, ჯანმრთელობისთვის ზიანის მომტანი აღმოჩნდეს. ტელევიზორიდან თუ ასე ძლიერ გვესმის, იოლი წარმოსადგენია, როგორ წუხდებიან მოედანზე მყოფი ფეხბურთელები. წარმოგიდგენიათ, როგორ გაუჭირდება ნებისმიერ გუნდს სამხრეთ აფრიკის ნაკრების წინააღმდეგ თამაში?

**გოტფრიდ ლენცი**

დანაშაული და სასჯელი

# დროგბას 6, ბოსინგვას 4

**დიდიე დროგბას** ჩემპიონთა ლიგაში 6 თამაშის გამოტოვება მოუწევს - ასე დაისაჯა „ჩელსის“ კოტდივუარელი თავდამსხმელი მსაჯის თავს რისხვის დატეხვისთვის. შეგახსენებთ მიზეზს: „ლურჯებსა“ და „ბარსელონას“ შორის ლონდონში გამართული ნახევარფინალური შეხვედრის ბოლოს, დროგბამ ნორვეგიელ არბიტრ **ტომ ჰენინგ ოვრებოს**, მთელი მსოფლიოს დასანახად პირდაპირ ეთერში „ტკბილ-ტკბილი“ სიტყვები უთხრა. რატომ? როგორც ინგლისური გაზეთები ერთხმად წერენ, ბარსელონელთა კარში... 4(!) პენალტის არდანიშვნისთვის.

გამხეცებულ დროგბას სტიუარდები აშოშმინებდნენ, ის კი არბიტრის „შეხურებით“ ვერ კმაყოფილდებოდა და კვლავ მისკენ მიიწევდა. სასჯელიც საკმაოდ მკაცრი გამოვიდა, თუმცა უეფამ თავის გადაწყვეტილებაში შეწყალების ელემენტი მაინც შეიტანა და განაჩენთან ერთად ასეთი რამ ბრძანა - თუ შემდგომი 2 სეზონის განმავლობაში დროგბა კარგად მოიქცევა, 6-მატჩიანი დისკვალიფიკაცია 4-მდე დავაო - ოღონდ, ბუნებრივია, იმ შემთხვევაში, თუ ექვსივე თამაშის გამოტოვება მომავალ სეზონშივე არ მოუხდა.

მსაჯის გაკრიტიკებისთვის 4 მატჩით დასაჯეს „ჩელსის“ კიდევ ერთი ფეხბურთელი - პორტუგალიელი **ჟოზე ბოსინგვა**. დროგბას მსგავსად, ბოსინგვას სასჯელიც 3 ნაღდი და ერთი „პირობითად“ გამოსატოვებელი მატჩისგან შედგება.

ფეხბურთელების ქცევისა და მაყურებელთა მიერ ტრიბუნებიდან ათასი წვრილმანის სროლისთვის საფეხბურთო კლუბი „ჩელსი“ 100 ათასი ევროთი (85 ათასი ფუნტი) დაისაჯა.

**ილია ბაბუნაშვილი**

დაპირისპირება

# მარადონას ბრძოლა გამოუცხადეს

**დიახ**, „რივერ პლეიტმა“ არგენტინის ნაკრების მთავარ მწვრთნელს ღია და დაუფარავი ბრძოლა გამოუცხადა. ამის მიზეზი **დიეგო მარადონას** ის განცხადება გახდა, რომელშიც ლეგენდარულმა არგენტინელმა „რივერის“ მშობლიური სტადიონის „მონუმენტალის“ მინდვრის საფარზე ძალიან კრიტიკულად ილაპარაკა. მარადონამ ალბისელესტეს ცუდი თამაში სწორედ უხარისხო მინდვრით ახსნა. „მილიონარიოსის“ მესვეურებს ეს განცხადება გულზე მოხვდათ და ეროვნული გუნდის დამრიგებელი მასხარად აიგდეს. საქმეში უკეთ გარკვევის მიზნით ბაირესული კლუბის ვიცე-პრეზიდენტის **ხულიო მაკის** მოსაზრებას გაგაცნობთ:

*„მარადონამ სრულიად უსამართლოდ და დაუმსახურებლად გაგვაკრიტიკა. არგენტინის ნაკრების სუსტ და უსახურ თამაშთან „მონუმენტალის“ მინდვრის საფარი არაფერ შუაშია. ძაღლის თავი მარადონას არაკომპეტენტურობაშია დამალული. ძალიან იოლია შენი შეცდომები სხვას გადააბრალო და ხელაღებით ისაუბრო. ჩემი აზრით, სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია, რომ არგენტინის საფეხბურთო ასოციაციის ხელმძღვანელობამ ნაკრების მთავარ მწვრთნელს სამედიცინო შემოწმების გავლა აიძულოს. როცა ამ სენიორის აბსურდულ განცხადებებს ვუსმენ, სწორედ ასეთ აუცილებლობას ვხედავ. იმედია, სენიორ ხულიო გრონდონა ჩემს მოწოდებას ყურად იღებს და ალბისელესტეს საეჭვო ფსიქიკური მდგომარეობის მქონე კაცის იმედად არ დატოვებს. ჩვენს ნაკრებს პასუხისმგებლობით აღსავსე მწვრთნელი სჭირდება. კაცი, რომელიც შეცდომებს აღიარებს და კრიტიკის შიშით წარუმატებლობას მინდვრის უხარისხობას არ დააბრალებს“.*

**ილია ნიკოლაიშვილი**

რეალი

# კრისტიანოს წელიწადში 13 მილიონს გადაუხდიან

## ფლორენტინო პერესმა ცხრა ფეხბურთელი ტრანსფერზე დააყენა, მათ შორის, ვან ნისტელროი და რობენი

**კრისტიანო რონალდო** პლანეტის ყველაზე მაღალანაზღაურებადი ფეხბურთელია. ფართო საზოგადოებისთვის ეს ფაქტი მას შემდეგ გახდა ცნობილი, რაც მადრიდის „რეალის" მესვეურებმა პორტუგალიელ ვარსკვლავთან გაფორმებული ხელშეკრულების ერთ-ერთი ყველაზე საინტერესო დეტალი გაახმაურეს. სამეფო კლუბის პრესსამსახურის ინფორმაციით, კრისტიანო „სანტიაგო ბერნაბეუზე" გატარებული ყოველი სეზონის სანაცვლოდ არც მეტი არც ნაკლები 13 მილიონ ევროს მიიღებს. ეს სწორედ ის რაოდენობაა, რომელმაც რონალდო მსოფლიოში ყველაზე მაღალანაზღაურებად მოთამაშედ აქცია. აქამდე ამ სტატუსით მილანის „ინტერის" ვარსკვლავი **ზლატან იბრაჰიმოვიჩი** სარგებლობდა. შვედი სუპერფორვარდის წლიური ხელფასი 12 მილიონი ევროა.

დაგვეთანხმებით, **ფლორენტინო პერესმა** პორტუგალიელი ვარსკვლავის მიმართ დიდი გულუხვობა გამოიჩინა და მართლაც ზღაპრული ხელფასი დაუნიშნა. ასეთ ხელგაშლილობას, რა თქმა უნდა, სერიოზული შემოსავალი სჭირდება. ფლორენტინოს სხვადასხვა მარკეტინგული გეგმა აქვს, მაგრამ ფინანსური სტაბილურობის შესანარჩუნებლად იმ ფეხბურთელების გაყიდვაა საჭირო, რომლებსაც ახალ სამეფო კლუბში დამკვიდრების შანსი არ გააჩნიათ. გუშინ გაირკვა, რომ პრეზიდენტის, **ხორხე ვალდანოსა და მანუელ პელეგრინის** ინიციატივით ტრანსფერზე „რეალის" 9 ფეხბურთელი დააყენეს. ყველაზე გასაოცარი ის არის, რომ მათ შორის **რუუდ ვან ნისტელროიც** მოხვდა. კაცი, რომელმაც თეთრი მაისურით უამრავი გოლი გაიტანა. მადრიდელები ამ გადაწყვეტილებას რუუდის კრიტიკული ასაკითა და კომერციული ინტერესით ხსნიან. ვან ნისტელროის გარდა ათვალწუნებულთა სიაში კიდევ რვა ფეხბურთელი მოხვდა. აი, მათი ჩამონათვალიც: **სნეიდერი, ჰუნტელაარი, რობენი, დრენტე, ვან დერ ვაარტი, სავიოლა, ჰაინცე და მაჰამადუ დიარა**. ამ ბიჭებს მოსწონთ, თუ არა, სამეფო კლუბის დატოვება ნებისმიერ შემთხვევაში მოუწევთ. ტრანსფერები მხოლოდ და მხოლოდ იმ შემთხვევაში ჩაიშლება, თუ „რეალის" ხელმძღვანელობა მათ სარფიანად ვერ გაყიდის. დაუდასტურებელი ინფორმაციით, ფლორენტინო პერესი ამ ცხრა ფეხბურთელის გაყიდვით სულ მცირე 80 მილიონი ევროს მობილიზებას ელოდება. იმ შემთხვევაში, თუ ხორხე ვალდანო კარგად ივაჭრებს, გამორიცხული არ არის, თანხამ 100 მილიონ ევროსაც გადააჭარბოს.

**ილია ნიკოლაიშვილი**



ინტერი



ადრიან მუტუ

# მოურინიომ მუტუ აღიარა

## სეზარს კაკას ტრანსფერი ახარებს

რჩება შთაბეჭდილება, რომ მილანის „ინტერის" მესვეურები ჯერ კიდევ ვერ ჩამოყალიბდნენ, თუ როგორ სატრანსფერო პოლიტიკას გაატარებენ ამ ზაფხულს. „ნერაძურის" წარმომადგენლები ურთიერთგამომრიცხავ კომენტარებს აკეთებენ და ხან დაცვის, ხანაც შეტევის გაძლიერებაზე ლაპარაკობენ. **ჟოზე მოურინიოც** თითქოს გაურკვევლობაშია და კვირა ისე არ გავა, რომელიმე ფეხბურთელზე კომენტარი არ გააკეთოს. გუშინ პრესასთან ჟოზემ **ადრიან მუტუს** შესახებ ისაუბრა და რუმინელი ძალიან კარგად დაახასიათა. შეგახსენებთ, რომ მუტუ თავის დროზე მოურინიომ „ჩელსიში" გადაიყვანა, თუმცა რუმინელს კოკაინთან დაკავშირებული პრობლემები შეექმნა და არისტოკრატთა რიგებში ფაქტობრივად არც უასპარეზია. ლონდონში მხოლოდ შვიდი თვე დაყო და იტალიას დაუბრუნდა. დისკვალიფიკაციის შემდეგ, რომელიც მას უეფამ გამოუწერა, იგი „ფიორენტინაში" გადავიდა და ძალიან კარგადაც ათამაშდა. მიმდინარე სეზონში, ადრიანს ტრავმების გამო ძალიან ბევრი გაუცდა, თუმცა ცამეტი გოლის გატანა მაინც მოახერხა. აი, რა განაცხადა მის შესახებ პორტუგალიელმა სპეციალისტმა:

*„მუტუს თამაშის მანერა ყოველთვის მომწონდა და ეს ადრეც მითქვამს. ის ძალიან კარგი, მეტიც, დიდებული თავდამსხმელია. თავის დროზე, მქონდა შანსი მასთან მემუშავა, მაგრამ ჯანმრთელობასთან დაკავშირებით პრობლემები შეექმნა, დისკვალიფიკაცია მიიღო და გეგმებიც ჩაგვეშალა. არადა, ადრიანს შეეძლო, „ჩელსის" მთავარი დამრტყმელი ძალა გამხდარიყო. მაშინ გუნდში დიდიე დროგბა მყავდა და მინდოდა, მუტუს მის მხარდამხარ ეთამაშა. ძალიან მიხარია, რომ პრობლემები დაძლია, საკუთარ თავში ძალა იპოვა და დიდ ფეხბურთს დაუბრუნდა. ვისურვებდი თუ არა მუტუს „ინტერში" გადმოსვლას? - რა თქმა უნდა, ნუთუ შეიძლება ჭკუათმყოფელმა მწვრთნელმა მასზე უარი თქვას? დარწმუნებული ვარ, ჩემი სიტყვების შემდეგ, ამ საკითხზე ათასი ინფორმაცია გავრცელდება, მე უბრალოდ ის ვთქვი, რომ მუტუ დიდებული ფეხბურთელია".*

ამასობაში, სამხრეთ აფრიკაში მყოფმა **ჟულიო სეზარმა** ამოიდგა ენა და კლუბის სატრანსფერო პოლიტიკა, რომელსაც ჩვენ გაუგებარი ვუწოდეთ, ერთობ მოიწონა. ბრაზილიის ნაკრების კიპერმა კმაყოფილება გამოხატა იმითაც, რომ **კაკა** ესპანეთში გადაბარგდა და კარიერას „რეალში" გააგრძელებს:

*„ჩვენმა მარადიულმა მეტოქემ, „მილანმა" დიდებული საზაფხულო საჩუქარი გაგვიკეთა. არ ვიცი, რამ მოაფიქრა სილვიო ბერლუსკონის კაკას გაყიდვა, მაგრამ ფაქტია, რომ ამით ჩვენი უმთავრესი კონკურენტი ძალიან დასუსტდა. რიკის გარეშე „როსონერი" სულ სხვა ფეხბურთს ითამაშებს და ნაკლებად კონკურენტუნარიანი იქნება. ორიოდე დღის წინ, ძალიან კარგი ინფორმაცია გავიგე, ზლატან იბრაჰიმოვიჩი „ინტერში" რჩება, რაც კიდევ უფრო ზრდის მომავალი სეზონისთვის ჩვენს საჩემპიონო შანსებს. ასე რომ, ტიფოზებს შეუძლიათ კიდევ ერთი სკუდეტოსთვის აქედანვე მოემზადონ".*

კიდევ ერთი ინფორმაცია, რომელიც „ინტერს" უკავშირდება, ესპანელმა ჟურნალისტებმა გაავრცელეს. **ზლატან იბრაჰიმოვიჩი** რომ „რეალში" აღარ გადავა, ეს უკვე სამეფო კლუბის წარმომადგენელმაც დაადასტურა. პირენეულ პრესასთან საუბარში, „რეალის" სპორტულმა დირექტორმა **ხორხე ვალდანომ** განაცხადა, რომ შვედ ფეხბურთელთან მიმდინარე მოლაპარაკებები შეწყდა და ამ ზაფხულს აღარც გაგრძელდება. არგენტინელის თქმით, მილანელები ისეთ თანხას ითხოვენ, რომლის მობილიზება თვით **ფლორენტინო პერესსაც** გაუჭირდება. მით უმეტეს, იმ ხარჯების შემდეგ, რომელიც მადრიდელთა პრეზიდენტმა გასულ კვირებში გასწია.

**ლაშა ნიკლაური**

მოსალოდნელი ტრანსფერი

# გროსო: იუვე? ვიფიქრებ...

**ჩირო ფერარამ** რამდენიმე დღის წინ, განაცხადა, რომ ძალიან არის დაინტერესებული **ფაბიო გროსოს** გადაბირებით. „იუვენტუსის" მთავარმა მწვრთნელმა აღნიშნა, რომ **პაველ ნედვედის** წასვლის შემდეგ, მარცხენა ფლანგზე გუნდს საკადრო პრობლემა აქვს. ფერარას შეფასებით, **პაოლო დე ჩელიე** და **კრისტიან მოლინარო** ძალიან ნიჭიერი ფეხბურთელები არიან, რომლებზეც გარკვეულ იმედებს ამყარებს, მაგრამ მათ მაინც გამოცდილება აკლიათ და მარცხენა ფრთაზე ერთი კვალიფიციური ფეხბურთელის გადაბირება აუცილებელია. ჩირომ დასძინა, იმედია, ფაბიო მალე გაგვაგებინებს, სურს თუ არა ჩვენთან გადმოსვლაო. ჰო და, „გაძეტას" ჟურნალისტი „აძურას" უკანახაზელს სამხრეთ აფრიკაში შეეხმიანა და „იუვენტუსის" ინტერესის თაობაზე დაეკითხა:

*„არ მინდა გაგანბილოთ, მაგრამ ამ დღეებში საკლუბო საკითხებზე ფიქრისთვის არ მცალია. მთელი ყურადღება ეროვნული ნაკრების შეხვედრებისკენ მაქვს გადატანილი და არ მინდა, კონცენტრაცია დავკარგო. ამერიკის ნაკრებთან საკმაოდ რთული პაექრობა გვქონდა, წინ კი ეგვიპტესთან გვიწევს დაპირისპირება. ნახეთ, როგორ ეთამაშნენ აფრიკელები ბრაზილიას? - პირადად მე, აღფრთოვანებული დავრჩი. დარწმუნებული ვარ, წინ კიდევ უფრო რთული პაექრობები გველის. რაც შეეხება „იუვენტუსს", მათი ინტერესი სასიამოვნოა და ამაზე აუცილებლად ვიფიქრებ, ოღონდ კონფედერაციის თასის დასრულების შემდეგ".*

**ლაშა ნიკლაური**

ლაციო

# პანდევი, ალბათ, წავა...

მასმედიასთან საუბარში, **გორან პანდევმა** რამდენჯერმე განაცხადა, რომ ამ ზაფხულს გუნდის გამოცვლას აპირებს. მაკედონიელის ნათქვამს უმალ გამოეხმაურა რამდენიმე კლუბი და მისი გადაბირების სურვილი გამოთქვა. მათ შორის გახლდათ „ნაპოლის" პრეზიდენტი **აურელიო დე ლაურენტისი**. ნეაპოლელთა ინტერესის შესახებ **კლაუდიო ლოტიტომაც** შეიტყო და კოლეგას შეუთვალა, პრესასთან ლაპარაკს, სჯობია პირდაპირ მე შემეხმიანოო:

*„დე ლაურენტისის განცხადება მეც წავიკითხე და საინტერესოდ მეჩვენა. ვიცი, რომ პანდევს წასვლა აქვს განზრახული და მისთვის ხელის შეშლას ნამდვილად არ ვაპირებთ. საერთოდ, თუ ვინმეს აღარ სურს გუნდში დარჩენა, შეუძლია თავისუფლად იფიქროს წავსაყუდელის შეცვლაზე, რადგან ჩვენ ძალით აქ არავის ვაჩერებთ. თუმცა, ნებისმიერ ასეთ მოთამაშეს თავისი ფასი აქვს და დაინტერესებულ კლუბს ამ თანხის გადახდა მოუწევს. ნეაპოლელთა პრეზიდენტს კი ვურჩევდი, აილოს ტელეფონი და დამიკავშირდეს. დავილაპარაკებთ და ყველაფერს გავარკვევთ. თუ თავად გორანი „ნაპოლიში" მოისურვებს წასვლას და კლუბიც შესაბამის თანხას გადაიხდის, ჩათვალეთ, ტრანსფერი შემდგარია".*

ამასობაში, „ლაციოს" ახალი მწვრთნელი **დავიდე ბალარდინი** საქმეს შეუდგა და მასმედიასთან თავის ტაქტიკურ ხედვებზე ისაუბრა:

*„იმ მწვრთნელთა კატეგორიას მივეკუთვნები, რომლებიც ფეხბურთელების მიხედვით არჩევენ ტაქტიკას და არა პირიქით. „ლაციოს" არ აქვს ისეთი ბიუჯეტი, რომ ის მოთამაშეები გადმოვიბირო, რომლებიც მომესურვება. თუმცა, ის კონტინგენტი, რომელიც სახეზეა, სავსებით მაკმაყოფილებს. „პალერმოს" 4-4-2 ტაქტიკით ვათამაშებდი, რადგან გუნდში გარემარბების ნაკლებობა იყო. მყავდა ორი გამოკვეთილი ფორვარდი, ფაბრიციო მიკოლი და ედისონ კავანი. შესაბამისად, ის მოდელი, რომელიც არჩეული მქონდა, ვითარების ადეკვატური გახლდათ. „ლაციოში" ვარირების მეტი საშუალება მექნება, რაც ძალიან მახარებს. შემიძლია გამოვიყენო 4-3-2-1 სქემა და ფლანგებზე ორი გარემარბი გავამწესო. ამ პოზიციაზე თამაში რამდენიმე ფეხბურთელს შეუძლია: მარიო სარატეს, ტომაზო როკის, პასკუალე ფოჯას. ერთი დანამდვილებით ვიცი, გუნდი საკმაოდ შემტევ ფეხბურთს ითამაშებს და ეცდება, მეტოქე მისსავე ნახევარზე მოამწყვდიოს. სწორედ ასეთი ამბიციური თამაშის მანერა დაგვაბრუნებს იტალიური საკლუბო ფეხბურთის ელიტაში და ჩვენი მიზანიც სწორედ ეს არის".*

**ლაშა ნიკლაური**



გორან პანდევი

ნაპოლი

# ლავეცი რჩება

**ეზეკილ ლავეცის** გადაბირება რომ ევროპული ფეხბურთის რამდენიმე გრანდს სურს, კარგად მოგეხსენებათ. „ნაპოლის" არგენტინელმა თავდამსხმელმა სეზონი დიდებულად ჩაატარა, რამაც მასზე მოთხოვნა არნახულად გაზარდა. დადასტურებული ინფორმაციით, ლავეცის გადაბირება სურთ: „ლივერპულს", „იუვენტუსს" და „ინტერს", თუმცა სია რომ ამით არ შემოიფარგლება, ესეც ცხადია. მიუხედავად ამისა, ნეაპოლური კლუბის მესვეურები ფეხბურთელის გაყიდვას არ აპირებენ და ამაზე, „ნაპოლის" სპორტული დირექტორის, **პიერპაოლო მარინოს** სიტყვებიც მოწმობს:

*„ლავეცის თაობაზე არაერთი კლუბის წარმომადგენელი დაგვიკავშირდა, მაგრამ მოლაპარაკებები ჯერ არავისთან დაგვიწყია. ამის საბაბი, უბრალოდ, არ გვაქვს, რადგან ფეხბურთელის გაყიდვას არ ვაპირებთ. თავად ეზეკილსაც ჩვენთან უნდა დარჩენა და გამომდინარე აქედან, შესაძლო ტრანსფერზე საუბარი დღეს, უბრალოდ, აბსურდულია. შემიძლია გითხრათ, რომ თუ რაიმე გაუთვალისწინებელი არ მოხდა, არგენტინელი კარიერას „ნაპოლიში" გააგრძელებს".*

**ლაშა ნიკლაური**



ეზეკილ ლავეცი

# უცხოური ფეხბურთი

ვოლფსბურგი



პიტერ კრაუჩი შეიძლება ვოლფსბურგში გადავიდეს

## რობოტი მგლებში?

### გერმანიის ჩემპიონს კრაუჩი, ჰუნტელაარი და სავიოლა უნდა

მოგეხსენებათ, „ვოლფსბურგი" მაღალი კლასის თავდამსხმელს ეძებს. ჯერ ერთი, დიდი შანსია, რომ გერმანიის ჩემპიონმა **ედინ ჯეკო** დაკარგოს, რომელსაც „მილანი" ეპატიჟება და ესეც არ იყოს, ბოსნიელი ფორვარდი „ვოლფსბურგშიც" რომ დარჩეს, იმის გამო, რომ მომავალ სეზონში ჩემპიონთა ლიგაში იასპარეზებენ, „მგლებს" მინიმუმ ერთი ახალი თავდამსხმელი სჭირდებათ. ჩვენმა გერმანელმა კოლეგებმა მეტად საინტერესო ინფორმაცია გაავრცელეს: როგორც ირკვევა, „ვოლფსბურგის" ხელმძღვანელები ინგლისის ნაკრებისა და „პორტსმუთის" ფორვარდ **პიტერ კრაუჩით** დაინტერესდნენ. როგორც იცით, „პორტსმუთი" იყიდება და თავდამსხმელის მომავალიც გაურკვეველია. კრაუჩი, რომელმაც პრემიერლიგის გასულ სეზონში 10 გოლი გაიტანა, ხოლო ინგლისის ნაკრებში კი 15 მატჩი აქვს ჩატარებული, 9-10 მილიონი ევრო ღირს. პიტერს „პორტსმუტთან" კონტრაქტი 2012 წლამდე აკავშირებს.

გაზეთი „ვოლფსბურგერ ნახრიხთენი" თავდამსხმელის აგენტ **ჯონათან ბარნეტის** ციტირებას ახდენს, რომელიც ამბობს, ჩემი კლიენტისთვის „ვოლფსბურგი" ძალიან საინტერესო ვარიანტიაო. თუმცა ეს უკანასკნელი იმასაც აღიარებს, რომ „ვოლფსბურგსა" და „პორტსმუთს" შორის კონკრეტული მოლაპარაკებები ჯერ არ გამართულა. სამაგიეროდ, გერმანიის ჩემპიონის ხელმძღვანელებმა კონკრეტული წინადადებით „ჰამბურგს" მიმართეს – ცნობილია, რომ გერმანიის ჩემპიონს **მლადენ პეტრიჩის** გადაბირება უნდა. „ჰამბურგმა" უკვე უარი თქვა 9-მილიონიან წინადადებაზე და მიუხედავად ამისა, „მგლები" პეტრიჩს არ ეშვებიან და თვითონ ფეხბურთელიც ამბობს, „ვოლფსბურგის" დაინტერესება ჩემთვის უდიდესი პატივიაო.

ამასობაში, მადრიდის „რეალის" ერთ-ერთმა მესვეურმა, რომელმაც ინკოგნიტოდ დარჩენა ისურვა, „ვოლფსბურგერ ალგემაინე ცაითუნგს" შემდეგი რამ უთხრა: *„ვოლფსბურგის" ხელმძღვანელები დაგვიკავშირდნენ და ორ ფეხბურთელთან დაკავშირებით მოლაპარაკებების დაწყება შემოგვთავაზეს!"* დიახ, გერმანიის ჩემპიონს „სამეფო გუნდის" ფეხბურთელების ყიდვა უნდა და როგორც ჩვენმა გერმანელმა კოლეგებმა გაარკვიეს, ლაპარაკია **კლაას იან ჰუნტელაარსა** და **ხავიერ სავიოლაზე**. ჰოლანდიელი 20 მილიონ ევროდ ფასობს, არგენტინელი კი 8 მილიონი ღირს.




ბაიერნი

# რიბერი აქეთ, რიბერი იქით...

### რუმენიგე ტოვებს, ბეკენბაუერი უშვებს, ფეხბურთელი დუმს...

იმ დროს, როცა **ფრანკ რიბერი** იბიცაზე ისვენებს, ცოლ-შვილთან ერთად მზეს ეფიცხება და იახტით დასეირნობს, მიუნხენის „ბაიერნში" ის ნომერ პირველი თემაა და როგორც ჩანს, კლუბის ხელმძღვანელები მის გამო ერთმანეთს უპირისპირდებიან. ფრანგი დრიბლიორის შესახებ ყოველდღე ახალ-ახალი ინფორმაცია ვრცელდება, თანაც, ურთიერთგამომრიცხავი და თუკი აქამდე ყველაფერი მხოლოდ ჭორებისა და სპეკულაციების დონეზე ხდებოდა, ახლა უკვე ოფიციალური კომენტარები ვრცელდება და რაც ყველაზე საინტერესოა, ეს კომენტარებიც ურთიერთგამომრიცხავია.

გარედან ისე ჩანს, რომ „ბაიერნის" შეფები ერთ აზრზე არიან და ყველაფერს აკეთებენ იმისათვის, რომ რიბერი შეინარჩუნონ, მაგრამ როგორც ირკვევა, თვითონ „ბაიერნის" ბოსებს აქვთ ერთმანეთისგან განსხვავებული მოსაზრებები და ფაქტობრივად, ერთმანეთს უპირისპირდებიან. გუშინდელ ნომერში რეკორდმაისტერის ვიცე-პრეზიდენტ **კარლ-ჰაინც რუმენიგეს** ინტერვიუ შემოგთავაზეთ, სადაც კალე ამბობს, რიბერი აუცილებლად მიუნხენში უნდა დარჩეს და ჩვენ ყველაფერს გავაკეთებთ იმისათვის, რომ ფრანგი ვარსკვლავი შევინარჩუნოთო. გუშინ, ამ საკითხთან დაკავშირებით „ბაიერნის" პრეზიდენტმა **ფრანც ბეკენბაუერმა** სულ სხვა რამ თქვა და ფაქტობრივად, რუმენიგეს სიტყვები გააბათილა:

*„სამეთვალყურეო საბჭოს ბოლო სხდომაზე ჩვენ სხვა საკითხებთან ერთად, რიბერის თემასაც შევეხეთ და ყველაფერზე შევთანხმდით. გადაწყვეტილება კი შემდეგნაირია: თუკი რიბერის „ბაიერნის" დატოვება გულით უნდა, თანახმა ვართ, მის ნებისმიერ მსურველს დაველაპარაკოთ და რიბერი გარკვეული თანხის სანაცვლოდ დავთმოთ,"* - ამბობს ბეკენბაუერი „შპორტბილდისთვის" მიცემულ ინტერვიუში და უნდა შეგახსენოთ, რომ სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე რუმენიგეა, რომელმაც ორიოდ დღის წინ სულ სხვა რამ თქვა...

ფაქტია, რომ ამ განცხადებით ბეკენბაუერი რუმენიგეს უპირისპირდება და აგრძელებს ორი კვირის წინ დაწყებულ „კამპანიას", როცა ფრანცმა რიბერის შეუთვალა, დროზე მიიღე გადაწყვეტილება, ან წადი, ან დარჩი, შენც დაისვენებ და ჩვენც დაგვასვენებო. ფაქტია, რომ რუმენიგეს და მენეჯერ **ული ჰიონესს** რიბერის დაკარგვა არ სურთ, ან მის სანაცვლოდ მაქსიმალურად დიდი თანხის მიღება უნდათ. ცხადია, რიბერის დაკარგვა არც ბეკენბაუერს უნდა, მაგრამ ვითარება ჩიხშია შესული, რადგან ფრანგი ნახევარმცველი აშკარად წასვლაზე ფიქრობს. ასე რომ არ იყოს, აქამდე ათასჯერ იტყოდა, არსადაც არ მივდივარ, მიუნხენში ვრჩებიო. ფაქტია ისიც, რომ რიბერის შენარჩუნება ძალიან სურს „ბაიერნის" ახალ თავკაც **ლუის ვან გაალსაც**. ჰიონესი და რუმენიგე ერთხმად გაიძახიან, ვან გაალმა გვითხრა, ყველაფერი გააკეთეთ იმისათვის, რომ რიბერი მიუნხენში დარჩესო.

ვითარება კი არ იცვლება, შეიცვალა მხოლოდ ის, რომ „ბაიერნის" შეფები ახლა ერთმანეთში კინკლაობენ. რიბერის კი მადრიდის „რეალი", „ბარსელონა" და „მანჩესტერ იუნაიტედი" უხმობენ. ყველაზე მეტად მადრიდული გრანდი აქტიურობს და საინტერესოა, რამდენის გადახდა შეუძლია „რეალს" რიბერიში მას მერე, რაც **კაკას** სანაცვლოდ 65 მილიონი ევრო გადაიხადა, **კრისტიანო რონალდო** კი 94 მილიონად იყიდა. „ელ მუნდო დეპორტივოს" ინფორმაციით, „რეალმა" რონალდო და კაკა ერთ-ერთი მსხვილი ბანკისგან აღებული კრედიტით იყიდა. აღსანიშნავია ისიც, რომ ორიოდ დღის წინ „რეალის" სპორტულმა დირექტორმა **ხორხე ვალდანომ** ერთ-ერთ რადიოინტერვიუში განაცხადა, ბავარიელებმა რიბერიში ასტრონომიული თანხა მოგვთხოვესო.

ჰიონესს ნათქვამი აქვს, რიბერის მხოლოდ იმ შემთხვევაში შეველევით, თუ მისი მსურველი გუნდი ცოტათი გიჟურად მოიქცევაო. როგორც ჩვენი გერმანელი კოლეგები იტყობინებიან, ულიმ „რეალს" 60 მილიონი ევრო და **ვესლი სნეიდერი**, **რაფაელ ვან დერ ვაარტი** ან **არიენ რობენი** მოსთხოვა.

გერმანული გრანდის შეფ-მრჩეველი **პაულ ბრაიტნერი** მიიჩნევს, რომ „ბაიერნის" ბოსებმა ფრანგი ვარსკვლავის შენარჩუნება ყველა გზით უნდა სცადონ. *„ჩემი აზრით, რიბერი არანაკლებ ძვირფასი ფეხბურთელია, ვიდრე კაკა ან რონალდო, მაგრამ არა მგონია, რომ „რეალმა" მესამე ფეხბურთელშიც ამხელა თანხა გადაიხადოს, სხვა ევროპული გრანდები კი ამდენის გადამხდელები ისედაც არ არიან. ასეთი სიგიჟეების ჩადენა მხოლოდ ფლორენტინო პერესს შეუძლია და მან უკვე ჩაიდინა ორი დიდი სიგიჟე,"* - ამბობს ბრაიტნერი. ამასობაში, ჩვენმა გერმანელმა კოლეგებმა გერმანიაში გამოკითხვა ჩაატარეს და გულშემატკივართა აბსოლუტური უმეტესობა მიიჩნევს, რომ რიბერი 60 მილიონზე მეტს არ ფასობს.

ბოლო ინფორმაციით, „რეალმა" „ბაიერნს" ახალი წინადადებით მიმართა. როგორც „ასი" იტყობინება, მადრიდელები რეკორდმაისტერს 55 მილიონ ევროს სთავაზობენ. „მარკას" ცნობით კი „რეალი" მზადაა, „ბაიერნს" რიბერის სანაცვლოდ, 25 მილიონს სნეიდერი და ვან დერ ვაარტი დაამატოს.

#### რა მისწერა კლინსმანმა ვან ბომელს გაგდებამდე?

რიბერის თემა ამით ამოვწუროთ. ეს მეტად საინტერესო ინფორმაცია სპეციალურად ბოლოსთვის შემოვინახეთ. როგორც იცით, ბუნდესლიგის გასული სეზონის დამთავრებამდე ხუთი ტურით ადრე, „ბაიერნმა" **იურგენ კლინსმანი** მთავარი მწვრთნელის თანამდებობიდან გაათავისუფლა. ეს მას მერე მოხდა, რაც რეკორდმაისტერმა თითქმის ყველა პრინციპული მატჩი წააგო და გაჩემპიონების შანსიც ფაქტობრივად დაკარგა.

„შპორტ ბილდის" ინფორმაციით, გათავისუფლების შემდეგ, კლინსმანმა გუნდის კაპიტან **მარკ ვან ბომელს** ასეთი შინაარსის ტექსტური შეტყობინება გაუგზავნა: *„მათ არ სურთ, რომ გერმანიის ჩემპიონი გავხდე. ისინი უკვე ყველაფერზე მიდიან, რომ გუნდი ვერ გავაჩემპიონო!"* ცხადია, „მათ"-ში კლინსმანი „ბაიერნის" ხელმძღვანელებს გულისხმობდა. ეს საკმაოდ სკანდალური ინფორმაციაა და საინტერესოა, რა გაგრძელება მოჰყვება ამ ამბავს. მანამდე კი, „ბაიერნის" შეფები კლინსმანთან კონტრაქტის გაწყვეტის საკითხზე მუშაობენ. ჰიონესის თქმით, კლინსის ადვოკატებს ჯერ ვერ მოურიგდა. ცნობილი იყო, რომ კონტრაქტის გაწყვეტის შემთხვევაში, „ბაიერნს" კლინსმანისთვის კომპენსაციის სახით მილიონი ევრო უნდა გადაეხადა, მაგრამ იურგენის ადვოკატებმა ამაზე უარი თქვეს და „ბაიერნი" კლინსის დღემდე(!) ხელფასს უხდის.

გვერდი მოამზადა
გოტფრიდ ლენცმა



ფრანც ბეკენბაური და ფრანკ რიბერი

ამბები

## შტუტგარტმა პავლიუჩენკო დაადასტურა

„შტუტგარტის" გენერალურმა მენეჯერმა **ჰორსტ ჰელდტმა** დაადასტურა, რომ მას რუსეთის ნაკრებისა და „ტოტენჰემის" ფორვარდ **რომან პავლიუჩენკოს** გადაბირება სურს. მისი თქმით, პავლიუჩენკო ის ფეხბურთელია, რომელიც იდეალურად შეცვლის „ბაიერნში" გადასულ **მარიო გომესს**. პავლიუჩენკოსთან ერთად, გომესის შემცვლელად ჰოფენჰაიმელი **დემბა ბას** კანდიდატურაც აქტიურად განიხილება, მაგრამ ამ უკანასკნელს „ჰოფენჰაიმის" ხელმძღვანელები არ უშვებენ.

## ჰამბურგმა ბერგს თვალი დაადგა

ევროპის 21-წლამდელთა ჩემპიონატის პირველ ტურში, შვედეთის ახალგაზრდულმა ნაკრებმა ბელორუსი 5:1 გაანადგურა და ამ მატჩში თავდამსხმელმა **მარკუს ბერგმა** სამი ულამაზესი გოლის გატანა შეძლო. ჩვენი გერმანელი კოლეგების ცნობით, ბერგს „ჰამბურგის" სკაუტები აკვირდებოდნენ და ამ მატჩის შემდეგ, მის კლუბ „გრონინგენს" ოფიციალური წინადადებით მიმართეს. ბერგის ფასი 8 მილიონი ევროა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ინტერვიუ

რაულ ბობადილა

# გოლების გატანა ჩემი სტიქიაა!

## ახალ ბატისტუტად შერაცხული თავდამსხმელი არგენტინის ნაკრებში თამაშზე ოცნებობს



მიონხენგლადბახის ბორუსიის ახალწვეული რაულ მარსელო ბობადილა

რაულ მარსელო ბობადილაზე ამბობენ, ახალი გაბრიელ ბატისტუტააო და ეს უკვე საკმარისია იმისათვის, რომ არგენტინელი თავდამსხმელი საყოველთაო ყურადღების ცენტრში მოექცეს. ბობადილას გვარიც განსაკუთრებული აქვს, რალაცით მართლაც გვაგონებს ბატისტუტას, მაგრამ მთავარია, რა შეუძლია მოედანზე. გოლების გატანა რომ ეხერხება, ეს ციურიხის „გრასჰოპერსში" უკვე დაამტკიცა, სადაც 78 მატჩში 44 გოლი შეაგდო და ახლა ერთი საფეხურით ამაღლდა: მიონხენგლადბახის „ბორუსიაში" გადავიდა და გოლების გატანას ამიერიდან ბუნდესლიგაში ეცდება. „გლადბახის" სპორტული დირექტორის, მაქს ებერლის თქმით, მას დიდხანს არ სჯეროდა, რომ ბობადილას ტრანსფერს სრულყოფდა, რადგან ფორვარდს ძალიან ბევრი მთხოვნელი ჰყავდა. მიონხენგლადბახში მასზე უდიდეს იმედებს ამყარებენ და ახლა ყველაფერი თვითონ არგენტინელზეა დამოკიდებული. მიონხენგლადბახურმა კლუბმა ბობადილა ოფიციალურად გუშინწინ წარადგინა და არგენტინელმაც სიამოვნებით უპასუხა ჩვენი გერმანელი კოლეგების კითხვებს.

**- როგორც ირკვევა, არაერთი მთხოვნელი გყავდათ, მაგრამ თქვენ არჩევანი ბუნდესლიგაზე და კერძოდ, მიონხენგლადბახის „ბორუსიაზე" შეაჩერეთ. რატომ?**

- ცხადია, ძალიან მიხარია ის, რომ ჩემით არაერთი გუნდი იყო დაინტერესებული, მაგრამ უპირატესობა „ბორუსიას" მივანიჭე, რადგან ამ გუნდის ხელმძღვანელებს ჩემი გადაბირება ყველაზე მეტად უნდოდათ. ეს თუნდაც მოლაპარაკებების დროს გამოჩნდა. ჩემთვის გადამწყვეტი სწორედ ეს იყო: მინდოდა, ისეთ გუნდში გადავსულიყავი, რომელსაც მართლა ძალიან სურდა ჩემი გადაბირება და „გლადბახის" ხელმძღვანელებმა ამაში პირველივე შეხვედრის დროს დამარწმუნეს. ბუნდესლიგა ევროპის ერთ-ერთი საუკეთესო ლიგაა და აქ თამაში ჩემთვის დიდი პატივია. ფაქტია, რომ სერიოზული ნაბიჯი გადავდგი. შვეიცარიაში დავამტკიცე, რომ გოლების გატანა შემიძლია, ახლა კი ბუნდესლიგის ჯერია. ცხადია ისიც, რომ საკუთარ თავზე ბევრი უნდა ვიმუშაო.

**- მეათე ნომერი თქვენ მოითხოვეთ თუ კლუბის ხელმძღვანელებმა შემოგთავაზეს?**

- თვითონ ავირჩიე და კლუბის ხელმძღვანელებიც დამთანხმდნენ. დედაჩემს ძალიან უნდოდა, რომ მეათე ნომრით მეთამაშა და ვამაყობ იმით, რომ ათიანი ვიქნები. ეს არის ნომერი, რომელიც ყველა ფეხბურთელისთვის ბევრს ნიშნავს. ითამაშო მეათე ნომრით, - ნიშნავს, რომ საკუთარ თავზე უდიდეს პასუხისმგებლობას იღებ.

**- არგენტინის ნაკრებში მოხვედრის იმედი გაქვთ?**

- ქვეყნის პირველ გუნდში თამაშზე ნებისმიერი ფეხბურთელი ოცნებობს. გამონაკლისი არც მე ვარ და ძალიან მინდა, რომ არგენტინის ნაკრების ფორმა მოვირგო. ბუნდესლიგა მომცემს იმის საშუალებას, რომ ჩვენი ნაკრების მთავარ მწვრთნელ დიეგო მარადონას დავუმტკიცო, რა შემიძლია სინამდვილეში. ვიცი, რომ დიეგო ბუნდესლიგას მუდმივად თვალყურს ადევნებს და ძალიან მიხარია, რომ მისთვის ჩემი შესაძლებლობების დამტკიცების საშუალება მომეცემა.

**- როგორ დაახასიათებთ საკუთარ თავს?**

- საჯარიმოს ფორვარდი ვარ. ამ პოზიციაზე ბავშვობიდან ვთამაშობ. გუნდური მოთამაშე ვარ, არანაირი სამუშაოს შესრულებას არ ვთაკილობ. თვითონაც შემიძლია, რომ საგოლე მომენტი შევიქმნა და სხვის პასებსაც სიამოვნებით გამოვიყენებ. ვფიქრობ, საგოლე ალღოც კარგი მაქვს. მგონია, რომ უეინ რუნის ვგავარ, რომელიც ჩემთვის მისაბაძი მაგალითია. ბავშვობის უსაყვარლესი ფეხბურთელი და კერპი კი გაბრიელ ბატისტუტაა.

**- თქვენზე ამბობენ, ახალი ბატისტუტააო...**

- და ეს ჩემთვის ძალიან დიდი პატივია. ვეცდები, მოლოდინი გავამართლო და იმედი მაქვს, რომ იმის ნახევარს მაინც გავაკეთებ, რაც ბატიგოლმა შეძლო.

**- გერმანულს უკვე სწავლობთ?**

- თითქმის ყველაფერი მესმის, მაგრამ შვეიცარიული გერმანულით ვლაპარაკობ. ფაქტია, რომ გაკვეთილებზე უნდა ვიარო.

**- გერმანულ ფეხბურთზე რას იტყოდით?**

- მე თუ მკითხავთ, გერმანული და არგენტინული ფეხბურთის შედარება შეიძლება და მათ შორის ბევრი მსგავსებაცაა. ისევე, როგორც არგენტინულში, გერმანულ ფეხბურთშიც, მთავარი, ბრძოლაა. გერმანელებიცა და არგენტინელებიც თამაშში უდიდეს მონდომებას აქსოვენ. უკვე ისიც ვიცი, რომ გერმანიაში „კიოლნისა" და მიონხენგლადბახის „ბორუსიის" დაპირისპირება დაახლოებით ისეთი რამეა, რაც „ბარსა"-"რეალი" ან „ბოკა"-"რივერი".

**გოტფრიდ ლენცი**

ყოფილი ვარსკვლავი

# ოუენი ვის რაში სჭირდებაო?..

ის, რომ „ნიუკასლ იუნაიტედის" პრემიერლიგიდან გავარდნის შემდეგ „ფრანს ფუტბოლის" „ოქროს ბურთის" 2001 წლის ლაურეატი, 30 წელს მიტანებული **მაიკლ ოუენი** ახალ გუნდს ეძებს, ცნობილი ფაქტია, მაგრამ „უიგანის" მეპატრონემ, წარსულში „ბლექბერნ როვერსსა" და „ქრუ ალექზანდრაში" ნათამაშებმა **დეივ ვილანმა** მობერებულ ვარსკვლავს ცივი წყალი გადაავლო:

*„მას კი უნდა პრემიერლიგაში თამაში, მაგრამ ჩვენ, პრემიერლიგელებსაც გვკითხეთ, გვინდა მისი შეძენა თუ არა. შერჩა კი ოუენს ის ენერგია და ჟინი პრემიერლიგა რომ ითხოვს? მე თუ მკითხავთ, ეს ძალიან სერიოზული კითხვაა".*

ოუენისა და „ნიუკასლ იუნაიტედის" კონტრაქტი ამ თვეში იწურება. ფეხბურთელის აგენტებმა საგანგებო, 34-გვერდიანი ბროშურა შეადგინეს და პრემიერლიგის კლუბებში დაგზავნეს, მაგრამ დახეთ ოინს - „უიგანში" არ გაუგზავნიათ. ვინ იცის, დეივ ვილანიც სწორედ ამან გააბრაზა.

*„ოდესღაც ის დიდებული ფეხბურთელი იყო, მაგრამ დღეს ტრავმებისგან დაჩიავებული გახლავთ. თუმცა, ეს მხოლოდ და მხოლოდ ჩემი შეხედულებაა, „ლივერპული" და „ევერტონი" შესაძლოა, სხვანაირად ფიქრობდნენ. ჩვენთვის, „უიგანისთვის", ვინმესთვის კვირაში 25 ათას ფუნტზე მეტის გადახდა მეტისმეტი ფუფუნებაა. სწორად გამიგეთ, მე ამ კაცს კი არ ვაკრიტიკებ, ვიმეორებ, ის ჩინებული ფეხბურთელი იყო და ვინმესთვის, შესაძლოა, დღესაც დიდი საქმე გააკეთოს. და კიდევ, ეჭვი მაქვს, რომ თავად გულში „უიგანზე" დიდ კლუბში გადასვლა ულიტინებს", -* დასძინა ვილანმა.

შეგახსენებთ, რომ მაიკლ ოუენს კარიერაში უთამაშია „ლივერპულში", „რეალსა" და „ნიუკასლ იუნაიტედში". ყველაზე მეტხანს, 8 წელიწადს, „ლივერპულში" დაყო.

**ილია ბაბუნაშვილი**




ტრანსფერი

# რანგელოვი დორტმუნდელია!

## ზიდანი ბლექბერნში? ბორუსია რეალს შეხვდება

დორტმუნდის „ბორუსიამ" მომავალი სეზონისთვის საკმაოდ საინტერესო ტრანსფერი სრულყო. ვესტფალიურმა კლუბმა „კოტბუსის" ბულგარელი თავდამსხმელი **დიმიტარ რანგელოვი** გადაიბირა. 26 წლის რანგელოვმა „ბორუსიასთან" ოთხწლიანი კონტრაქტი გააფორმა და როგორც „კიკერი" იუწყება, დორტმუნდელებმა მეორე ბუნდესლიგაში დაქვეითებულ „კოტბუსს" ერთი მილიონი ევრო გადაუხადეს.

*„ჩემთვის დიდი პატივია ის, რომ კარიერას ასეთ სახელოვან კლუბში გავაგრძელებ. „დორტმუნდში" გადასვლა წინ გადადგმული უდიდესი ნაბიჯია და ყველაფერს გავაკეთებ იმისათვის, რომ ამ გუნდის გენიალური ფანები გოლებით გავაბედნიერო,"* - ამბობს რანგელოვი.

გასულ სეზონში ბულგარელმა „კოტბუსის" რიგებში მხოლოდ ცხრა გოლის გატანა შეძლო, თუმცა ამით გუნდის საუკეთესო ბომბარდირი გახდა. მაგრამ ასეთი მოკრძალებული შედეგი მის შესაძლებლობებს არ აკნინებს, რადგან „კოტბუსი" არ არის ის გუნდი, სადაც თავდამსხმელი ბევრი გოლის გატანას მოახერხებს. საერთო ჯამში, რანგელოვს ბუნდესლიგაში 49 მატჩში 15 გოლი აქვს გატანილი.



დიმიტარ რანგელოვმა დორტმუნდს მიაშურა

*„რანგელოვი სწრაფი, კარზე დაგეშილი თავდამსხმელია და მე ის ძალიან მომწონს,* - ეს კი „დორტმუნდის" თავკაც **იურგენ კლოპის** სიტყვებია, - *ის ზუსტად ესადაგება ჩემს წარმოდგენებს."* ამრიგად, რანგელოვის ყიდვის შემდეგ, „ბორუსიის" შეფებმა ფაქტობრივად ხელი ჩაიქნიეს პოლონელ **რობერტ ლევანდოვსკიზე**, რომლის სანაცვლოდაც მისი გუნდი „ლეხი" 5 მილიონ ევროს ითხოვდა. რანგელოვის სახით, დორტმუნდელებმა გაცილებით იაფი გამოსავალი იპოვეს.

რანგელოვის ტრანსფერის შემდეგ, შეიძლება, „ბორუსია" რომელიმე ფორვარდმა დატოვოს. „ბილდის" ინფორმაციით, გამორიცხული არ არის, რომ ვესტფალიიდან ეგვიპტელი **მოჰამედ ზიდანი** აიბარგოს. ამ უკანასკნელს ინგლისურმა „ბლექბერნმა" დაადგა თვალი და კერძოდ მას მერე, რაც ზიდანმა კონფედერაციათა თასის პირველ ტურში, ბრაზილიის ნაკრებს ორი გოლი გაუტანა. 27 წლის ზიდანი 7 მილიონი ევრო ღირს.

აქვე გეტყვით, რომ გუნდის ასწლიან იუბილესთან დაკავშირებით, 19 აგვისტოს „დორტმუნდი" ძალიან საინტერესო ამხანაგურ მატჩს გამართავს. იუბილარი „შავ-ყვითლები" „ვესტფალენშტადიონზე" მადრიდის „რეალს" უმასპინძლებს.

**გოტფრიდ ლენცი**



ეროვნული ბიბლიოთეკა

# უცხოური ფეხბურთი

## ინგლისი. პრემიერლიგა 2009/10. კალენდარი

**I ტური. 15 აგვისტო**
ასტონ ვილა-უიგანი
ბლექბერნი-მანჩესტერ სიტი
ბოლტონი-სანდერლენდი
ჩელსი-ჰალი
ევერტონი-არსენალი
მანჩესტერ იუნ-ბირმინგემი
პორტსმუთი-ფულჰემი
სტოკი-ბარნლი
ტოტენჰემი-ლივერპული
ვულვზი-ვესტ ჰემი

**II ტური. 18-19 აგვისტო**
არსენალი-ბოლტონი
ბირმინგემი-პორტსმუთი
ბარნლი-მანჩესტერ იუნ
ფულჰემი-ბლექბერნი
ჰალი-ტოტენჰემი
სანდერლენდი-ჩელსი
ვესტ ჰემი-ასტონ ვილა
უიგანი-ვულვზი
ლივერპული-სტოკი
მანჩესტერ სიტი-ევერტონი

**III ტური. 22 აგვისტო**
არსენალი-პორტსმუთი
ბირმინგემი-სტოკი
ბარნლი-ევერტონი
ფულჰემი-ჩელსი
ჰალი-ბოლტონი
ლივერპული-ასტონ ვილა
მანჩესტერ სიტი-ვულვზი
სანდერლენდი-ბლექბერნი
ვესტ ჰემი-ტოტენჰემი
უიგანი-მანჩესტერ იუნ.

**IV ტური. 29 აგვისტო**
ასტონ ვილა-ფულჰემი
ბლექბერნი-ვესტ ჰემი
ბოლტონი-ლივერპული
ჩელსი-ბარნლი
ევერტონი-უიგანი
მანჩესტერ იუნ-არსენალი
პორტსმუთი-მანჩესტერ სიტი
სტოკი-სანდერლენდი
ტოტენჰემი-ბირმინგემი
ვულვზი-ჰალი

**V ტური. 12 სექტემბერი**
ბირმინგემი-ასტონ ვილა
ბლექბერნი-ვულვზი
ფულჰემი-ევერტონი
ლივერპული-ბარნლი
მანჩესტერ სიტი-არსენალი
პორტსმუთი-ბოლტონი
სტოკი-ჩელსი
სანდერლენდი-ჰალი
ტოტენჰემი-მანჩესტერ იუნ
უიგანი-ვესტ ჰემი

**VI ტური. 19 სექტემბერი**
არსენალი-უიგანი
ასტონ ვილა-პორტსმუთი
ბოლტონი-სტოკი
ბარნლი-სანდერლენდი
ჩელსი-ტოტენჰემი
ევერტონი-ბლექბერნი
ჰალი-ბირმინგემი
მანჩესტერ იუნ-მანჩესტერ სიტი
ვესტ ჰემი-ლივერპული
ვულვზი-ფულჰემი

**VII ტური. 26 სექტემბერი**
ბირმინგემი-ბოლტონი
ბლექბერნი-ასტონ ვილა
ფულჰემი-არსენალი
ლივერპული-ჰალი
მანჩესტერ სიტი-ვესტ ჰემი
პორტსმუთი-ევერტონი
სტოკი-მანჩესტერ იუნ
სანდერლენდი-ვულვზი
ტოტენჰემი-ბარნლი
უიგანი-ჩელსი

**VIII ტური. 3 ოქტომბერი**
არსენალი-ბლექბერნი
ასტონ ვილა-მანჩესტერ სიტი
ბოლტონი-ტოტენჰემი
ბარნლი-ბირმინგემი
ჩელსი-ლივერპული
ევერტონი-სტოკი
ჰალი-უიგანი
მანჩესტერ იუნ-სანდერლენდი
ვესტ ჰემი-ფულჰემი
ვულვზი-პორტსმუთი

**IX ტური. 17 ოქტომბერი**
არსენალი-ბირმინგემი
ასტონ ვილა-ჩელსი
ბლექბერნი-ბარნლი
ევერტონი-ვულვზი
ფულჰემი-ჰალი
მანჩესტერ იუნ-ბოლტონი
პორტსმუთი-ტოტენჰემი
სტოკი-ვესტ ჰემი
სანდერლენდი-ლივერპული
უიგანი-მანჩესტერ სიტი

**X ტური. 24 ოქტომბერი**
ბირმინგემი-სანდერლენდი
ბოლტონი-ევერტონი
ბარნლი-უიგანი
ჩელსი-ბლექბერნი
ჰალი-პორტსმუთი
ლივერპული-მანჩესტერ იუნ
მანჩესტერ სიტი-ფულჰემი
ტოტენჰემი-სტოკი
ვესტ ჰემი-არსენალი
ვულვზი-ასტონ ვილა

**XI ტური. 31 ოქტომბერი**
არსენალი-ტოტენჰემი
ბირმინგემი-მანჩესტერ სიტი
ბოლტონი-ჩელსი
ბარნლი-ჰალი
ევერტონი-ასტონ ვილა
ფულჰემი-ლივერპული
მანჩესტერ იუნ-ბლექბერნი
პორტსმუთი-უიგანი
სტოკი-ვულვზი
სანდერლენდი-ვესტ ჰემი

**XII ტური. 7 ნოემბერი**
ასტონ ვილა-ბოლტონი
ბლექბერნი-პორტსმუთი
ჩელსი-მანჩესტერ იუნ
ჰალი-სტოკი
ლივერპული-ბირმინგემი
მანჩესტერ სიტი-ბარნლი
ტოტენჰემი-სანდერლენდი
ვესტ ჰემი-ევერტონი
უიგანი-ფულჰემი
ვულვზი-არსენალი

**XIII ტური. 21 ნოემბერი**
ბირმინგემი-ფულჰემი
ბოლტონი-ბლექბერნი
ბარნლი-ასტონ ვილა
ჩელსი-ვულვზი
ჰალი-ვესტ ჰემი
ლივერპული-მანჩესტერ სიტი
მანჩესტერ იუნ-ევერტონი
სტოკი-პორტსმუთი
სანდერლენდი-არსენალი
ტოტენჰემი-უიგანი

**XIV ტური. 28 ნოემბერი**
არსენალი-ჩელსი
ასტონ ვილა-ტოტენჰემი
ბლექბერნი-სტოკი
ევერტონი-ლივერპული
ფულჰემი-ბოლტონი
მანჩესტერ სიტი-ჰალი
პორტსმუთი-მანჩესტერ იუნ
ვესტ ჰემი-ბარნლი
უიგანი-სანდერლენდი
ვულვზი-ბირმინგემი

**XV ტური. 5 დეკემბერი**
არსენალი-სტოკი
ასტონ ვილა-ჰალი
ბლექბერნი-ლივერპული
ევერტონი-ტოტენჰემი
ფულჰემი-სანდერლენდი
მანჩესტერ სიტი-ჩელსი
პორტსმუთი-ბარნლი
ვესტ ჰემი-მანჩესტერ იუნ
უიგანი-ბირმინგემი
ვულვზი-ბოლტონი

**XVI ტური. 12 დეკემბერი**
ბირმინგემი-ვესტ ჰემი
ბოლტონი-მანჩესტერ სიტი
ბარნლი-ფულჰემი
ჩელსი-ევერტონი
ჰალი-ბლექბერნი
ლივერპული-არსენალი
მანჩესტერ იუნ-ასტონ ვილა
სტოკი-უიგანი
სანდერლენდი-პორტსმუთი
ტოტენჰემი-ვულვზი

**XVII ტური. 15-16 დეკემბერი**
ბირმინგემი-ბლექბერნი
ბოლტონი-ვესტ ჰემი
ბარნლი-არსენალი
ჰალი-ევერტონი
მანჩესტერ იუნ-ვულვზი
სტოკი-ფულჰემი
სანდერლენდი-ასტონ ვილა
ტოტენჰემი-მანჩესტერ სიტი
ჩელსი-პორტსმუთი
ლივერპული-უიგანი

**XVIII ტური. 19 დეკემბერი**
არსენალი-ჰალი
ასტონ ვილა-სტოკი
ბლექბერნი-ტოტენჰემი
ევერტონი-ბირმინგემი
ფულჰემი-მანჩესტერ იუნ
მანჩესტერ სიტი-სანდერლენდი
პორტსმუთი-ლივერპული
ვესტ ჰემი-ჩელსი
უიგანი-ბოლტონი
ვულვზი-ბარნლი

**XIX ტური. 26 დეკემბერი**
არსენალი-ასტონ ვილა
ბირმინგემი-ჩელსი
ბარნლი-ბოლტონი
ფულჰემი-ტოტენჰემი
ჰალი-მანჩესტერ იუნ
ლივერპული-ვულვზი
მანჩესტერ სიტი-სტოკი
სანდერლენდი-ევერტონი
ვესტ ჰემი-პორტსმუთი
უიგანი-ბლექბერნი

**XX ტური. 28 დეკემბერი**
ასტონ ვილა-ლივერპული
ბლექბერნი-სანდერლენდი
ბოლტონი-ჰალი
ჩელსი-ფულჰემი
ევერტონი-ბარნლი
მანჩესტერ იუნ-უიგანი
პორტსმუთი-არსენალი
სტოკი-ბირმინგემი
ტოტენჰემი-ვესტ ჰემი
ვულვზი-მანჩესტერ სიტი

**XXI ტური. 9 იანვარი**
არსენალი-ევერტონი
ბირმინგემი-მანჩესტერ იუნ
ბარნლი-სტოკი
ფულჰემი-პორტსმუთი
ჰალი-ჩელსი
ლივერპული-ტოტენჰემი
მანჩესტერ სიტი-ბლექბერნი
სანდერლენდი-ბოლტონი
ვესტ ჰემი-ვულვზი
უიგანი-ასტონ ვილა

**XXII ტური. 16 იანვარი**
ასტონ ვილა-ვესტ ჰემი
ბლექბერნი-ფულჰემი
ბოლტონი-არსენალი
ჩელსი-სანდერლენდი
ევერტონი-მანჩესტერ სიტი
მანჩესტერ იუნ-ბარნლი
პორტსმუთი-ბირმინგემი
სტოკი-ლივერპული
ტოტენჰემი-ჰალი
ვულვზი-უიგანი

**XXIII ტური. 26-27 იანვარი**
ბოლტონი-ბარნლი
მანჩესტერ იუნ-ჰალი
პორტსმუთი-ვესტ ჰემი
სტოკი-მანჩესტერ სიტი
ტოტენჰემი-ფულჰემი
ვულვზი-ლივერპული
ასტონ ვილა-არსენალი
ბლექბერნი-უიგანი
ჩელსი-ბირმინგემი
ევერტონი-სანდერლენდი

**XXIV ტური. 30 იანვარი**
არსენალი-მანჩესტერ იუნ
ბირმინგემი-ტოტენჰემი
ბარნლი-ჩელსი
ფულჰემი-ასტონ ვილა
ჰალი-ვულვზი
ლივერპული-ბოლტონი
მანჩესტერ სიტი-პორტსმუთი
სანდერლენდი-სტოკი
ვესტ ჰემი-ბლექბერნი
უიგანი-ევერტონი

**XXV ტური. 6 თებერვალი**
ბირმინგემი-ვულვზი
ბოლტონი-ფულჰემი
ბარნლი-ვესტ ჰემი
ჩელსი-არსენალი
ჰალი-მანჩესტერ სიტი
ლივერპული-ევერტონი
მანჩესტერ იუნ-პორტსმუთი
სტოკი-ბლექბერნი
სანდერლენდი-უიგანი
ტოტენჰემი-ასტონ ვილა

**XXVI ტური. 9-10 თებერვალი**
არსენალი-ლივერპული
ფულჰემი-ბარნლი
პორტსმუთი-სანდერლენდი
ვესტ ჰემი-ბირმინგემი
უიგანი-სტოკი
ვულვზი-ტოტენჰემი
ასტონ ვილა-მანჩესტერ იუნ
ბლექბერნი-ჰალი
ევერტონი-ჩელსი
მანჩესტერ სიტი-ბოლტონი

**XXVII ტური. 20 თებერვალი**
არსენალი-სანდერლენდი
ასტონ ვილა-ბარნლი
ბლექბერნი-ბოლტონი
ევერტონი-მანჩესტერ იუნ
ფულჰემი-ბირმინგემი
მანჩესტერ სიტი-ლივერპული
პორტსმუთი-სტოკი
ვესტ ჰემი-ჰალი
უიგანი-ტოტენჰემი
ვულვზი-ჩელსი

**XXVIII ტური. 27 თებერვალი**
ბირმინგემი-უიგანი
ბოლტონი-ვულვზი
ბარნლი-პორტსმუთი
ჩელსი-მანჩესტერ სიტი
ჰალი-ასტონ ვილა
ლივერპული-ბლექბერნი
მანჩესტერ იუნ-ვესტ ჰემი
სტოკი-არსენალი
სანდერლენდი-ფულჰემი
ტოტენჰემი-ევერტონი

**XXIX ტური. 6 მარტი**
არსენალი-ბარნლი
ასტონ ვილა-სანდერლენდი
ბლექბერნი-ბირმინგემი
ევერტონი-ჰალი
ფულჰემი-სტოკი
მანჩესტერ სიტი-ტოტენჰემი
პორტსმუთი-ჩელსი
ვესტ ჰემი-ბოლტონი
უიგანი-ლივერპული
ვულვზი-მანჩესტერ იუნ

**XXX ტური. 13 მარტი**
ბირმინგემი-ევერტონი
ბოლტონი-უიგანი
ბარნლი-ვულვზი
ჩელსი-ვესტ ჰემი
ჰალი-არსენალი
ლივერპული-პორტსმუთი
მანჩესტერ იუნ-ფულჰემი
სტოკი-ასტონ ვილა
სანდერლენდი-მანჩესტერ სიტი
ტოტენჰემი-ბლექბერნი

**XXXI ტური. 20 მარტი**
არსენალი-ვესტ ჰემი
ასტონ ვილა-ვულვზი
ბლექბერნი-ჩელსი
ევერტონი-ბოლტონი
ფულჰემი-მანჩესტერ სიტი
მანჩესტერ იუნ-ლივერპული
პორტსმუთი-ჰალი
სტოკი-ტოტენჰემი
სანდერლენდი-ბირმინგემი
უიგანი-ბარნლი

**XXXII ტური. 27 მარტი**
ბირმინგემი-არსენალი
ბოლტონი-მანჩესტერ იუნ
ბარნლი-ბლექბერნი
ჩელსი-ასტონ ვილა
ჰალი-ფულჰემი
ლივერპული-სანდერლენდი
მანჩესტერ სიტი-უიგანი
ტოტენჰემი-პორტსმუთი
ვესტ ჰემი-სტოკი
ვულვზი-ევერტონი

**XXXIII ტური. 3 აპრილი**
არსენალი-ვულვზი
ბირმინგემი-ლივერპული
ბოლტონი-ასტონ ვილა
ბარნლი-მანჩესტერ სიტი
ევერტონი-ვესტ ჰემი
ფულჰემი-უიგანი
მანჩესტერ იუნ-ჩელსი
პორტსმუთი-ბლექბერნი
სტოკი-ჰალი
სანდერლენდი-ტოტენჰემი

**XXXIV ტური. 10 აპრილი**
ასტონ ვილა-ევერტონი
ბლექბერნი-მანჩესტერ იუნ
ჩელსი-ბოლტონი
ჰალი-ბარნლი
ლივერპული-ფულჰემი
მანჩესტერ სიტი-ბირმინგემი
ტოტენჰემი-არსენალი
ვესტ ჰემი-სანდერლენდი
უიგანი-პორტსმუთი
ვულვზი-სტოკი

**XXXV ტური. 17 აპრილი**
ბირმინგემი-ჰალი
ბლექბერნი-ევერტონი
ფულჰემი-ვულვზი
ლივერპული-ვესტ ჰემი
მანჩესტერ სიტი-მანჩესტერ იუნ
პორტსმუთი-ასტონ ვილა
სტოკი-ბოლტონი
სანდერლენდი-ბარნლი
ტოტენჰემი-ჩელსი
უიგანი-არსენალი

**XXXVI ტური. 24 აპრილი**
არსენალი-მანჩესტერ სიტი
ასტონ ვილა-ბირმინგემი
ბოლტონი-პორტსმუთი
ბარნლი-ლივერპული
ჩელსი-სტოკი
ევერტონი-ფულჰემი
ჰალი-სანდერლენდი
მანჩესტერ იუნ-ტოტენჰემი
ვესტ ჰემი-უიგანი
ვულვზი-ბლექბერნი

**XXXVII ტური. 1 მაისი**
ბირმინგემი-ბარნლი
ბლექბერნი-არსენალი
ფულჰემი-ვესტ ჰემი
ლივერპული-ჩელსი
მანჩესტერ სიტი-ასტონ ვილა
პორტსმუთი-ვულვზი
სტოკი-ევერტონი
სანდერლენდი-მანჩესტერ იუნ
ტოტენჰემი-ბოლტონი
უიგანი-ჰალი

**XXXVIII ტური. 9 მაისი**
არსენალი-ფულჰემი
ასტონ ვილა-ბლექბერნი
ბოლტონი-ბირმინგემი
ბარნლი-ტოტენჰემი
ჩელსი-უიგანი
ევერტონი-პორტსმუთი
ჰალი-ლივერპული
მანჩესტერ იუნ-სტოკი
ვესტ ჰემი-მანჩესტერ სიტი
ვულვზი-სანდერლენდი

## კაპიტანი



# ჯერარდი 2013-ზე ფიქრობს

„ლივერპულის" კაპიტანმა, ინგლისური ფეხბურთის ვარსკვლავმა და გულშემატკივრის საყვარელმა ფეხბურთელმა, **სტივენ ჯერარდმა** განაცხადა, რომ ფეხბურთს თავი შეიძლება მერსისაიდელებთან ახლა მოქმედი კონტრაქტის ვადის გასვლისთანავე ანუ 2013 წელს დაანებოს.

*„2013 წელს, როდესაც „ლივერპულთან" ჩემს კონტრაქტს ვადა ამოეწურება, უკვე 33 წლისა ვიქნები და შესაძლოა მეტი აღარ ვითამაშო"* - უთხრა ნახევარმცველმა „ფრანს ფუტბოლს".

29 წლის ვარსკვლავმა კარიერა 1998 წელს „ენფილდ როუდზე" დაიწყო, ხოლო ახლახან, მარტში, ბოლოს გაფორმებულ ხელშეკრულებას კიდევ ორწლიანი პუნქტი დაამატა - ასე გამოიკვეთა ზემოხსენებული 2013 წელი. მართალია, მთელი ამ წლების განმავლობაში ჯერარდისთვის მრავალ გუნდს შეუთავაზებია მომხიბვლელი პირობები, მაგრამ ჯერარდი ბუნებით ერთი კლუბის კაცი აღმოჩნდა და როგორც ხედავთ, არც კარიერის მიწურულს აპირებს სადმე წასვლას.

*„თუ 2013-ში ფეხბურთის თამაშს თავს მართლა დავანებებ, მეცოდინება, რომ ის ადამიანი ვარ, რომელმაც მთელი კარიერა ერთ კლუბს მიუძღვნა. არანაირი სურვილი არ მაქვს, ოდესმე, სხვა გუნდის მაისურა ჩავიცვა"* - სიამაყით ამბობს კაპიტანი.

ჯერარდს „ლივერპულის" შემადგენლობაში 500 მატჩზე მეტი აქვს ჩატარებული. ერთ-ერთი საუკეთესო სეზონი მას სწორედ ახლა ჰქონდა, როდესაც ჩემპიონატის განმავლობაში 24 გოლი გაიტანა და ლიდერს, „მანჩესტერ იუნაიტედს", თითქმის ბოლო დღემდე არ მისცა იოლად ამოსუნთქვის საშუალება. ჯერარდის დიდი დამსახურებაა ის, რომ „ლივერპულმა" მეორე ადგილზე გასული გუნდების მიერ დაგროვებულ ქულათა რაოდენობით პრემიერლიგის რეკორდი დაამყარა - აქამდე მეორე ადგილზე გასულს 86 ქულა არასდროს ჰქონია. აღსანიშნავია მერსისაიდელთა მიერ გატანილი და გაშვებული ბურთების სხვაობაც. ის, 50-ს უდრის. ჯერარდს სწამს, რომ მომავალი სეზონი სწორედ ის სეზონი იქნება, როდესაც „ლივერპული" 1989-90 წლების სეზონის შემდეგ ინგლისის ჩემპიონის ტიტულს მოიპოვებს.

*„მწამს, რომ გასული სეზონის წარუმატებლობამ დიდი გამოცდილება შეგვძინა. ჩვენ ჩემპიონები ვერ გავხდით და ეს გამოცდილება აუცილებელი იყო, რათა შემდგომი გამარჯვებისთვის ჩაგვეყარა საფუძველი. ბოლო ორ წელიწადში „ლივერპულმა" ძალიან უმატა თამაშს. დღეს ჩვენ ინგლისის ჩემპიონობასთან გაცილებით ახლოს ვართ, ვიდრე ადრე ვიყავით"*, - ამბობს ჯერარდი, რომელმაც, მართალია, 2005 წელს ჩემპიონთა ლიგაში გაიმარჯვა, მაგრამ პრემიერლიგის ტიტული არასდროს მოუპოვებია.

ეროვნული ბიბლიოთეკა



მის სპორტი 2009



ალექსანდრე კორტაშვილის ფოტო

# დედოფალი ტანმოვარჯიშეა!

## მივულოცოთ რჩეულს

„მის სპორტის“ გამოვლენის იდეა **კახა ბასილიას** ეკუთვნის, მხარდაჭერაც მოიპოვა სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა დეპარტამენტიდან და შარშან წაკურიანში გამოვლინდა პირველი გამარჯვებული - **ვიქტორია ხადუვინა.**

წუხელ რესტორან „მონოპოლში“ საზეიმო განწყობა ოთხი საათი გაგრძელდა. 25 რჩეულიდან „მის სპორტი 2009“ და სხვა ნომინაციებში საუკეთესონი უნდა გამოევლინა სპეციალურ ჟიურის(თავმჯდომარე კახა ბასილია), რომელთა შორის იყვნენ სპორტის ცნობილი წარმომადგენლები **ლეილა მესხი, დავით გობეჯიშვილი** და **მანუჩარ კვირკველია.**

კონკურსანტთა რიგებში სპორტსმენები ჭარბობდნენ - მხატვრული ტანვარჯიშისა და სპორტული ცეკვების ოსტატები, ფრენბურთელი, მოფარიკავე, კარატისტი და ავტომრბოლიც კი.

მეორე ტურში კონკურსს 12-დან 6 მონაწილე შემორჩა. საუკეთესონი სწორედ ამ ექვსეულიდან შეირჩა, მაგრამ მანამდე ჟიურისა მიწვეული სტუმრების წინაშე კონკურსანტებმა თავიანთი შესაძლებლობები წარმოაჩინეს. მართლაც, რომ დიდებული სანახავი იყო უმაღლესი ხელოვნებისა და უმაღლესი სპორტული ოსტატობის ჰარმონიულობა, მით უფრო, რომ კონკურსის თანმხლებ კონცერტში ცნობილი მომღერლებიც მონაწილეობდნენ.

და აი, დადგა ამაღელვებელი წუთები. ჯერ "მის პრემიერი" დასახელდა. გამარჯვებულად გამოცხადდა 17 წლის **თათია დოლიძე,** რომელსაც დიპლომთან ერთად სხვადასხვა ფირმის პრიზები გადაეცა. "მის სიმპათია" გახდა სპორტული ცეკვების ნორჩი ოსტატი,14 წლის **ანი კირაკოსიანი,** "მის გრაცია" - **ქეთი კაციტაძე,** " მის ელეგანტი" - **ქეთი ხატიაშვილი**(ორივე მხატვრული ტანვარჯიში). დაბოლოს, მთავარი ჯილდო გრან-პრი და ტიტული "მის სპორტი 2009" წილად ხვდა ასევე მხატვრული ტანვარჯიშის მშვენიერ წარმომადგენელს **მზევინარ სამუკაშვილს.** "მის სპორტი 2009" გვირგვინით შარშანდელმა გამარჯვებულმა შეამკო.

საღამოს ესწრებოდა და დაჯილდოების ცერემონიალში მონაწილეობდა სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა დეპარტამენტის თავმჯდომარე **დავით ნამგალაური.** საპატიო სტუმართა შორის იყო საქართველოს პარლამენტის სპორტისა ახალგაზრდობის საქმეთა კომიტეტის თავმჯდომარე **გიორგი ასანიძე** და მსოფლიოში ერთ-ერთი უძლიერესი კარატისტი **ჰიტოში კასუია.**

**თენგიზ თომაშვილი**

წყალბურთი

# პირველობა მიზანს ამართლებს



„ლაგუნა ვერეს“ საცურაო აუზში გუშინ ახალგაზრდა წყალბურთელთა საქართველოს პირველობის მესამე ტურის შეხვედრები გაიმართა. ჯგუფებში, ფაქტობრივად, ლიდერები და აუტსაიდერები დაუპირისპირდნენ ერთმანეთს, რაც ტექნიკური შედეგებიდანაც კარგად ჩანს.

1991-92 წლებში დაბადებულნი: „ივერია-1“ — „ივერია-2“ 20:3, „ლაგუნა ვერე“ — „დელფინი“ 11:4.

1993-1994 წლებში დაბადებულნი: „ლიგამუსი“ — ასკ 13:1, „ივერია-2“ — „ივერია-1“ 2:15.

1995-1996 წლებში დაბადებულნი: „ივერია“ — „ლიგამუსი-2“ 26:2, „ლიგამუსი-1“ — ასკ 13:3.

— პირველობა ჯერ არ დამთავრებულა, მაგრამ განვლილმა სამმა დღემ ნათლად წარმოაჩინა ბავშვთა წყალბურთის შუქ-ჩრდილები, — გვითხრა საქართველოს საწყლოსნო სახეობათა ფედერაციის პრეზიდენტმა **ალექსანდრე ბითაძემ.** — ამიტომ დაბეჯითებით შეგვიძლია ვთქვათ, რომ ტურნირი მიზანს ამართლებს. თუნდაც ის რად ღირს, რომ ეროვნული ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა **ვლადიმერ ისელიძემ** 1991-1992 წლებში დაბადებულთა შორის უკვე შეარჩია რამდენიმე წყალბურთელი, რომლებსაც ქვეყნის მთავარ გუნდში გასასინჯად მიიწვევს. რაც შეეხება სატურნირო მდგომარეობას, ჯერ ნაადრევია დასკვნების გამოტანა. გამარჯვებულები და პრიზიორები ხვალ გამოვლინდებიან.

**ვაჟა დანელია**

ავტორის ფოტო

რაგბი

ინტერვიუ გივი ჭიჭინაძესთან

# რაგბი ტვინსაც ავითარებს და სხეულსაც



საქართველოს მორაგბეთა ეროვნული ნაკრების საშინაო შეხვედრა, ბოლო ხანს წარმოუდგენელია ცოცხლად შესრულებული სახელმწიფო ჰიმნის გარეშე. „ქართული ხმების“ ცნობილი სოლისტი გივი ჭიჭინაძე, რაგბული მეტსახელით „ბრონტიკა“, ლამის ბორჯღალოსანთა თილისმად იქცა. საქართველოს ნაკრებს მის მიერ შესრულებული ჰიმნის შემდეგ ჯერაც არ წაუგია.

- რაგბის ჩემმა მეზობლებმა აჩიკო ლაგოშვილმა, გუგა და ლაშა გეგენავებმა მაზიარეს - გვიამბობს გივი ჭიჭინაძე - მაშინ სკოლის მოსწავლე, ჯერ კიდევ მეცხრეკლასელი ვიყავი. ესენი კი, პოლიტექნიკურ ინსტიტუტში სწავლობდნენ და ამავე ინსტიტუტის გუნდში თამაშობდნენ. ეს 1974 წელს მოხდა. მწვრთნელი გელა მიქაბერიძე იყო. მინდა ხაზგასმით აღვნიშნო, რომ ბედნიერი ბავშვობა მქონდა.

გუნდში ბევრი მოდიოდა, ზოგი პერსპექტიული, ზოგიც უნიჭო, ცხადია, ადგილის დამკვიდრებას ყველა ვერ ახერხებდა. გელა მიქაბერიძეს თავისი კრიტერიუმები ჰქონდა. გუნდში ყველა ერთმანეთის მეგობარი უნდა ვყოფილიყავით, ყველას უნდა გვყვარებოდა ერთმანეთი. ვინც ამ ფასეულობებს, რომელიც რაგბიში ოდითგანვე სუფევდა, ვერ ეგუებოდა, თვითონვე მიდიოდა გუნდიდან.

**- რაგბის თამაში იმ დროისთვის საკმაოდ ადრე დაგიწყიათ. როდის შედგა თქვენი დებიუტი და შემდეგ როგორ განვითარდა სარაგბო კარიერა.**

- 1975 წელს ბალტიისპირეთში გამართულ საკავშირო რანგის ტურნირში საქართველოს ახალგაზრდულმა ნაკრებმა ითამაშა, რომელიც პოლიტექნიკური ინსტიტუტისა და სახელმწიფო უნივერსიტეტის გუნდების ბაზაზე იყო შექმნილი. სწორედ ამ ტურნირზე შედგა ჩემი დებიუტი.

მერე ჩვენი გუნდი, რომელმაც 1980 წელს საქართველოს თასის ფინალში ქუთაისის აია დაამარცხა, უსახსრობის გამო დაიშალა. ნაწილი თბილისის „ლოკომოტივში“ გადავიდა სათამაშოდ. მეორე ნაწილმა კი, თბილისის „შევარდენს“ მიაშურა. მე ამ უკანასკნელის ღირსებას ვიცავდი. რადგან ეს გუნდი სასოფლო სამეურნეო ინსტიტუტის იყო და ამ ინსტიტუტის სტუდენტი გახლდით.

„შევარდენის“ შემადგენლობაში, რომელსაც რამაზ სანებლიძე წვრთნიდა, პირველ ლიგაში პირველობა არავის დავუთმეთ და მერე უმაღლეს ლიგაშიც დიდხანს ვთამაშობდით. სამწუხაროდ, რაგბიდან ძალიან ადრე, 25 წლის ასაკში წავედი.

**- რით იყო ეს განპირობებული?**

- გუშინდელივით მახსოვს. ჯერ კიდევ, როცა მეცხრე კლასელი ვიყავი, ჩეხოსლოვაკიის გუნდი იყო ჩამოსული თბილისში. თამაშის წინა დღეს კალათბურთი ვითამაშე და მუხლი დავიზიანე. ტრავმა მთელი აქტიური სპორტული კარიერის განმავლობაში მაწუხებდა. ბოლოს სერიოზული ოპერაციის გადატანა მომიხდა და რაგბის თამაშსაც თავი დავანებე.

**- თქვენი სარაგბო ცხოვრებიდან, რომელი შეხვედრა დაგამახსოვრდათ ყველაზე სასიამოვნოდ?**

- ასეთი ორია. როგორც ზემოთ აღვნიშნე 1980 წელს ქუთაისის „აია“ დავამარცხეთ საქართველოს თასის ფინალში. მაშინ ქუთაისელთა გუნდი საკმაოდ მზარდი, სწრაფად პროგრესირებადი იყო. რამდენიმე წელიწადში კი, ეს გუნდი კავშირის მაშტაბით საუკეთესო გახდა.

მეორე შეხვედრა ტაშკენტში გაიმართა. საბჭოთა კავშირის ახალგაზრდული ჩემპიონატის ფინალში კრასნოიარსკის საკმაოდ ძლიერ გუნდს მოვუგეთ. ეს 1981 წლის 14 მაისს მოხდა. თამაშის წინა ღამეს საერთოდ არ გვიძინია. ვინაიდან ერთი დღით ადრე, თბილისის „დინამოს“ ფეხბურთელთა გუნდმა ევროპის თასების მფლობელთა თასი მოიპოვა. მახსოვს მწვრთნელმა რამაზ სანებლიძემ გვითხრა - ოთახის კარი ღია დატოვეთო. მერე სათითაოდ დადიოდა ოთახებში. მივიდოდა ტელევიზორთან, ხელს დაადებდა და თუ თბილი იყო ხვდებოდა, რომ ის-ისაა გამორთეს. მე თემურ ქემოკლიძესთან ერთად ვცხოვრობდი, რომელიც მოთამაშე მწვრთნელი იყო. რამაზმა ჩვენს ტელევიზორს ხელი დაადო, თბილი აღმოჩნდა, ესე იგი „დინამოს“ თამაშს ვუყურებდით. არაფერი უთქვამს. ოთახიდან ჩუმად გავიდა.

მეორე დღეს, „დინამოს“ გამარჯვებით აღტყინებულებმა, ფინალში ჩვენც მოვიგეთ. ძალიან დიდი სიხარული იყო. არანაკლები სიხარული მოგვანიჭა რუსეთის ნაკრებთან ჩვენი ეროვნული გუნდის პირველმა გამარჯვებამ. ასევე მსოფლიოს თასზე პირველად გასვლამ. იმ ემოციების ენით აღწერა, უბრალოდ შეუძლებელია.

**- საქართველოს ეროვნული ნაკრების საშინაო შეხვედრა თქვენ მიერ შესრულებული ჰიმნის გარეშე არ იწყება. საკმაოდ კარგი და, ვფიქრობთ, სასარგებლო ტრადიციაა.**

- პირველად რაგბის მატჩის წინ ჩვენმა ანსამბლმა „ქართულმა ხმებმა“ მთელი შემადგენლობით იმღერა. მაშინ „მაგრად დაჰკარით“ ვიმღერეთ, რომელიც დღემდე მორაგბეთა ჰიმნად ითვლება.

რაც შეეხება ჩემ მიერ საქართველოს ჰიმნის შესრულებას. უნდა უსმინოთ, მას მორაგბეები როგორ მღერიან. ბოლო ხმაზე, მთელ ენერგიას აქსოვენ. სიმღერა, ცხადია, კარგია, მაგრამ დიდი ენერგია მიაქვს. აბა დადექით და ერთი წუთის განმავლობაში უბრალოდ იყვირეთ შეუჩერებლივ. ამიტომ საჭიროა გუნდი ჰიმნის შესრულებისას დიდხანს არ დაყოვნდეს.

დიდი ბედნიერებაა, როცა შენი ქვეყნის ლაშქარს, ამ შემთხვევაში მორაგბეთა ნაკრებს, ჰიმნის სიმღერით ულოცავ გზას. ეს ბედნიერება უხვად მაქვს.

**- „ქართულ ხმებში“ ყველანი საკმაოდ ზორბები იყავით. სხვებსაც ხომ არ ჰქონიათ რაიმე კავშირი რაგბისთან?**

- არა. რაგბის მარტო მე ვთამაშობდი. თუმცა სპორტთან თითქმის ყველას ჰქონდა კავშირი. გურამ თამაზაშვილი სპრინტერი იყო, დათო გოგიშვილი მოცურავე. გოგი დოლიძეს ფეხბურთის თამაში და ცურვა უყვარდა. დათო აბესაძემ სიბერეში იოგას მიმართა.

**- სიმღერა როდის დაიწყეთ?**

- ყოველთვის ვმღეროდი. უბრალოდ სერიოზულად მას შემდეგ მოვეკიდე ამ საქმეს, რაც რაგბის თამაშს თავი დავანებე. აქაც არანაკლები საინტერესო ცხოვრების გზა გავიარე. მახსოვს, 1992 წელს საფრანგეთში, პერპინიანში გვქონდა კონცერტი. დასრულების შემდეგ ჩვენ გვარებს რომ აცხადებდნენ, ჩემზე თქვეს ყოფილი მორაგბეაო. აღმოჩნდა, რომ კონცერტს პერპინიანის სარაგბო კლუბის მთავარი მწვრთნელი ესწრებოდა მეუღლესთან ერთად. კონცერტის მერე რესტორანში დამპატიჟა. საკმაოდ კარგი, სასიამოვნო დრო გავატარეთ.

**- მოდით, ისევ რაგბის დავუბრუნდეთ. როგორ შეაფასებდით ქართული რაგბის დღევანდელ მდგომარეობას?**

- წინა წლებთან შედარებით ვითარება ბევრად უკეთესია. გაიზარდა რაგბის გეოგრაფია. საქართველოს თითქმის ყველა კუთხეში გაჩნდა სარაგბო კერები. ჩამოთვლა შორს წაგვიყვანს, მაგრამ ერთი ფაქტი აუცილებლად უნდა აღინიშნოს. ახლახან, საფრანგეთში თხუთმეთწლამდელთა ნაკრებმა ორი დიდი საერთაშორისო ტურნირი მოიგო. ამ ნაკრების თავკაცი კი, პატარძეულის ბავშვთა გუნდის მწვრთნელია. ამაზე თვალნათელი დადასტურება იმისა, რომ საქართველოში რაგბის პოპულარობა იზრდება, მეტი რაღა გინდათ?

რაგბი ქართული თამაშია. იმისათვის რომ განვვითარდეთ და წინ წავიდეთ, ელემანტარული პირობები გვჭირდება. აუცილებელია, ბავშვები მინდორზე გაიზარდონ და არა ისეთ საშინელ პირობებში, ახლა რომ არიან. საბედნიეროდ, მალე საკმაოდ სერიოზული, დიდი პროექტის განხორციელება დაიწყება, რაც მოედნების, სავარჯიშო პირობების პრობლემას ნაწილობრივ მაინც მოხსნის.

ვფიქრობ, მეტი ყურადღებაა საჭირო სახელმწიფოს მხრიდანაც. კარგია, რომ თბილისის რამდენიმე სკოლაში რაგბი, როგორც საგანი ისწავლება. აუცილებელია ამ თამაშის შეტანა ქართულ ჯარშიც.

რაგბი ძალისმიერი თამაში კია, მაგრამ ამასთან ინტელექტუალურიცაა. რაც მეტ წინააღმდეგობას აწყდები ადამიანი, მით მეტი ჭკუა და გონება გჭირდება მის დასაძლევად. ასე რომ, რაგბი ტვინსაც ავითარებს და სხეულსაც.

**ბესიკ ჯანგავაძე**

ლეგიონერები

# დამარცხდა, მაგრამ მაინც აღზევდა

საქართველოს მორაგბეთა ეროვნული ნაკრების მეორეხაზელის **ილია ზედგინიძის** „ექსმა“, საფრანგეთის სარაგბო ჩემპიონატის ფედერალ 1-ის დივიზიონის გათამაშებაში, პლეი ოფის ფინალში „ლანამეზანთან“ მარცხი განიცადა - 6:9. ქართველი მორაგბე თამაშში 70-ე წუთიდან ჩაერთო.

წაგების მიუხედავად ზედგინიძის გუნდმა მაინც მოიპოვა რანგით მაღალ, ელიტურ მეორე დივიზიონში თამაშის უფლება. ამასთან, გამორიცხული არ არის, ექსელთა რიგებში მომავალი სეზონიდან კიდევ ორი ქართველი მორაგბე ვიხილოთ.

**ბესიკ ჯანგავაძე**

### საქართველოს ჩემპიონატი. I ლიგა. VI ტური

ხულიგანა (თბ) - არმაზი (თბ) 7:16, დინამო ივერია (თბ) - არწივები (ოზ) 29:7, ბაგრატი (ქუთ) - აიეტი (ფოთი) 21:8, თიბისი (თბ) - დევები (თბ) (გადაიდო).

სატურნირო მდგომარეობა: 1. არმაზი - 10 ქულა, 2. ხულიგანა - 10, 3. ბაგრატი - 8, 4. დევები - 6, 5. თიბისი - 3, 6. აიეტი - 3, 7. დინამო ივერია - 2, 8. არწივები - 0.

### საქართველოს ჩემპიონატი. ჭაბუკები. B ლიგა. VIII ტური

ყოჩები (თბ) - ხარები (რუს) 12:31, ივერია (თბ) - ლელო (თბ) 0:43, შევარდენი (თბ) - ჯიქები (თბ) 0:8, აკადემია (თბ) - არმაზი (თბ) 15:14, რაინდები (თბ) - ხულიგანა (თბ) 12:23, მუტრუკები (თელ) - უნივერსიტეტი (თბ) (გადაიდო)

სატურნირო მდგომარეობა: 1. აკადემია - 14 ქულა, 2. ჯიქები - 12, 3. უნივერსიტეტი - 12, 4. ხარები - 10, 5. ლელო - 8, 6. არმაზი - 8, 7. შევარდენი - 7, 8. ხულიგანა - 6, 9. ყოჩები - 5, 10. მუტრუკები - 0, 11. რაინდები - 0, 12. ივერია - 0.

### A ლიგა. VIII ტური

ყოჩები (თბ) - ივერია (თბ) 10:10, შევარდენი (თბ) - არმაზი (თბ) 9:6, ლელო (თბ) - ხარები (რუს) 54:0, ჯიქები (თბ) - აკადემია (თბ) 5:21, ბორჯომი - მუტრუკები (თელ) 49:3.

სატურნირო მდგომარეობა: 1. ლელო - 14 ქულა, 2. აკადემია - 10, 3. ივერია - 9, 4. ყოჩები - 7, 5. შევარდენი - 6, 6. ჯიქები - 6, 7. არმაზი - 6, 8. ხარები - 2, 9. ბორჯომი - 2, 10. მუტრუკები - 0

### IRB-ის ერთა თასი. I ტური

შოტლანდია A - ურუგვაი 27 :3, იტალია A - რუსეთი 35:3, რუმინეთი - საფრანგეთი A 16:20.

სატურნირო მდგომარეობა: 1. შოტლანდია A - 10 ქულა, 2. საფრანგეთი A - 9, 3. იტალია A - 5, 4. რუმინეთი - 5, 5. ურუგვაი - 1, 6. რუსეთი - 0

ეროვნული ბიბლიოთეკა

კალათბურთი

# ისევ ნიკა ცქიტიშვილზე

გუშინ შემოგთავაზეთ ამერიკულ პრესაში გამოქვეყნებული ორი სტატია, სადაც საუბარი იყო **ნიკოლოზ ცქიტიშვილზე.** ნიკა ამჟამად მემფისშია და "გრიზლისის" მიერ ორგანიზებულ კემპში მონაწილეობს. ოკეანისგაღმელი ჟურნალისტები დაინტერესდნენ – ხომ არ აპირებს სკიტა NBA-ში დაბრუნებას. "მემფისის" გენერალურმა მენეჯერმა განაცხადა, რომ ქართველი ფორვარდი ერთ-ერთი საინტერესო კანდიდატურაა...

ამერიკულ გაზეთებში გამოქვეყნებულ პუბლიკაციებთან დაკავშირებით ნიკა ცქიტიშვილს გუშინ დავუკავშირდით და სატრანსფერო სიახლეებზე ვკითხეთ.

- მემფისში იმართება თავისუფალ აგენტთა კემპი. მასში სხვებთან ერთად მეც ვმონაწილეობ. ეს არ ნიშნავს, რომ "მემფის გრიზლისში" გადავდივარ, უბრალოდ ვვარჯიშობ. ასეთ კემპებზე ტრანსფერები არ ხორციელდება. ჩემთვის მნიშვნელობა არ აქვს ევროპაში გავაგრძელებ კარიერას, თუ ამერიკაში, მთავარია, ვითამაშო, - გვითხრა ნიკა ცქიტიშვილმა.

ჯერჯერობით უცნობია, რამდენ ხანს დარჩება იგი ამერიკაში, თუმცა იმედოვნებს, რომ საკონტრაქტო საკითხებს ივლისის ბოლომდე, საქართველოს ნაკრების შეკრებამდე მოაგვარებს.

**ვაჟა სიმონიშვილი**

*ინტერვიუ ნიკა მეტრეველთან*

# ფინალში უნდა მოგვეგო...

**ნიკა მეტრეველის "მონტეპასკიმ" იტალიის ჩემპიონატი დამაჯერებლად მოიგო. სიენელებმა ფინალურ სერიაში მილანის "არმანის" 4:0 მოუგეს. გადამწყვეტ სერიაში ნიკას მონაწილეობა არ მიუღია, რადგან იგი იტალიის ახალგაზრდული ჩემპიონატით იყო დაკავებული. მან "მონტეპასკიში" წლეულს სულ ოთხი მატჩი ჩაატარა, სამი სერია A-ში, ერთიც ევროლიგაზე, ფრანგულ "ნანსისთან".**

**ჩვენი გაზეთის მკითხველს მოეხსენება, რომ მეტრეველის გუნდმა იტალიის 19-წლამდელთა ჩემპიონატის ფინალში "ბენეტონთან" წააგო. ამ ამბით ქართველი ცენტრი გულდაწყვეტილია.**

- დასანანი მარცხი იყო. ფინალში "ბენეტონის" ძლევა შეგვეძლო, მაგრამ ვერ მოვახერხეთ.

**- სამაგიეროდ, "მონტეპასკის" დიდი გუნდი გახდა იტალიის ჩემპიონი...**

- ეგ სასიამოვნო ამბავია, სხვებთან ერთად მეც გამეხარდა, მაგრამ სად იმ ტურნირის მოგება, რომელშიც თამაშობ, სად იმ შეჯიბრების, იშვიათად რომ გიწევს მოედანზე გასვლა. ჩემთვის 19-წლამდელთა ჩემპიონატი უფრო მნიშვნელოვანი იყო.

**- ახალგაზრდულ პირველობაზე "ბენეტონი" ყველაზე ძლიერი იყო?**

- არა. ფინალში ჩვენმა უკანახაზელებმა სათანადოდ ვერ ითამაშეს, 20-დან 1 სამქულიანი გამოიყენეს. ამის მიუხედავად მაინც წინ ვიყავით, 8 ქულას ვიგებდით...

**- ახალგაზრდულ ევროლიგაზე ორიდან ორი სამქულიანი ჩააგდე. შორეული ტყორცნებით თანაგუნდელებს "ბენეტონთანაც" ვერ მიახმარე?**

- ერთიდან ერთი სამქულიანი გამოვიყენე. სულ 14 ქულა და 5 მოხსნა მომიგროვდა. ბოლოს მეხუთე ჯარიმა მივილე და გუნდს ვერც მე დავეხმარე. ბენეტონელმა ჯენტილემ ერთმანეთის მიყოლებით 18 ქულა ჩაგვიგდო, სულ 33 ქულა მოაგროვა და ამის გამო დავმარცხდით. იგი მართლაც კარგი კალათბურთელია, 1992 წელსაა დაბადებული.

**- ჯენტილესთან ერთად 19-წლამდელთა იტალიის ჩემპიონატის სიმბოლურ ნაკრებში მოხვდი. გილოცავ.**

- მადლობა. უფრო გასახარი ჩემპიონობა იქნებოდა...

**- საქართველოში როდის ბრუნდები?**

- "მონტეპასკის" უფროსობამ მითხრა, ვიდრე ფინალური სერია დამთავრდება, აქ იყავიო. საქართველოში 18 ივნისის შემდეგ ვაპირებ წამოსვლას.

**- ...და პირდაპირ ახალგაზრდულ ნაკრებს შეუერთდები...**

- დიახ. ევროპის ჩემპიონატის საკვალიფიკაციო ეტაპისთვის მოვემზადები. ვიმედოვნებ, ძლიერი გუნდი გვეყოლება და მაღალ შედეგებსაც ვუჩვენებთ.

**- გამოდის, რომ დასვენებას ვერ ასწრებ? არადა, 20-წლამდელების შემდეგ ეროვნულ ნაკრებში ხარ გამოძახებული...**

- იტალიის ახალგაზრდული ჩემპიონატის შემდეგ ვისვენებ. თავად გუნდის მწვრთნელებმა გამათავისუფლეს. ასე რომ, საქართველოში მეტ-ნაკლებად დასვენებული ჩამოვალ.

**- ნაკრების თავკაცი, იგორ კოკოშკოვი ხომ არ შეგხმიანებია?**

- არა. ამასწინათ დავით უსტიაშვილმა დამირეკა და სანაკრებო ამბებზე მას ველაპარაკე.

**- ადრე მითხარი, შეიძლება კლუბი გამოვიცვალოო. ამ მხრივ ახალი ხომ არაფერია?**

- ჯერ არაფერი. სატრანსფერო საკითხზე ჩემი მენეჯერი მუშაობს. არც "მონტეპასკიში" დარჩენაა გამორიცხული.

**ვაჟა სიმონიშვილი**

ჭადრაკი

# ლიდერთა წრე ვიწროვდება



მიხეილ ქობალია (მარცხნივ) და მალხაზ სულაშვილი

**თბილისის მერიის თასზე მოჭადრაკეთა საერთაშორისო ტურნირის მონაწილეებმა გუშინ მესამე ტურის პარტიები გაითამაშეს. შეიძლება ითქვას, რომ მთავარი პრიზისთვის მებრძოლთა რიგებში სიმჭიდროვეა, თუმცა უდანაკარგოდ დაწინაურებულთა წრე საკმაოდ შევიწროვდა. მათ შორის, ვინც 3 ქულა მოაგროვა, მოსკოველი დიდოსტატი მიხეილ ქობალიაც (რეიტინგი 2645) გახლავთ. გუშინ მან დაძაბულ პაექრობაში მალხაზ სულაშვილი დაამარცხა.**

— მამაჩემი წარმოშობით სოხუმელია, — მითხრა პარტიის დამთავრების შემდეგ მიხეილმა. — 40 წლის წინათ მოსკოვში ჩამოსულა სასწავლებლად. ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ დაქორწინდა და იქვე დარჩა სამუშაოდ. მე კი 31 წლის წინათ დავიბადე. ჭადრაკის თამაში 5 წლისამ დავიწყე. რამდენიმე ტურნირი მაქვს მოგებული. ერთხელ რუსეთის ნაკრებში გამოვდიოდი, განსაკუთრებული ჯერჯერობით არაფერი გამიკეთებია.

**— ვიცი, რომ საქართველოში რამდენჯერმე ყოფილხართ...**

— სოხუმის დაცემამდე აფხაზეთში ყოველ ზაფხულს ჩავდიოდი ნათესავებთან. ახლა იქ ახლობლებიდან არავინ ცხოვრობს — ზოგი მოსკოვში გადავიდა, ზოგმაც თბილისს შეაფარა თავი. მართალია, ბავშვი ვიყავი, მაგრამ სოხუმიდან ბევრი რამ ჩამრჩა მეხსიერებაში. ახლა რომ ვიხსენებ, ნოსტალგია მიპყრობს.

1999 წელს ბათუმში ევროპის ჩემპიონატზე გამოვედი. მას შემდეგ 9 წელიწადი საქართველოში არ ვყოფილვარ. შარშან მოსკოველი ქართველი შევირთე და ჯვარი თბილისში დავიწერეთ. წლეულს ზაფხულს მეუღლესთან ერთად ისედაც ვაპირებდი აქ ჩამოსვლას. კარგია, რომ საქართველოს დედაქალაქში ასეთი მნიშვნელოვანი საერთაშორისო ტურნირი ტარდება. ნამდვილად მისასალმებელია უწინდელი ტრადიციების აღდგენა — თბილისში ხომ პლანეტის უძლიერეს დიდოსტატებს უასპარეზიათ.

რაც შეეხება ჩემს გამოსვლას, სამი ტურის შემდეგ უდანაკარგოდ კი მივდივარ, მაგრამ თამაშის ხარისხით უკმაყოფილო ვარ. ბევრი ქომაგი მყავს — როგორც ჩემი, ისე მეუღლის ნათესავები, ყველა გამარჯვებას ელის ჩემგან, რაც ერთგვარ ფსიქოლოგიურ წნეხად მაწევს. ჯერჯერობით ვუძლებ. ვეცდები, მათი იმედები გავამართლო...

ახლა კი გუშინ გამართული მესამე ტურის სხვა შეხვედრების შედეგებს გაგაცნობთ, ცხადია, ლიდერთა მონაწილეობით: **თორნიკე სანიკიძე — ბაჩანა მორჩიაშვილი 1:0, ნანა ძაგნიძე — აკაკი შალამბერიძე 1:0, ივერი ჭიღლაძე — მერაბ გაგუნაშვილი 0:1, სალომე მელია — არმან პაშიკიანი 0:1, მიხეილ მჭედლიშვილი — ლევან ბრეგაძე 1:0, კონსტანტინე შანავა — თამარ წერეთელი 1:0, ლუკა პაიჭაძე — ტიგრან კოტანჯიანი 0,5:0,5, ლელა ჯავახიშვილი — თამაზ მგელაძე 0,5:0,5, სოფიო გვეტაძე — დავით შენგელია 1:0, დავით ლომსაძე — დავით ჯოჯუა 1:0, გიორგი მარგველაშვილი — ინგა ჭარხალაშვილი 0,5:0,5, მაკა ფურცელაძე — ვუგარ რასულოვი 0,5:0,5, მიხეილ კეკელიძე — პარმენ გელაზონია 0,5:0,5, ზეინაბ მამედიაროვა — გიორგი ბალათუროვი 0,5:0,5, გაიოზ ნიგალიძე — სოფიო გურამიშვილი 1:0, ზურაბ ჯავახაძე — ხვიჩა სუპატაშვილი 1:0.**

ამდენად, 3 ტურის შემდეგ დაწინაურებულთა რაოდენობა 11 მოჭადრაკემდე დავიდა. დღეს სწორედ ისინი შეხვდებიან ერთმანეთს და ლიდერთა წრე უფრო შეიკუმშება.

მაშ, ასე, მე-4 ტურში ერთმანეთს დაუპირისპირდებიან: **არმან პაშიკიანი (3) — ნანა ძაგნიძე (3), მერაბ გაგუნაშვილი (3) — მიხეილ ქობალია (3), გაიოზ ნიგალიძე (3) — მიხეილ მჭედლიშვილი (3), სოფიო გვეტაძე (3) — თორნიკე სანიკიძე (3), დავით ლომსაძე (3) — კონსტანტინე შანავა (3), ტიგრან კოტანჯიანი (2,5) — ზურაბ ჯავახაძე (3), შოთა აზალაძე (2,5) — ბაადურ ჯობავა (2,5), ლევან ფანცულაია (2,5) — ლუკა პაიჭაძე (2,5)...**

**ვაჟა დანელია**

ავტორის ფოტო

# შერმადინი: პანელინიოსი? მგონი ტყუილია

"პანათინაიკოსთან" ერთად ევროლიგისა და საბერძნეთის ჩემპიონატის მოგების შემდეგ **გიორგი შერმადინი** საბერძნეთში ისვენებს. ისევე როგორც ცქიტიშვილს, შერმადინსაც დავუკავშირდით და სატრანსფერო სიახლით დავინტერესდით.

ნიკასგან განსხვავებით გიორგი კონტრაქტიანია. მას ოთხწლიანი ხელშეკრულება აკავშირებს "პანათინაიკოსთან". აქედან გამომდინარე, წესით მის ტრანსფერზე საინტერესო არაფერი უნდა ყოფილიყო, მაგრამ გუშინწინ ლიტვურ გამოცემა "ეურობასკეტში" გავრცელებულმა ინფორმაციამ დაგვაფიქრა. ლიტველთა თქმით, შეიძლება "პანათინაიკოსმა" შერმადინი "პანელინიოსში" გაანათხოვროსო.

ეს ინფორმაცია თავად გიორგი შერმადინსაც გავანდეთ და კომენტარი ვთხოვეთ.

- "პანელინიოსში" ჩემი განათხოვრების ამბავი პირველად მესმის. არა მგონია, სიმართლეს შეეფერებოდეს. გუნდს განათხოვრება გადაწყვეტილი რომ ჰქონდეს, მეც ხომ მეცოდინებოდა? – გაიკვირვა გიორგიმ.

**ვაჟა სიმონიშვილი**

მძლეოსნობა

# სარაევოში, ევროპის ჩემპიონატზე

მომავალ შაბათ-კვირას სარაევო მძლეოსანთა ევროპის საკლუბო ჩემპიონატს უმასპინძლებს. B ლიგაში კონტინენტის 15 გუნდის წევრებს შორის საქართველოს წარმომადგენლებიც იასპარეზებენ. ბოსნია-ჰერცეგოვინაში საქართველოს დელეგაცია (ხელმძღვანელი **ვასილ ბერიშვილი**) ასეთი შემადგენლობით გაემგზავრება: **გიორგი ანთელიძე, ლერი ჩიტაიშვილი, სოფიკო ჩოჩნიძე, გიული დეკანაძე, გაიანე უსტიანი, ზურაბ გიგაია, ზურაბ გოგოჭური, მაია გოგოლაძე, თენგიზ ღვინჯილია, დავით ილარიანი, დენის ჟვანია, ჯეირან ხოფერია, მერაბ ქინიძე, ლიკა ლოლუა, სოფიო მაჭავარიანი, თეა ფაცურია, სალომე რიგიშვილი, ქრისტინე შალამბერიძე, გიორგი შეკრელიძე, ბოლესლავ სხირტლაძე, როსტომ ჭინჭარაული, დავით ცუცქირიძე, გიგლა და ენდრიკ ზილბერშტეინები,** მთავარი მწვრთნელი **ანდრო ბედუკაძე,** მწვრთნელები — **ყარამან საბანაშვილი, ირაკლი გოზალიშვილი, ზიგმუნდ ზილბერშტეინი, რევაზ ბუკია, ბაგრატ მექვაბიშვილი,** მედია-მენეჯერი **გიორგი ჭანიშვილი.**

ქართველი ათლეტები მსგავს შეჯიბრებებზე არაერთხელ ასულან კვარცხლბეკზე. იმედია, წარმატებით ახლაც გაგვახარებენ. მძლეოსნობის ეროვნული ფედერაციის პრეზიდენტის **თამაზ მდინარაძის** თქმით, ის სპორტსმენები, რომლებიც სარაევოში იყოჩაღებენ, ისრაელის ღია ჩემპიონატში საასპარეზოდაც გაემგზავრებიან, ხოლო დავით ილარიანი თურქეთის საერთაშორისო ტურნირზეც გამოვა, რადგან მას მსოფლიოს ჩემპიონატის ლიცენზია აქვს მოსაპოვებელი. სპორტის დედოფლის ზეიმს წლეულს აგვისტოში ბერლინი უმასპინძლებს. ოლიმპიური თამაშების ორგზის მონაწილემ, ბირთვის მკვრელმა **მარიამ ქევხიშვილმა** გერმანიის საგზური ამერიკაში დაიბევა, სადაც იგი ამჟამად სწავლობს და ვარჯიშობს.

**ვაჟა დანელია**

ჩოგბურთი

# შაფათავა და შაფაქიძე აგრძელებენ

26 წლის **მარია-ემილია სალერნი** (453) შარშან მსოფლიოს მოწინავე ჩოგბურთელთა ასეულში იყო, სწორედ მან შეიწირა მონპელიეს საერთაშორისო ტურნირის (საფრანგეთი, 25 ათასი $) პირველ წრეში მე-8 ნომრად განთესილი მისი თანატოლი **მაკა ჩახნაშვილი** (228) - 7:6 (5), 6:0. სამაგიეროდ, პირველი ბარიერი დაძლია მაკას თანამემამულე **სოფიო შაფათავამ** (272), რომელმაც საკვალიფიკაციო წრიდან გამოსული პოლონელი **ალექსანდრა გრელა** (547) დაამარცხა - 2:6, 6:4, 6:3. მერვედფინალში შაფათავა მე-3 ნომრად განთესილ გერმანელ **ლაურა ზიგმუნდს** (222) გაეჯიბრება. ზიგმუნდი 21 წლისაა, ის ჩვენებურთაგან მხოლოს **ოქსანა კალაშნიკოვას** (276) შეხვედრია და დამარცხებულა.

სტამბოლის საერთაშორისო ტურნირშიც (თურქეთი, 10 ათასი $) ორი ქართველიდან ერთმა დაძლია პირველი ეტაპი - **მანანა შაფაქიძემ** (666) „უაილდ ქარდით" მიწვეულ თურქ **სედა არანთექინს** იოლად მოუგო - 6:2, 6:1. ტურნირის მე-4 ჩოგანი **სოფიო ქვაცაბაია** (525) კი ავსტრალიელ **ჯეიდ ჰოფერთან** დამარცხდა - 3:6, 1:6. შაფაქიძე მერვედფინალში მე-7 ნომრად განთესილ რუს **გალინა ფოკინას** (664) ხვდება, რომელთანაც შარშან ეგვიპტის ტურნირში წააგო. სტამბოლის ტურნირის წყვილთა თანრიგს ქართველები აღარ შემორჩნენ.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

პლაჟბურთი

*მსოფლიოს ჩემპიონატი*

# მეტოქეები ცნობილია

25 ივნისს ნორვეგიის ქალაქ სტავანგერში პლაჟბურთის მსოფლიოს ჩემპიონატი გაიმართება. შეჯიბრებაში, რომელიც ორ წელიწადში ერთხელ ტარდება, 32 ქვეყნის 96 წყვილი იასპარეზებს. მათ შორის არიან პლაჟბურთის ქართული წყვილებიც.

გუშინ ლოზანაში, FIVB-ის შტაბბინაში გამართული წილისყრის შედეგად **გეორგია და საქა-რთველოც** I ჯგუფში მოხვდნენ. გეორ-გიას, რომელიც მსოფლიოს ჩემპიონატზე 33-ე ნომრად არის განთესილი, ჯგუფურ ეტაპზე მეტოქეობას მე-9 ნომრად განთესილი რუსული დუეტი **ბარსუკი-კოლოდინსკი,** მე-16 ნომერი ესტონელები **კაისი-ვესიკი** და მე-40 ნომერი ფრანგული წყვილი **სალვეტი-დელფო** გაუწევს.

ჯგუფს იოლს ვერაფრით დავარქმევთ, თუმცა ჩვენს ფრენბურთელებს, შესაძლებელია უფრო რთული მეტოქეებიც შეხვედროდათ. კარგია, რომ გეორ-გიას მეტოქედ წილისყრამ ბრაზილიელი და ამერიკელი წყვილები არ არგუნა, რადგან ესენი ნებისმიერი რანგის ტურნირის ფავორიტები არიან და მათთან გამარჯვება შეუძლებელია არაა, თუმცა ნაკლებად სავარაუდოა. სხვა დანარჩენის წინაალმდეგ წარმატებით თამაში, ჩვენს ფრენბურთელებს ნამდვილად ხელეწიფებათ.

ამ ჯგუფის ფავორიტად კი, მაინც ბარსუკი და კოლოდინსკის რუსული დუეტი მიგვაჩნია, რომლებმაც ორი წლის წინათ, შვეიცარიის ქალაქ გშტაადში გამართულ მსოფლიოს ჩემპიონატზე მეორე ადგილი დაიკავეს. ფინალში მათ ამჟამინდელ ოლიმპიურ ჩემპიონებთან, ამერიკელებთან **როჯერსთან** და **დალჰაუზერთან** წააგეს.

შეიძლება ითქვას, რომ წილისყრამ გაუმართლა ქალთა შორის ქართულ დუეტ საქა-რთველოს, რომელიც ისევე როგორც გეორ-გია, 33-ე ნომრადაა განთესილი. ჩვენი ფრენბურთელების მეტოქეები იქნებიან ნორვეგიური დუეტი **ნილა-ინგრიდი** (9), გერმანული წყვილი **პოჰი-რაუ** (16) და დანიური, ნაკლებად ცნობილი წყვილი **ანდრეასენი-ვესტერგაარდი** (40).

საქა-რთველოს მეტოქეები რაიმე დიდი მიღწევებით ვერ დაიკვეხნიან, თუმცა ეს სულაც არ ნიშნავს, რომ მათ სტავანგერში იოლი ცხოვრება ექნებათ. ჯგუფის ფავორიტად ალბათ მაინც მასპინძლები ნილა და ინგრიდი უნდა მივიჩნიოთ.

**ბესიკ ჯანგავაძე**



# ლელო წარმოგიდგენთ
# ქართული სპორტის ქრონიკები

## ევროპის ჩემპიონატები

### ბრინჯაოს მედალოსნები

1. აბაშიძე მიხეილ - სამბო - 1993
2. აბუაშვილი ემზარ - აკრობატიკა - 1994
3. აზმაიფარაშვილი ზურაბ - ჭადრაკი - 2001 პირადი, 2003 გუნდური
4. აკობია მარინა - წყალბურთი - 1999, 2001
5. ალიფირენკო სერგეი - ტყვიის სროლა - 1999
6. ანტონოვი ბორის - სასტენდო სროლა - 1955
7. არაშვილი ვანო - სამბო -1994
8. არახამია-გრანტი ქეთევან - ჭადრაკი - 2001 პირადი
9. არქანია გოგიტა - კარატე - 2005
10. აფხაზავა თეიმურაზ - ბერძნულ-რომაული ჭიდაობა - 1979,1986
11. ახალაია ოთარ - სამბო - 2006
12. ახალბედაშვილი იოსებ - სამბო - 1995, 1997, 1999
13. ბაინდურაშვილი გიორგი - ძიუდო - 2006
14. ბედინაძე დავით - ბერძნულ-რომაული ჭიდაობა - 2005
15. ბედინეიშვილი ემზარ - თავისუფალი ჭიდაობა - 1999, 2003, 2007
16. ბედოშვილი ელისო - მხატვრული ტანვარჯიში - 1990
17. ბერიშვილი იოსებ - ბერძნულ-რომაული ჭიდაობა - 1974
18. ბერუაშვილი გელა - სამბო - 1991
19. ბოდაველი მინდია - სამბო -2008
20. ბუზიაშვილი რამაზ - აკრობატიკა - 1994
21. გაგნიაშვილი ნიკოლოზ - სამბო - 1991
22. გაზაშვილი რამაზ - კრივი - 1998
23. გეჯაძე დავით - კარატე - 2001
24. გვასალია პაატა - კრივი - 1993
25. გვახარია ნოდარ - წყალბურთი - 1958
26. გვიჩიანი გია - მკლავჭიდი - 1991
27. გიგაური დავით - თავისუფალი ჭიდაობა - 1983
28. გიორგაძე მირიან - ბერძნულ-რომაული ჭიდაობა - 2005
29. გოგია მუხრან - ძალოსნობა - 1994
30. გოგოლაური გურამ - ძიუდო - 1973
31. გოგოლაძე ვლადიმერ - სპორტული ტანვარჯიში - 1985 - 2
32. გოგშელიძე გიორგი - თავისუფალი ჭიდაობა - 2006, 2007
33. გოროდიანკინი ალექსანდრე - ტყვიის სროლა - 1978
34. გოჩაშვილი ბესარიონ - თავისუფალი ჭიდაობა - 2005
35. გუბიევა მაია - სასტენდო სროლა - 1990
36. გუგენაშვილი ზაზა - მკლავჭიდი -1991
37. გურჩიანი ერეკლე - მკლავჭიდი - 2000
38. დავითაშვილი ალექსი - ძიუდო - 1994, 2000, 2001
39. დავითაშვილი ალექსი - სამბო - 1998, 1999, 2001
40. დობორჯგინიძე როინ - თავისუფალი ჭიდაობა - 1973
41. დოლგარიოვი ანდრეი - ტყვიის სროლა - 1987 - 2
42. დოლონაძე ანა - ბატუტი - 1998, 2001, 2002
43. ებანოიძე ლევან - სუმო (1999)
44. ესებუა ქრისტინა - მშვილდოსნობა - 2004
45. ვაზაგაშვილი გიორგი - ძიუდო - 1999, 2000
46. ვანშტეინი ლევ - ტყვიის სროლა - 1955
47. ვახტანგაძე მუხრან - ბერძნულ-რომაული ჭიდაობა - 2003
48. ზვიადაური ზურაბ - ძიუდო - 2002, 2006
49. ზოზიროვი ზაზა - თავისუფალი ჭიდაობა - 1996
50. თედორაძე თენგიზ - ბერძნულ-რომაული ჭიდაობა - 1993
51. თენაძე გიორგი - ძიუდო - 1989
52. თინიკაშვილი გულნაზი - სამბო - 2008
53. თუშიშვილი ოთარ - თავისუფალი ჭიდაობა - 1999, 2001
54. იევლევა ლუდმილა - მძლეოსნობა - 1968
55. იმნაიშვილი თამაზ - სასტენდო სროლა - 1985
56. კაკაურიძე აკაკი - კრივი - 1993
57. კაკულია თეიმურაზ - ჩოგბურთი - 1970, 1975, 1978
58. კაპანაძე ვეფხია - სამბო -1993
59. კარტოზია დიმიტრი - აკრობატიკა - 1994
60. კასიანიკი მოისეი - ძალოსნობა - 1947
61. კაჭარავა ვაჟა - ფრენბურთი - 1963
62. კახიაშვილი კახი - ძალოსნობა - 1998
63. კიბორძალიძე აკაკი - ძიუდო - 1987, 1988
64. კოვალენკო სერგეი - კალათბურთი - 1968
65. კოსმინინი კონსტანტინე - ტყვიის სროლა - 1981
66. კრასკო ვიქტორ - ცურვა - 1970
67. კუპატაძე კონსტანტინე - კრივი - 2002, 2004
68. კურდღელაშვილი მამუკა - სამბო - 1999
69. კუზანაშვილი უშანგი - სამბო - 2006
70. კურტანიძე ლუკა - თავისუფალი ჭიდაობა - 1999
71. კურტანიძე კობა - ძიუდო - 1990
72. კუცია ნიკო - სამბო - 2007
73. ლაგვილავა მერაბ - სამბო -1998
74. ლადიგინა ოლგა - მშვილდოსნობა - 2004
75. ლავრინენკო ვლადიმერ - ცურვა - 1954
76. ლეკვეიშვილი თინათინ - ცურვა - 1970
77. ლილუაშვილი დავით - სამბო -2001
78. მაკასარაშვილი გიორგი - თავისუფალი ჭიდაობა - 1980, 1983
79. მამულაშვილი კახა - სამბო -2003
80. მარტყოფლიშვილი ანზორ - ძიუდო - 1971
81. მატკავა ავერი - ნიჩბოსნობა - 1965
82. მელაძე მევლუდ - სამბო - 1992, 1993
83. მეტრეველი ალექსანდრე - ჩოგბურთი - 1973
84. მეტრეველი ომარ - სამბო - 1997
85. მინდორაშვილი რევაზ - თავისუფალი ჭიდაობა - 2002
86. მოდებაძე ალექსი - თავისუფალი ჭიდაობა - 2003, 2007
87. მორჩილაძე შოთა - ბერძნულ-რომაული ჭიდაობა - 1973
88. მუზაევი ამირან - ძიუდო - 1973
89. მუზაშვილი ჯონდო - სამბო - 1995
90. მშვენიერაძე პეტრე - წყალბურთი - 1958
91. მჭედლიძე გურამ - თავისუფალი ჭიდაობა - 2000
92. ნარიმანიძე ხათუნა - მშვილდოსნობა - 2004
93. ნიკურაძე გივი - აკადემიური ნიჩბოსნობა - 1973
94. ნიჟარაძე ჯიბილო - ძიუდო - 1973, 1976
95. ნოზაძე რამაზ - ბერძნულ-რომაული ჭიდაობა - 2008
96. ოდიშვილი ბესო - სამბო -1994, 1997
97. ომელჩენკო იგორ - ცურვა - 1976
98. ონაშვილი გივი - ძიუდო - 1971
99. ოქრუაშვილი ადამ - ძიუდო 2006
100. ოძელაშვილი ნინო - სამბო - 2008
101. პავლიაშვილი მირიან - სამბო - 2007
102. პაპაშვილი გელა - ბერძნულ-რომაული ჭიდაობა - 1993
103. პაპოშვილი გელა - აკრობატიკა - 1994
104. პოლულიახი ბორის - წყალში ხტომა - 1962
105. ჟვანია კახაბერ - კრივი - 2006
106. ჟორჟოლიანი ლომერ - ძიუდო - 2006
107. რევაზიშვილი გიორგი - ძიუდო - 1994, 1998, 2000
108. საკანდელიძე ზურაბ - კალათბურთი - 1973
109. სალუქვაძე ნინო - ტყვიის სროლა - 1999, 2003
110. სანაძე ლევან - მძლეოსნობა, ესტაფეტა 4X100 მ - 1954
111. სანიკიძე გელა -სამბო -2006
112. სარხოიანი სარგის - მაგიდის ჩოგბურთი - 1974, 1976
113. სალარაძე გურამ - თავისუფალი ჭიდაობა - 1968
114. სიმონიშვილი დავით - სამბო - 2008
115. ტოტიკაშვილი ამირან - ძიუდო - 1990
116. ფერაძე რატი - სამბო - 2002
117. ფიცხელაური შენგელი - ძიუდო - 1974
118. ქარჩაიძე გურამ - სამბო - 1991
119. ქევხიშვილი დავით - ძიუდო - 2004, 2005
120. ქრივიშვილი ხათუნა - მშვილდოსნობა - 1990
121. ქიბრონაშვილი ანზორ - ძიუდო - 1966
122. ქორქია ოთარ - კალათბურთი - 1955
123. ყაზარაშვილი თემო - ბერძნულ-რომაული ჭიდაობა - 1985
124. ყიზილაშვილი გიორგი - ძიუდო - 2006
125. ყუშიტაშვილი მიხეილ - სამბო - 1992, 1993
126. შავლაყაძე რობერტ - მძლეოსნობა, სიმაღლეზე ხტომა - 1962
127. შანიძე დიტო - ძალოსნობა - 1968, 1972, 1974
128. შუბითიძე გივი -სამბო -2001
129. შჩერბინა ალექსანდრე - მძლეოსნობა, სპორტული სიარული - 1966
130. ჩაჩუა აკაკი - ბერძნულ-რომაული ჭიდაობა - 1997
131. ჩინჩალაძე ზვიად - სამბო - 2007
132. ჩოჩიშვილი რამაზ - ძიუდო - 1996, 2001
133. ჩოჩიშვილი შოთა - ძიუდო - 1977
134. ჩოხელი არჩილ - სამბო - 1993, 1994, 1997, 1999, 2000, 2002
135. ცინცაძე ავთანდილ - სამბო -2007, 2008
136. ცირეკიძე ირაკლი - ძიუდო - 2008
137. ციციაშვილი გოჩა -ბერძნულ-რომაული - 1995, 1996
138. ცხოვრებოვი ანდრო - თავისუფალი ჭიდაობა - 1966
139. ძოძუაშვილი რევაზ - ფეხბურთი - 1972
140. ხაბარელი შოთა - ძიუდო - 1981, 1983
141. ხანიშვილი აკაკი - სამბო - 2002
142. ხარშილაძე რამაზ - ძიუდო - 1975, 1980
143. ხასაია ბადრი - ბერძნულ-რომაული ჭიდაობა - 2005
144. ხახალეიშვილი დავით - ძიუდო - 1990
145. ხეთაგური გია - აკრობატიკა - 1993
146. ხერგიანი ნესტორ - ძიუდო - 1999, 2000, 2001, 2002, 2006, 2007,2008
147. ხომიზური მინდია - ძიუდო - 2006
148. ხოსიტაშვილი ვახტანგ - ძიუდო - 2006
149. ხოფერია რუსუდან - ბატუტზე ხტომა - 1987
150. ხურცილავა მურთაზ - ფეხბურთი - 1972
151. ჯანიაშვილი ბადრი - სამბო - 2003
152. ჯიქურაული ივერი - ძიუდო - 1994, 2001

სულ ევროპის ჩემპიონატებზე საქართველოს სპორტსმენებმა მოიპოვეს 770 მედალი (366 ოქრო, 185 ვერცხლი, 219 ბრინჯაო):

366 ოქრო მოიპოვა 172 სპორტსმენმა.
185 ვერცხლი, 116 სპორტსმენმა
219 ბრინჯაო, 152 სპორტსმენმა

დასაწყისი ლელო №52 (12731).
გაგრძელება იქნება

გურამ ძაგანია, პროფესორი

მემატიანემ შემოგვინახა ასეთი ფაქტი: „ჯავახეთს თურქები რომ დაეპატრონენ, იქ ჩარჩენილა ერთი სახელგანთქმული ქართველი მოჯირითე სოლალა. მისი, როგორც მოჯირითის, სახელი ხონთქრამდე მისულა. ხონთქარს დაუბარებია იგი და უბრძანებია, შებმოდა მის ფალავანს, ვილაც არაბ მოჯირითეს. უარის თქმა არ იკადრა მგზნებარე პატრიოტმა ვაჟკაცმა, თუმცა კარგად იცოდა, რომ გამარჯვების შემთხვევაში ცოცხალს არ გამოუშვებდნენ. და იგი გავიდა ბრძოლის ველზე.

ხალხური ლექსი გადმოგვცემს, რომ სოლალამ „დაჰკივლა და შემოტყორცნა, დაარჭო ბეჭის ფრთაზედა, არაბი ძირს გადმოვარდა, ცხენი გარბოდა წყალზედა". სირცხვილნაჭამმა თურქებმა მართლაც სიკვდილით დასაჯეს ქართველი მოჯირითე, რომელმაც საკუთარი სიცოცხლის ფასად დაიცვა თავისი ქვეყნის ღირსება. ამ ამბის ანალოგიები მრავლად მოიძებნება ჩვენი ხალხის ცხოვრების გმირულ ისტორიაში".

### 18-24 ივნისი

**18-21 ივნისი. რაგბი.** ჩერჩილის თასის გათამაშების გაგრძელება. აშშ, ვაჟები.

**18 ივნისიდან. ჭადრაკი.** მერის თასის გათამაშების გაგრძელება. თბილისი. ქალები, ვაჟები.

**20 ივნისიდან. აფროსნობა.** „კილის" საერთაშორისო რეგატა. გერმანია. დიდები.

**22 ივნისიდან.** თანამედროვე ხუთჭიდი. ევროპის ჩემპიონატი. გერმანია, დიდები.

**24 ივნისიდან.** ჭადრაკი. ვახტანგ ქარსელაძის მემორიალი. ჭაბუკები.

**24 ივნისიდან.** ძალოსნობა. საქართველოს ლიგა, II ტური. ქუთაისი. დიდები.

**24 ივნისიდან.** თავისუფალი ჭიდაობა. საერთაშორისო ტურნირი. ირანი. ჭაბუკები.

**24 ივნისიდან.** ბერძნულ-რომაული ჭიდაობა. საერთაშორისო ტურნირი. ირანი. ჭაბუკები.

### 18-24 ივნისი

**18 ივნისი. 1951 წ.** დაიბადა **დათო ყიფიანი** (გარდაიცვალა 17.09.2001) — ფეხბურთი.

**19 ივნისი. 1996 წ.** ატლანტაში გაიხსნა ზაფხულის XXVI ოლიმპიური თამაშები.

**21 ივნისი.** დაიბადნენ: **ამირან ტოტიკაშვილი** (1969 წ.) — ძიუდო; **ალექსი დავითაშვილი** (1974) ძიუდო; **გიორგი თავაძე** (1955) — ფეხბურთი.

**22 ივნისი. 1962 წ.** დაიბადა **სერგო შალიბაშვილი** (გარდაიცვალა 16.07.1983 წ.) — წყალში ხტომა.

**23 ივნისი. 1945 წ.** დაიბადა **ტარიელ ალიბეგაშვილი** (გარდაიცვალა 25.03.1991 წ.) — თავისუფალი ჭიდაობა. ეს დღე საერთაშორისო ოლიმპიურმა კომიტეტმა საერთაშორისო ოლიმპიურ დღედ გამოაცხადა.

**24 ივნისი. 1940 წ.** დაიბადა **რენა აბჟანდაძე** (გარდაიცვალა 10.07.1995 წ.) — ჩოგბურთი.

**23 ივნისი. 1954 წ.** დაიბადა **ვახტანგ ბლაგიძე** — ბერძნულ-რომაული ჭიდაობა.

## კალათბურთის ფარი უგრეხელიძესაც ჩამოუშლია

1960 წელი. რომი. ოლიმპიური თამაშების ტურნირის მატჩი ვაჟ კალათბურთელთა შორის. მოედანზეა სსრ კავშირისა და პუერტო-რიკოს ნაკრები გუნდები. თუმცა საბჭოთა ნაკრების გამარჯვებაში ეჭვი არავის ეპარებოდა, მატჩი უსენსაციოდ მაინც არ დასრულებულა. ფინალურ სასტვენამდე რჩებოდა წუთნახევარი. ანგარიში იყო 96:63 საბჭოელების სასარგებლოდ. მეტოქის ფარს უტევს **ვლადიმერ უგრეხელიძე**. ქართველმა ნახტომში ჩააგდო ბურთი კალათში და რკალს ჩამოეკიდა. ფარი, რომელზედაც რკალი იყო მიმაგრებული, ერთბაშად ჩამოიშალა, იატაკს დაენარცხა და მინა, როგორც ყინული, დაიფშვნა. უგრეხელიძე არ დაშავებულა, მაგრამ ნამსხვრევებისგან დაიჭრა მისი თანაგუნდელი **ალბერტ ვალტინი** და რამდენიმე მაყურებელი.

მომსახურე პერსონალს მოედნის გასუფთავებაში აქტიურად დაეხმარა მაყურებელი, რომელიც უმალვე გადავიდა მოედანზე ფარის ნამსხვრევების, როგორც სუვენირის ხელში ჩასაგდებად.

ვიდრე ახალ ფარს დაამაგრებდნენ, მსაჯთა კოლეგიამ იმსჯელა და დაადგინა, რომ მატჩი უნდა გაგრძელებულიყო. თუმცა იყო წინადადება, გამარჯვება საბჭოთა ნაკრებს ჩასთვლოდა. საბოლოოდ უგრეხელიძის თანაგუნდელებმა შეხვედრა 100:63 მოიგეს.



ვლადიმერ უგრეხელიძე

## რაგბის თემაზე

**პირველი** რაგბის გუნდი საქართველოში შეიქმნა 1947 წელს საქალაქთაშორისო ტურნირის ჩატარების წინ. გუნდს სათავეში ჩაუდგა რუსი ვ. ციგანკოვი.

**პირველმა** ჩვენი სარაგბო კლუბებიდან საქართველოს თასი მოიპოვა პოლიტექნიკური ინსტიტუტის გუნდმა (ახლანდელი „ყოჩები") 1978 წელს. ამ გუნდს არც 1979 და 1980 წლებში დაუთმია სანუკვარი ჯილდო. 1981 წელს კი თასს თბილისის უნივერსიტეტის გუნდი დაეუფლა.

**პირველად** რაგბი ოფიციალურად საქართველოში ცნეს 1961 წლის 1-ელ დეკემბერს. ამ დღეს თბილისის სპორტკომიტეტის ბრძანებით დამტკიცდა წინადღეს, 30 ნოემბერს გამართული რაგბის დამფუძნებელი კრების ოქმი.

## ვიქტორინა ოლიმპიურ თემაზე

1. საქართველოდან ვინ იასპარეზა ყველაზე მეტჯერ ზამთრის ოლიმპიურ თამაშებში?
ა - ელენე გედევანიშვილმა
ბ - კობა წაქაძემ
გ - კახა წაქაძემ

2. საქართველოდან ვინ იასპარეზა ყველაზე მეტჯერ, საერთოდ ოლიმპიურ თამაშებში?
ა - ვიქტორ სანეევმა
ბ - კობა წაქაძემ
გ - ნინო სალუქვაძემ

3. რომელ სპორტსმენს აქვს სამივე სინჯის ოლიმპიური მედალი მოპოვებული საქართველოდან?
ა - ვიქტორ სანეევს
ბ - ნინო სალუქვაძეს
გ - შოთა ჩოჩიშვილს

4. რომელ ოლიმპიურ თამაშებზე აჟღერდა პირველად საქართველოს ჰიმნი და აღიმართა საქართველოს დროშა?
ა - ბარსელონაში, 1992 წელს
ბ - ატლანტაში, 1996 წელს
გ - ათენში, 2004 წელს

5. ვინ არის დამოუკიდებელი საქართველოს პირველი ოლიმპიური ჩემპიონი?
ა - კახი კახიაშვილი
ბ - გიორგი ასანიძე
გ - ზურაბ ზვიადაური

პასუხები: 1-ბ, 2-გ, 3-გ, 4-ა, 5-გ



ფოტომემატიანე ბადრი კეთილაძე

ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტო

ეროვნული ბიბლიოთეკა

კალათბურთი. NBA კლივლენდ კავალიერზი



# ხელმოცარულები

მთელი გასული სეზონის განმავლობაში, „კლივლენდ კავალიერზი" სამეფო თამაშს აჩვენებდა და საჩემპიონო ტიტულისთვის ემზადებოდა. რეგულარული ჩემპიონატი საკლუბო ისტორიაში საუკეთესო შედეგით, ერთი ამოსუნთქვით იქნა მოგებული. „კავალიერზის" საპლეიოფო ბადეც ცალმხრივი მოძრაობის ქუჩას ნაავდა - „დეტროიტი" და „ატლანტა" ამ გზიდან უმოწყალოდ იქნენ გაგდებული. ლებრონთან და კომპანიასთან კონფერენციის ფინალში „ორლანდო მეჯიქს" ერთ, მაქსიმუმ ორ გამარჯვებას უწინასწარმეტყველებდნენ. ვერავინ იწინასწარმეტყველებდა, რომ ამ სერიის ექვსი მატჩის შემდეგ, „კლივლენდისთვის" წლევანდელი სეზონი დასრულებული იქნებოდა.

## მეფეების გზა

ოცნების სეზონი - ასე უბრალოდ შეიძლება „კავალიერსისთვის" 2008-09 წლების სეზონის დახასიათება. ტრიუმფული სვლის გარანტია შედეგიანი თამაში, „რკინაბეტონის" დაცვა და ლიგის საუკეთესო მოთამაშე გახდა.

ამ ყველაფრის მიუხედავად, „კლივლენდმა" ჩემპიონატი მძიმედ დაიწყო. ცუდ სერიალს დაემსგავსა **ანდერსონ ვარეჟოსთან** და **საშა პავლოვიჩთან** კონტრაქტის გახანგრძლივების პროცესი. კალათბურთელებთან ვაჭრობა ბოლო ცენტამდე მიდიოდა და დადებითად დასრულდა უკვე მას შემდეგ, რაც ჩემპიონატში შვიდი მატჩი იყო ნათამაშები. „კლივლენდს" თავისი ძირითადი კალათბურთელების გარეშე შესამჩნევი პრობლემები ჰქონდა. სწორედ ამ მიზეზით, პირველ სამ მატჩში მხოლოდ ერთი გამარჯვება იქნა მიღწეული. სტარტზე ჩავარდნის შემდეგ, **მაიკ ბრაუნის** გუნდმა საჭირო დასკვნები გამოიტანა და შეცდომებს უკლო. ზუსტად ორი თვე გრძელდებოდა „კავალიერსის" ბატონობა - მხოლოდ ორი წაგება 27 შეხვედრაში. გუნდური თამაშის ძალიან მნიშვნელოვანი დეტალი გახდა **მო უილიამსი**, რომელსაც გადასცეს ბურთი და უთხრეს - „პასი ლებრონს". „მილუოკის" ყოფილი გამთამაშებელი აშკარად მოუხდა ჯეიმსს.

თავისი წარმატებული თამაშის წყალობით, უილიამსმა კარიერაში პირველად მიიღო „ყველა ვარსკვლავის მატჩში" გამოსვლის საშუალება. ჯეიმსისთვის კი ასეთი მატჩები უკვე დიდი ხანია კარგ ტრადიციად ითვლება. ჩემპიონატის მსვლელობისას ის მოკრძალებით ასრულებდა ლიგის ყველაზე ძვირფასი კალათბურთელის ფუნქციებს. 28 ქულა, 7 მოხსნა და 7 შედეგიანი პასი - ასეთი იყო „მეფის" შეუფასებელი წვლილი საერთო გუნდურ წარმატებაში. ლებრონი „კლივლენდის" ლიდერი გახდა ქულების, მოხსნების, ჩაჭრებისა და დაფარებების რაოდენობით. ისტორიას მხოლოდ ოთხი კალათბურთელი ახსოვს, ვინც ასეთი შედეგით დაიკვეხნის.

როცა რომელიმე კალათბურთელი ტრავმას მიიღებდა, ჯეიმსი თავისი უნივერსალურობის წყალობით, იოლად ავსებდა წარმოქმნილ ხვრელებს შემადგენლობაში. „ადამიანი-ორკესტრი" ჩემპიონატის მსვლელობისას ყველა პოზიციაზე თამაშობდა - გამთამაშებლით დაწყებული, ცენტრით დამთავრებული. ის დაეხმარა „კავალიერზს" ასოციაციაში ერთ-ერთი ყველაზე ძლიერი დაცვითი ბარიერის შექმნაში. მეტოქეები „კლივლენდის" წინააღმდეგ მატჩებში მხოლოდ 91.4 ქულას აგროვებდნენ და ტყორცნების გამოყენების საკმაოდ დაბალი მაჩვენებლი ჰქონდათ - 43.1 პროცენტი.

ამ დაცვის ერთ-ერთი მთავარი ინჟინერი - **მაიკ ბრაუნი** სეზონის ბოლოს წლის საუკეთესო მწვრთნელად დასახელდა. მისმა გუნდმა 66 გამარჯვებას მიაღწია, რომელიც ლიგის ისტორიაში მხოლოდ 12 გუნდს ჰქონდა. სტატისტიკამ გუნდის სხვა მიღწევაც დააფიქსირა - „კლივლენდი" გახდა ყველაზე პროგრესირებადი გუნდი. შარშანდელ ჩემპიონატთან შედარებით, მან 21 გამარჯვებით გააუმჯობესა საკუთარი შედეგი.

მთელი სეზონი „კლივლენდის" ექვსთვიან კორონაციას ჰგავდა. გუნდს არც პლეი ოფში შეუჩერებია სვლა. ზედიზედ 8 გამარჯვება - საჩემპიონო ამბიციების დემონსტრაციას ნიშნავდა. **კობისა** და ლებრონის მომავალი დაპირისპირების სარეკლამო რგოლები უკვე გამოჩნდა ტელევიზორების ეკრანებზე. და უცებ, მოულოდნელი ჩავარდნა. აქ აშკარად „მაგიასთან" გვქონდა საქმე.

## ჩავარდნა

„კლივლენდის" ყველა გმირობა აღმოსავლეთი კონფერენციის ფინალში განცდილი კრახის შემდეგ დაივიწყეს. დაბალანსებული შემადგენლობის შესახებ ლაპარაკი უნიჭო სათადარიგოების და „დაბერებული" წინა ხაზის შესახებ ფრაზებმა შეცვალა. MVP-ის და „წლის მწვრთნელის" ტიტულები არ შეეფერებოდა „ორლანდოს" წინააღმდეგ მატჩებში „კლივლენდის" საცოდავ სათამაშო სქემებს. „კავალიერსი" მხოლოდ მესამე გუნდი გახდა ლიგის ისტორიაში, რომელმაც ფინალს ვერ მიაღწია იმ დროს, როცა რეგულარულში 65 გამარჯვებაზე მეტი ჰქონდა მოპოვებული. ამაში ლებრონის დადანაშაულება უსამართლობა იქნებოდა. „მეფე" „მეჯიქთან" სერიაში ბოლომდე დაიხარჯა და მთელი სასტარტო ხუთეულის ნაცვლად თამაშობდა. 38 ქულა, 8 მოხსნა და 8 პასი - ასეთი ფანტასტიკური თამაში პლეი ოფში არავის უჩვენებია.

„კლივლენდის" სხვა კალათბურთელები მხოლოდ ამ გმირობებს მიშტერებოდნენ და თავიანთ ლიდერს ვერაფრით დაეხმარნენ. „ორლანდოს" ლიდერმა **დუაიტ ჰოვარდმა** ორივე ფარქვეშ სივრცე იგრძნო და იქიდან „კავალიერსის" „ბებრები" განდევნა. **ილგაუსკასის, უოლასის**, ვარეჟაოსა და **სმიტის** კვარტეტის ერთობლივი ძალისხმევაც არ აღმოჩნდა საკმარისი, სუპერმენისთვის წინააღმდეგობის გასაწევად. 158:100 - სწორედ ასეთი ანგარიშით დაამარცხა ჰოვარდმა ეს ოთხეული. **მიკაელ პიეტრუსმა** ანალოგიური მაჩვენებლებით მოუგო „კავალიერზის" მთელ სათარიგოთა სკამს. გუნდების შედარების გაგრძელება სრული უაზრობაა - უკვე ამ ორმა ფაქტმა და „კლივლენდის" უაზრო კომბინაციებმა განსაზღვრეს სერიის ბედი. „კავალიერზის" უძლურობის აპოთეოზი გახდა სერიის მეექვსე მატჩი - მოედანზე მეფეები უკვე „მეჯიქის" კალათბურთელები იყვნენ.

## რა იქნება შემდეგ?

ახლოვდება 2010 წელი, როცა ჯეიმსი თავისუფალი აგენტი გახდება. ამიტომაც მომავალ სეზონში „კავალიერზის" მთავარი ამოცანა შემდეგში მდგომარეობს - დაარწმუნოს ლებრონი, რომ გუნდი უახლოეს პერიოდში მზად იქნება ჩემპიონატის მოსაგებად.

„კლივლენდის" სახელფასო ლიმიტი კრიზისულ ზღვარს მიუახლოვდა, ამიტომაც ამ გუნდისგან სატრანსფერო ბაზარზე განსაკუთრებული აქტიურობა მოსალოდნელი არ არის.

მიუხედავად ამისა, გუნდმა აუცილებლად უნდა იპოვოს ადეკვატური „მაღალი", რომელიც დუაიტ ჰოვარდის კალიბრის კალათბურთელებს დაუპირისპირდება. ვარიანტები მრავლადაა - დაბერებული **შაკილ ო'ნილი**, ტატუირებული **კრის ანდერსონი**, სტაბილური **ზაზა ფაჩულია** და „მფრინავი" **ტაისონ ჩენდლერი** - ეს კალათბურთელები ამ ზაფხულს უკეთესი ცხოვრების მოწყობას ეცდებიან.

კიდევ ერთი ამოცანა **ანდერსონ ვარეჟაოს** შენარჩუნება იქნება. პერსპექტიულმა ბრაზილიელმა კარიერაში საუკეთესო სეზონი ჩაატარა. რაც მთავარია, მან გააუმჯობესა თამაშიდან ტყორცნების გამოყენების პროცენტი - 53.6. მისი ფასი - 6.2 მილიონი დოლარი, სულაც არ არის საშიში „კავალიერზისთვის" და ეს მოთამაშე, შესაძლოა, გუნდში დარჩეს.

უშუალო კონკურენტებთან - „ლეიკერსთან", „ორლანდოსთან" და „ბოსტონთან" მატჩებს მაიკ ბრაუნის გუნდი ძალიან ცუდად ატარებს (3 მოგება-9 წაგება). ამის ძირითადი მიზეზი - სათადარიგოთა სკამიდან სუსტი მხარდაჭერაა. კონკურენტუნარიანი რეზერვის შექმნა - მომავალი გამარჯვებების აუცილებელი პირობაა.

ლებრონ ჯეიმსს ღირსეული ამალა სჭირდება. მარტო მას შეუძლია მოიგოს ერთი ეპიზოდი, მატჩი ან მთელი სერია, მაგრამ მეფეს ჩემპიონობის მოპოვება არ ძალუძს.

გვერდი მოამზადა
გია თვალაბეიშვილმა

# კობი ხელფასზე ზრუნავს

„ლოს ანჯელეს ლეიკერსის" ლიდერი და წლევანდელი ფინალური სერიის საუკეთესო მოთამაშე **კობი ბრაიანტი**, შესაძლოა, თავისუფალი აგენტი გახდეს. შეგახსენებთ, რომ კონტრაქტის მიხედვით, კობის კიდევ ორი წელი აკავშირებს კალიფორნიულ კლუბთან.



აგვისტოში ბრაიანტს 31 წელი უსრულდება და მცველს იმედი აქვს, რომ „ლეიკერსთან" ახალ, ხუთწლიან კონტრაქტს გააფორმებს, რომლის საერთო თანხა 135 მილიონი დოლარი იქნება. ჯერჯერობით გაურკვეველია, მოისურვებს თუ არა ამხელა თანხის გადახდას „ლეიკერსის" ხელმძღვანელობა. ამასთან, ისიც გასათვალიწინებელია, რომ კობი ვერ ხედავს საკუთარ თავს სხვა კლუბის შემადგენლობაში.

ბრაიანტმა „ორლანდოსთან" ფინალურ სერიაში საშუალოდ 32.4 ქულა, 7.6 შედეგიანი პასი და 5.6 მოხსნა დააგროვა.

# რეალმა მესინა გადაიბირა

მადრიდის „რეალის" გენერალურმა დირექტორმა **ხორხე ვალდანომ** ჟურნალისტებთან საუბარში კიდევ ერთხელ გაიმეორა, რომ კლუბის ხელმძღვანელობას სურს, „რეალის" საკალათბურთო კლუბი ევროპაში საუკეთესოდ აქციოს და ამისთვის გუნდში სპორტულ დირექტორად **ანტონიო მასეირასისა** და მთავარ მწვრთნელ **ეტორე მესინას** მიწვევას გეგმავს.

„ანტონიო მასეირასის სპორტულ დირექტორად დანიშვნა პირველი სერიოზული ნაბიჯია კლუბის აღორძინებისთვის. უახლოეს დღეებში კიდევ რამდენიმე მნიშვნელოვანი მოვლენა მოხდება.

მთავარი მწვრთნელის პოსტზე ხოან პლასას ეტორე მესინა შეცვლის. იტალიელთან მოლაპარაკებებში შესამჩნევ პროგრესს მივაღწიეთ და ამ მიმართულებით ვაგრძელებთ მუშაობას. ვფიქრობ, უქმეებამდე ყველა ფორმალობას მოვაგვარებთ და მესინასთან კონტრაქტს გავაფორმებთ", - აცხადებს ვალდანო გაზეთ AS-ისთვის მიცემულ ინტერვიუში.

ოლიმპიზმი



# გოლფი, რაგბი თუ..?

## ქუვეითს ოლიმპიური ოჯახიდან აგდებენ

შვეიცარიის ქალაქ ლოზანაში სპორტის იმ შვიდი სახეობის პრეზენტაცია გაიმართა, რომელიც პრეტენზიას აცხადებს 2016 წლის ზაფხულის ოლიმპიადის პროგრამაში მოხვედრაზე.

ორი ოლიმპიური ლიცენზიის მოსაპოვებლად იბრძვიან: გოლფი, ბეისბოლი, სოფტბოლი, შვიდკაცა რაგბი, გორგოლაჭებიანი სპორტი, სქვოში და კარატე. „ყველა სახეობის წარმომადგენლებმა საინტერესო და ინფორმაციულად დატვირთული პრეზენტაციები მოამზადეს - განაცხადა საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტმა **ჟაკ როგემ**. - ყველა მათგანს აქვს ოლიმპიურ ოჯახში მოხვედრის შანსი, ოლიმპიური კომიტეტი კი ყველაზე ღირსეულებზე შეაჩერებს არჩევანს".

2016 წლის ოლიმპიადის პროგრამაში მოხვედრის მთავარ კანდიდატებად შვიდკაცა რაგბი და გოლფი სახელდება. სხვათა შორის, ეს უკანასკნელი ორჯერ იყო წარმოდგენილი ოლიმპიადაზე - 1900 წელს პარიზში და 1904 წელს - სენტ ლუისში.

საბოლოო არჩევანი 2009 წლის ოქტომბერში გაკეთდება, როცა კოპენჰაგენში სოკ-ის მორიგი სესია გაიმართება. იქვე აირჩევენ 2016 წლის თამაშების მასპინძელ ქალაქს.

■ ■ ■

საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტი თავისი რიგებიდან ქუვეითის გარიცხვას აპირებს. ეს იმ შემთხვევაში მოხდება, თუ ამ არაბული სახელმწიფოს კანონები არ უზრუნველყოფს სპორტული ორგანიზაციების დამოუკიდებლობას.

სოკ-ის ოფიციალური ვებგვერდის ცნობით, ქუვეითს ორი წელი მისცეს იმისთვის, რომ ადგილობრივი ოლიმპიური კომიტეტი დამოუკიდებელი ორგანო გამხდარიყო, მაგრამ ამ საკითხში არანაირი წინსვლა არ ყოფილა.

„საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის აღმასკომმა გადაწყვიტა, 1 აგვისტომდე შეაჩეროს ქუვეითის ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის მუშაობა და ამ გზით დაიცვას ამ ქვეყანაში ოლიმპიური მოძრაობა სახელისუფლებო ორგანოების ჩარევისგან" - წერია სოკის ოფიციალურ განცხადებაში.

■ ■ ■

ეკონომიკურ კრიზისთან დაკავშირებით, ჩეხეთის დედაქალაქ პრაღის მთავრობამ ერთხმად დაუჭირა მხარი 2020 წლის ოლიმპიადის მასპინძლობაზე გაკეთებული განაცხადის გაუქმებას.

ის თანხა, რომელიც უდიდესი სპორტული ფორუმის ორგანიზებისთვის იყო გამოყოფილი, ფინანსურ კრიზისთან ბრძოლისთვის დაიხარჯება. შეგახსენებთ, რომ პრაღა 2016 წლის ოლიმპიადის მასპინძლობაზე აცხადებდა პრეტენზიას, მაგრამ ოთხ ფინალისტს (მადრიდი, ჩიკაგო, ტოკიო, რიო-დე-ჟანეირო) შორის ვერ მოხვდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩოგბურთი

# როჯერ ფედერერ არენა



**როჯერ ფედერერის** მშობლიურ ქალაქ ბაზელში საჩოგბურთო მოედანს რეკონსტრუქციას ჩაუტარებენ და „დიდი სლემის“ ტურნირების 14-გზის ჩემპიონის სახელს დაარქმევენ. „სენტ-იაკობს არენა“ „როჯერ ფედერერ არენად“ გადაკეთდება.

ბაზელის მერიის წარმომადგენელმა **პიტერ ჰოვალდმა** განაცხადა, რომ ამ ნაბიჯით ქალაქის ყველა მცხოვრებს სურს, მადლიერება გამოხატოს როჯერ ფედერერის სპორტული მიღწევების გამო. სხვათა შორის, როჯერს ზედიზედ სამჯერ - 2006-08 წლებში აქვს მოგებული ბაზელის ტურნირი. წელს ეს ქალაქი მამაკაც ჩოგბურთელებს 2-8 ნოემბერს უმასპინძლებს.

„სენტ-იაკობს არენა“ 1976 წელს არის აშენებული და ის დაახლოებით 9 ათას ადამიანს იტევს.

ამასობაში, როჯერ ფედერერმა მომავალი უიმბლდონის წინ თავის განწყობაზე ილაპარაკა. მსოფლიოს მეორე ჩოგანის თქმით, ის გრძნობს, რომ შეძლებს წელს რაფაელ ნადალისთვის ტიტულის ჩამორთმევას.

*„ისეთი შეგრძნება მაქვს, რომ წინა წლებთან შედარებით, ჩემი სპორტული ფორმა კიდევ უფრო გაუმჯობესდა,* - თქვა ფედერერმა. - *ალარ მეშინია ხუთსეტიანი მატჩების, უკეთესად ვუმკლავდები ზეწოლას... გამიმართლა, რომ შევძელი საკუთარ თავში ამ თვისებების ალმოჩენა, რადგან ადრე ეს არ მჭირდებოდა, ვინაიდან ყველა შეჩვეული იყო ჩემს დომინაციას. კარგია იმის შეგრძნება, რომ წარმატების მიღწევა სხვადასხვა ხერხით შემიძლია. ახლა, როცა უიმბლდონის ტურნირი მოახლოვდა, ისევ ვგრძნობ თავს მსოფლიოს საუკეთესო ჩოგბურთელად. ეს ფანტასტიკური გრძნობაა. როლან გაროსიდან უიმბლდონამდე დროის პერიოდი ყოველთვის უნიკალურია, რადგან სწორედ ამ დროს გიჩნდება საუკეთესო ჩოგბურთის ჩვენების სურვილი. ნადალმა ძალიან მაღლა ასწია თამასა და რთული იქნება ბალახის კორტების მთავარი ტურნირის მოგება. მაგრამ ვგრძნობ, რომ ახლოს ვარ წარმატებასთან. ახლა, როლან გაროსის შემდეგ, თამამად ვასახელებ ჩემს თავს ერთ-ერთ მთავარ ფავორიტად. წელს გამარჯვების ყველაზე დიდი შანსი მაქვს“.*

# უიმბლდონმა განთესილები დაასახელა

უიმბლდონის ორგანიზატორებმა „დიდი სლემის“ რიგით მესამე ტურნირზე განთესილი ჩოგბურთელების სია გამოქვეყნეს. მამაკაცებს შორის პირველი ნომერი შარშანდელი ჩემპიონი, ესპანელი **რაფაელ ნადალია**, ქალებს შორის განთესილებს კი სათავეში უდგას მსოფლიოს რეიტინგის საუკეთესო ჩოგბურთელი, რუსი **დინარა საფინა**.

ტრადიციულად, ორგანიზატორთა სია არ ემთხვევა რეიტინგში მოთამაშეთა პოზიციას. ასე მაგალითად, რუსი **მარია შარაპოვა** კლასიფიკაციაში 59-ე ადგილს იკავებს, უიმბლდონზე კი 24-ე ნომრად იქნება განთესილი.

მთლიანად განთესილი მოთამაშეების სია ასე გამოიყურება:

**კაცები.** 1(1). ნადალი (ესპანეთი); 2(2). ფედერერი (შვეიცარია); 3(3). მიურეი (ბრიტანეთი); 4(4). ჯოკოვიჩი (სერბეთი); 5(5). დელ პოტრო (არგენტინა); 6 (6). როდიკი (აშშ); 7(8). ვერდასკო (ესპანეთი); 8(7). სიმონი (საფრანგეთი). 9(9). ცონგა (საფრანგეთი); 10(10). გონსალესი (ჩილე); 11(13). ჩილიჩი (ხორვატია); 12(11). დავიდენკო (რუსეთი). 13(12). სიოდერლინგი (შვედეთი); 14(14). მონფილსი (საფრანგეთი); 15(23). საფინი (რუსეთი); 16(15). რობრედო (ესპანეთი); 17(18). ფერერი (ესპანეთი); 18(17). ბლეიკი (აშშ); 19(30). შუტლერი (გერმანია); 20 (20). გასკე (საფრანგეთი); 21(21). ბერდიხი (ჩეხეთი); 22(28). ფ. ლოპესი (ესპანეთი); 23(31). კარლოვიჩი (ხორვატია); 24(22). შტეპანეკი (ჩეხეთი); 25(27). ტურსუნოვი (რუსეთი); 26(26). მელცერი (ავსტრია); 27(33). კულშრაიბერი (გერმანია); 28(24). ფიში (აშშ); 29(25). ანდრეევი (რუსეთი); 30(32). ტროიცკი (სერბეთი); 31(29). ჰანესკუ (რუმინეთი); 32(34). მონტანიესი (ესპანეთი).

**ქალები.** 1(1). საფინა (რუსეთი); 2(2). ს. უილიამსი (აშშ); 3(3). ვ. უილიამსი (აშშ); 4(4). დემენტევა (რუსეთი); 5(5). კუზნეცოვა (რუსეთი); 6(6). იანკოვიჩი (სერბეთი); 7(7). ზვონარევა (რუსეთი); 8(8). აზარენკა (ბელარუსი); 9(9). ვოზნიაჩკი (დანია); 10(10). პეტროვა (რუსეთი); 11(11). ა. რადვანსკა (პოლონეთი); 12(12). ბარტოლი (საფრანგეთი); 13(13). ივანოვიჩი (სერბეთი); 14(14). ციბულკოვა (სლოვაკეთი); 15(15). პენეტა (იტალია); 16(16). ჟიე ჟენგი (ჩინეთი); 17(17). მორესმო (საფრანგეთი); 18(18). სტოსური (ავსტრალია); 19(19). ნა ლი (ჩინეთი); 20(20). მედინა გარიგესი (ესპანეთი); 21(21). შნიდერი (შვეიცარია); 22(22). კორნე (საფრანგეთი); 23(23). ვოზნიაკი (კანადა); 24(59). შარაპოვა (რუსეთი); 25(24). კანეპი (ესტონეთი); 26(25). რაზანო (საფრანგეთი); 27(26). კლეიბანოვა (რუსეთი); 28(27). კირსტეა (რუმინეთი); 29(28). ბამერი (ავსტრია); 30(29). შავაი (უნგრეთი); 31(30). პავლიუჩენკოვა (რუსეთი); 32(31). ჩაკვეტაძე (რუსეთი).

ფორმულა 1

# კრიზისი გრძელდება



გრძელდება დაპირისპირება ავტოსპორტის საერთაშორისო ფედერაციასა (FIA) და ფორმულა 1-ის გუნდების ასოციაციას (FOTA) შორის. მხარეებმა მორიგი შეხვედრა გამართეს, მაგრამ ის კვლავ უშედეგოდ დასრულდა. ფედერაცია უკან დახევას არ აპირებს და მომავალი სეზონისთვის გუნდების ბიუჯეტზე ლიმიტის დაწესება მტკიცედ აქვს გადაწყვეტილი. თავის მხრივ, FOTA-ს წამყვანი საჯინიბოები ჩემპიონატის დატოვებით იმუქრებიან.

ფედერაციის მესვეურთა აზრით, შეზღუდვამ ბოლო უნდა მოუღოს „დიდ პრიზებში“ „ფინანსურ ბრძოლას“. მაგრამ იქვე „ფერარი“, „რედ ბული“ და „ტორო როსო“ კიდევ ერთხელ დაიმუქრნენ ჩემპიონატიდან გასვლით, თუ FIA-ის მიერ დაწესებული შეზღუდვები არ გაუქმდება. ფედერაციისა და FOTA-ის გუშინდელ შეხვედრაზე კვლავ ვერ მოხერხდა პოზიციების შეჯერება.

*„სამწუხაროდ, FOTA-ის წარმომადგენლებმა განაცხადეს, რომ უფლებამოსილება არ გააჩნიათ, განიხილონ მომავალი წლისთვის FIA-ის რეგლამენტი. სხვა სიტყვებით, ისინი საერთოდ არ აპირებდნენ ამის განხილვას. შედეგად, ის შეხვედრა, რომელზეც ფედერაციისა და ასოციაციის პოზიციების შედარება უნდა მომხდარიყო, თავიდანვე უაზრო აღმოჩნდა“,* - განაცხადა ავტოსპორტის საერთაშორისო ფედერაციის პრეზიდენტმა **მაქს მოსლიმ**.

FIA-ს ხელმძღვანელობა კიდევ ერთხელ ადასტურებს იმას, რომ არც ერთი გუნდისთვის არაფრის დათმობას არ აპირებს. მონაწილე გუნდების რაოდენობა აუცილებლად ცამეტი იქნება: თუ „ფერარი“ ან რომელიმე სხვა „მეამბოხე“ საჯინიბო არ მოისურვებს 2010 წლის სეზონში ჩართვას, მის ნაცვლად ჩემპიონატში ახალ გუნდს მიიწვევენ.

ველოსპორტი

# ვინო ტურზე არ გაუშვეს

ცნობილი ყაზახი ველომრბოლი **ალექსანდრ ვინოკუროვი**, რომელიც 2007 წლის ტურ დე ფრანსის დროს სისხლის დოპინგის გამოყენებისთვის იქნა დისკვალიფიცირებული, ვერ შეძლებს წელს ყველაზე პრესტიჟულ ველომარათონში მონაწილეობის მიღებას.

როგორც სააგენტო AP იუწყება, ლოზანის სპორტულმა სასამართლომ მიზენშეწონილად არ ჩათვალა ვინოკუროვის დისკვალიფიკაციის ვადის შემცირება. ყაზახი ველომრბოლის სასჯელს 23 ივლისს გასდის ვადა, წლევანდელი ტურ დე ფრანსი კი 4 ივლისს, მონაკოდან აიღებს სტარტს.

გვერდი მოამზადა
**გია თვალაბეიშვილმა**

მძლეოსნობა

# ბრილიანტის ლიგამ 14 ეტაპი გააერთიანა

მძლეოსნობის საერთაშორისო ფედერაციის (IAAF) გენერალურმა ასამბლეამ დაამტკიცა ტურნირების ახალი სერიის - „ბრილიანტის ლიგის“ კალენდარი. მომავალი წლიდან ამ სერიამ უნდა შეცვალოს ტრადიციული „ოქროს ლიგა“, რომელიც ექვს ტურნირს აერთიანებს.

„ბრილიანტის ლიგის“ სერიაში 14 ეტაპი შევა. მათ შორის ორი ტურნირი ამერიკაში - ნიუ იორკსა და იუჯინში გაიმართება, ორ ეტაპს აზიის კონტინენტი უმასპინძლებს, კერძოდ ქალაქები - შანხაი (ჩინეთი) და დოჰა (კატარი).

*„გუშინ, IAAF-ის გენერალურ ასამბლეაზე გადაწყდა, რომ „ბრილიანტის ლიგის“ ახალი სერია 14 ეტაპისგან იქნება შემდგარი,* - იტყობინება ფედერაციის პრესსამსახური. - *ეს 14 სტარტი ამერიკაში, აზიაში, ახლო აღმოსავლეთსა და ევროპაში გაიმართება. თორმეტმა ქალაქმა ჯერ კიდევ 2 მარტს, მონტე კარლოში გამართული შეხვედრისას დაადასტურა თავისი ნევრობა. კიდევ სამი ქალაქი - რომი, დოჰა და ბერლინი აცხადებდნენ ამ სერიაში მოხვედრის პრეტენზიას, მაგრამ მხოლოდ რომმა და დოჰამ დააკმაყოფილა ნევრობის ყველა საჭირო კრიტერიუმები და შესაბამისად, ისინი „ბრილიანტის ლიგაში“ მიიღეს. ასე რომ, „ოქროს ლიგის“ ბერლინის ტურნირი ერთადერთია, რომელიც ახალ სერიაში ვერ შევიდა. კალენდარი ოფიციალურად დამტკიცებულია. ახლა, ტურნირებზე ცალკეული დისციპლინების გადანაწილების პროცესი მიმდინარეობს. ყოველი სტარტის პროგრამის შესახებ ცალკე ინფორმაცია გამოქვეყნდება“.*

2010 წლის „ბრილიანტის ლიგის“ კალენდარი ასე გამოიყურება: 14 მაისი - დოჰა (კატარი); 23 მაისი - შანხაი (ჩინეთი); 4 ივნისი - ოსლო (ნორვეგია); 10 ივნისი - რომი (იტალია); 19 ივნისი - ნიუ იორკი (აშშ); 3 ივლისი - იუჯინი (აშშ); 8 ივლისი - ლოზანა (შვეიცარია); 11 ივლისი - ჰეიტსჰედი (ბრიტანეთი); 16 ივლისი - პარიზი (საფრანგეთი); 22 ივლისი - მონაკო; 6 აგვისტო - სტოკჰოლმი (შვედეთი); 13-14 აგვისტო - ლონდონი (ბრიტანეთი); 19 აგვისტო - ციურიხი (შვეიცარია); 27 აგვისტო - ბრიუსელი (ბელგია).

ცხელი ხაზი

| | |
|---|---|
| **ფეხბურთი** | |
| **მუნდიალი 2010** | |
| **აზია** | |
| ავსტრალია-იაპონია | 2:1 |
| ბაჰრეინი-უზბეკეთი | 1:0 |
| ს. კორეა-ირანი | 1:1 |
| ს. არაბეთი-ჩრ. კორეა | 0:0 |
| **დანია** | |
| **II დივიზიონი. პლეი ოფი** | |
| ბ 93-ბრაბრანდი | 0:0 |
| **ფინეთი** | |
| მარიეჰამნი-ჰაკა | 2:1 |
| ტამპერე-როვანიემი | 3:1 |
| ვაასა-კუოპიო | 1:0 |
| იუვიასკიულა-ლაჰტი | 2:1 |
| **II დივიზიონი** | |
| ატლანტისი-კლუბი04 | 1:5 |
| ჰამეენლინა-ტპვ ტამპერე | 2:0 |
| კემი-ტპ47 | 1:1 |
| **ირლანდიის თასი** | |
| ლონგფორ.-უექსფორდი | 1:1, დ.დ. 3:2 |
| **ნორვეგიის თასი** | |
| ოლესუნდი-სტავანგერი | 2:1 |
| ალტა-ბოდო გლიმტი | 3:0 |
| ასკერი-ლილესტრიომი | 0:3 |
| ბრინი-ვიკინგი | 0:0, პენ. 3:2 |
| ეიდსვოლდი-სტაბეკი | 1:2 |
| ჰამარი-ლინი | 0:2 |
| ჰაუგესუნდი-სოგნდალი | 1:2 |
| მიონდალენი-ბორუმი | 3:1 |
| ნესტ სოტრა-ბრანი | 2:4 |
| ნოტოდენი-ოდ გრენლანდი | 0:2 |
| სტრინდჰეიმი-რუსენბორგი | 1:7 |
| ტრომსიო-ჰიონეფოსი | 4:0 |
| ვოლერენგა-ულ კისა | 5:3 |

| | |
|---|---|
| **პოლონეთი** | |
| **პლეი ოფი** | |
| კრაკოვია-კორონა | გადაიდო |
| **კალათბურთი** | |
| **ევროპის ჩემპიონატი** | |
| **ქალები** | |
| ბელარუსი-სლოვაკეთი | 70:68 (ო) |
| ესპანეთი-იტალია | 61:42 |
| **ჩოგბურთი** | |
| **ATP. ისტბურნი** | |
| კუერი-ისტომინი | 6:3, 6:7, 4:6 |
| ტურსუნოვი-ბოგდანოვიჩი | 6:7, 6:4, 7:6 |
| ბენეტო-მაიერი | 4:6, 4:6 |
| დანჩევიჩი-უორდი | 7:6, 6:4 |
| **ATP. ჰერტოგენბოში** | |
| შარდი-ნორმანი | 3:6, 6:3, 6:3 |
| ფერერი-ერნანდესი | 6:4, 6:3 |
| შუტლერი-დე ბაკერი | 6:3, 7:6 |
| ბალდატისი-სლუიტერი | 3:6, 0:6 |
| **WTA. ისტბურნი** | |
| ბარტოლი-ჩაკვეტაძე | 7:5, 6:3 |
| მორესმო-მაკაროვა | 6:7, 6:7 |
| პეტროვა-დუშევინა | 7:5, 0:6, 0:6 |
| ბამერი-მედინა გარიგესი | 1:6, 5:7 |
| ვოზნიაჩკი-სტოსური | 6:1, 5:7, 6:1 |
| ჟენგი-ვოზნიაკი | 6:7, 3:6 |
| დემენტიევა-რაზანო | 0:6, 6:3, 6:7 |
| ა. რადვანსკა-ნა ლი | 6:1, 6:0 |
| **WTA. ჰერტოგენბოში** | |
| ა. ბონდარენკო-სკიავონე | 6:4, 5:7, 3:6 |
| ჰანტუხოვა-ე. ბონდარენკო | 2:6, 6:2, 6:1 |
| დეში-გოვორცოვა | 1:6, 3:6 |
| საფინა-შვედოვა | 6:3, 6:3 |

TV პროგრამა

**18 ივნისი. ხუთშაბათი**

**I არხი**

**17:50** ფეხბურთი. კონფედერაციათა თასი. ჯგუფური ეტაპი. აშშ-ბრაზილია. სამხრეთ აფრიკა (LIVE).
**22:20** ფეხბურთი. კონფედერაციათა თასი. ჯგუფური ეტაპი. ეგვიპტე-იტალია. სამხრეთ აფრიკა (LIVE).

**НТВ-პლუსი (ფეხბურთი)**

**06:50** ლიბერტადორესის თასი. 1/4 ფინალი. საპასუხო მატჩი. ნასიონალი (ურუგვაი)-პალმეირასი (ბრაზილია).
**08:40** საფეხბურთო პროგრამა.
**09:10** არგენტინის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
**10:10** ლიბერტადორესის თასი. 1/4 ფინალი. საპასუხო მატჩი. გრემიო (ბრაზილია)-კარაკასი (ვენესუელა).
**12:00** თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
**12:20** ლიბერტადორესის თასი. 1/4 ფინალი. საპასუხო მატჩი. ნასიონალი (ურუგვაი)-პალმეირასი (ბრაზილია).
**14:10** გასული სეზონის ქრონიკა. გერმანიის ჩემპიონატი. ბაიერნი-ვერდერი.
**16:00** თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
**16:20** არგენტინის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
**17:25** გასული სეზონის ქრონიკა. საფრანგეთის ჩემპიონატი. ბორდო-მარსელი.
**19:15** თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
**19:40** სასტვენი.
**20:15** 2:1 - საფეხბურთო ტოქ-შოუ.
**21:15** ლიბერტადორესის თასი. 1/4 ფინალი. საპასუხო მატჩი. გრემიო (ბრაზილია)-კარაკასი (ვენესუელა).
**23:05** თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
**23:25** ლიბერტადორესის თასი. 1/4 ფინალი. საპასუხო მატჩი. ნასიონალი (ურუგვაი)-პალმეირასი (ბრაზილია).
**01:20** 2:1 - საფეხბურთო ტოქ-შოუ.
**02:25** ლიბერტადორესის თასი. 1/4 ფინალი. საპასუხო მატჩი. ესტუდიანტესი (არგენტინა)-დეფენსორი (ურუგვაი) (LIVE).
**04:25** საფეხბურთო პროგრამა.
**04:55** ლიბერტადორესის თასი. 1/4 ფინალი. საპასუხო მატჩი. სან პაულუ (ბრაზილია)-კრუზეირო (ბრაზილია) (LIVE).

**EUROSPORT**

**10:30** ავტოსპორტი. მსოფლიოს ჩემპიონატი ტურიზმის კლასში. ტელეჟურნალი.
**11:00** ფორმულა 1. ტელეჟურნალი.
**11:30** ფეხბურთი. მსოფლიოს ჩემპიონატი 2010. შესარჩევი მატჩი. ავსტრალია-იაპონია.
**12:30** ფეხბურთი. მსოფლიოს ჩემპიონატი 2010. შესარჩევი მატჩი. ს. კორეა-ირანი.
**13:30** ჩოგბურთი. ATP-ის ტური. 1/8 ფინალი. ისტბურნი. ინგლისი.
**14:30** ჩოგბურთი. ATP-ის ტური. 1/4 ფინალი. ისტბურნი. ინგლისი (LIVE).
**21:30** რესტილინგი.
**22:00** ბრძოლა წესების გარეშე.
**01:00** რალი. მსოფლიოს ტური.
**01:30** რესტილინგი.
**03:00** ევროგოლი. კრისტიანო რონალდო.
**03:15** მულტისპორტი.

ეროვნული ბიბლიოთეკა



# რუნი ბარბადოსზეა



"მანჩესტერ იუნაიტედის" ფორვარდი **უეინ რუნი** და მისი მეუღლე **კოლინი** ბარბადოსზე გაემგზავრნენ დასასვენებლად. ინგლისის ნაკრების თავდამსხმელის მეუღლემ სწორედ იქ აჩვენა პუბლიკას პირველად თავისი მომრგვალებული მუცელი. არავისთვის საიდუმლო არ არის, რომ კოლინი ფეხმძიმედაა.

დაძაბული სეზონის შემდეგ, რუნის ოჯახი თბილ ქვეყნებში წავიდა დასასვენებლად. ამისთვის მეტად სასიამოვნო საბაბიც არსებობდა - უეინმა და კოლინმა სწორედ ბარბადოსზე გადაწყვიტეს ქორწინების ერთი წლისთავის აღნიშვნა.

ადრე კოლინ რუნი ისეთ ტანსაცმელს ხმარობდა, რომელიც მის ფეხმძიმობას ფარავდა, ამჯერად კი ბიკინით ამის გაკეთებას ვერ შეძლებდა. რუნები ბარბადოსზე ჩაფრენისთანავე გაეშურნენ პლაჟზე და ზღვაში იცურავეს.

სავარაუდოდ, კოლინისა და უეინის პირველი შვილი ოქტომბერში გაჩნდება.

# ივანოვიჩი Hello-ში დაბეჭდეს

სერბმა **ანა ივანოვიჩმა** რუს ვარსკვლავ **ანა კურნიკოვას** მიჰბაძა და ახალი ფოტოსესიით გაახარა თავისი თაყვანისმცემლები. მსოფლიოს ყოფილი პირველი ჩოგნის ფოტოები ჟურნალ Hello-ს სერბულ ვერსიაში დაიბეჭდა.

ფოტოსესიას სტატიაც ახლავს თან, რომლის სახელწოდებაა - "ანა ივანოვიჩი, პირველი სერბი ქალი Forbes-ის სიაში". ანა ამ გამოცემის ვერსიით მსოფლიოს ყველაზე გავლენიანი ადამიანების ასეულში 90-ე ადგილზე გავიდა.

სურათების ავტორია ცნობილი ფოტოგრაფი **მისო ობრადოვიჩი**.






# რიო ფერდინანდის ბიუსტჰალტერი



**უეინ რუნის** თანაგუნდელი **რიო ფერდინანდი** ისრაელში ისვენებს. პირველივე დღეს ის მეტად უცნაურ სამოსში გამოეცხადა იქაურ დამსვენებლებს. "მანჩესტერ იუნაიტედის" მცველს მოტკეცილი მოკლე შარვალი და მოკლე მაისურა ეცვა, რომელიც ბიუსტჰალტერს უფრო წააგავდა. გულახდილად რომ ვთქვათ, რიოს ჩაცმულობა **ელტონ ჯონს** უფრო დაამშვენებდა, ვიდრე "ოლდ ტრეფორდის" კერპს.

ისრაელში ფერდინანდი "ჩელსის" ყოფილი ფეხბურთელის **ჯოდი მორისის** კამპანიაში ისვენებს, რომელიც ამჟამად შოტლანდიის "სენტ ჯონსტონში" ირიცხება.

გვერდი მოამზადა
გია **თვალაბეიშვილმა**

# შერილი და ეშლი

კოულების ვარსკვლავური ოჯახი არდადეგებს სამხრეთ საფრანგეთის მზიან სანაპიროზე ატარებს. "ჩელსის" მცველის **ეშლი კოულის** მეუღლე, ჯგუფი Girls Aloud-ის ვოკალისტი **შერილ კოული** პლაჟზე დიზაინერ **მელისა ოდებაშის** ექსკლუზიური საცურაო კოსტიუმით იწონებს თავს, რომელიც მწვანე ფერისაა და სარკის კრისტალებითაა მორთული. კოსტიუმის ფასი სულ რაღაც 375 ფუნტი სტერლინგია.

თუ მწვანე საცურაო კოსტიუმი მისის კოულის უცვლელი ატრიბუტია, ქუდებს ეს ქალბატონი კალეიდოსკოპური სისწრაფით იცვლის. როგორც ჩანს, შერილი ქუდების კოლექციონერია.

თუმცა Girls Aloud-ის მომღერალი მხოლოდ საკუთარ თავს არ ანებივრებს და საყვარელ მეუღლესაც უძღვნის საჩუქრებს. ქორწილის მორიგი წლისთავის აღსანიშნავად, შერილმა ეშლის 14 ათას ფუნტად ღირებული მინი-Hummer აჩუქა. ეს ექსკლუზიური ავტომობილი იმ "სრულფასოვანი" Hummer-ის ზუსტი ასლია, რომელიც ელექტროენერგიაზე მუშაობს.

შერილმა ავტომობილის სავარძლებზე ინიციალები - CC და AC (Cheryl Cole და Ashley Cole) გამოასახვინა. ინიციალები "სვაროვსკის" თვლებით არის ამოტვიფრული.

გარდა ამისა, ეშლი კოულმა კიდევ 5 ათასი ფუნტი დახარჯა ავტომობილის სალონის ტყავის შალითებით მოსართავად და საბურავებზე ოქროსფერი დისკების დასაყენებლად.





თმის გადანერგვის კლინიკა
«თალიზი»
თმის გადანერგვის პირველი სპეციალიზებული კლინიკა ამიერკავკასიაში
თმის აღდგენითი ქირურგიის საერთაშორისო საზოგადოების -ISHRS- წევრი



მრავალწლიანი გამოცდილება, ხარისხი, გარანტირებული შედეგები
უახლესი ამერიკული მეთოდები, მხოლოდ ჩვენთან!
ფოლიკულური გაერთიანებების მასშტაბური ტრანსპლანტაციები, სტერეომიკროსკოპული ტექნოლოგია, FOX-პროცედურები, წარბებისა და წამწამების გადანერგვა
თმის გადანერგვა ხორციელდება 2-3 საათში უმტკივნეულოდ
გადანერგილი თმა ბუნებრივად იზრდება და არ ცვივა.
კონსულტაციები უფასოა და ანონიმური.
მისამართი: ქ. თბილისი, ტაშკენტის ქ. №27
ტელ.: 25-37-39; 37-50-89; 899-53-07-10 www.talizi.ge